



საერთაშორისო
გამჭვირვალობა
საქართველო



საქართველოს პარლამენტის 2018 წლის საქმიანობის შეფასება

თბილისი, 2019

კვლევის ხელმძღვანელი:

ლიკა საჯაია

ნამყვანი მკვლევარი:

თამარ ტატანაშვილი

მკვლევრები:

გიორგი თოფურია, გიგი ჩიხლაძე

კვლევაში მონაწილეობისთვის მადლობას ვუხდით „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ სტაჟიორებს: ანა მესხს, ქეთევან ქარდავას, რომან ქუქჩიშვილსა და ხათუნა კვინცხაძეს.

ინფორმაციის მონოდებისა და თანამშრომლობისათვის მადლობას ვუხდით საქართველოს პარლამენტის აპარატის საორგანიზაციო დეპარტამენტს, მის უფროსს ეთერ სვიანაიძესა და პარლამენტის აპარატის თანამშრომლებს.

ანგარიში მომზადდა ნორვეგიის სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით.



Norwegian Ministry
of Foreign Affairs

კვლევის მეთოდოლოგია	7
თავი 1. ძირითადი მიგნებები	7
თავი 2. ზოგადი ინფორმაცია საქართველოს პარლამენტის შესახებ	10
თავი 3. ზოგადი სტატისტიკა	11
თავი 4. მნიშვნელოვანი მოვლენები	13
4.1. მთავრობისთვის ნდობის გამოცხადება და ცვლილებები მთავრობის შემადგენლობაში	13
4.2. დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნა	13
4.3. კანაფის კულტივირების შესახებ დისკუსია და საკანონმდებლო ინიციატივები	16
4.4. ცვლილებები უმრავლესობის, უმცირესობისა და კომიტეტის შემადგენლობებში	17
4.5. პრეზიდენტის ყოველწლიური მოხსენების მოსმენა	17
4.6. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების კანდიდატურების წარდგენა	18
4.7. სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირება პარლამენტში	18
თავი 5. მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები	18
5.1. პროგრესული საკანონმდებლო ცვლილებები	18
5.1.1. პარლამენტის ახალი რეგლამენტი	18
5.1.2. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შესახებ კანონში ცვლილება	21
5.1.3. პარლამენტის წევრის ეთიკის კოდექსი	21
5.1.4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანა	23
5.1.5. ელექტრონული პეტიციების დანერგვა	23
5.2. პოზიტიური საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც დახვეწას საჭიროებს	24
5.2.1. სასამართლოს რეფორმის „მეოთხე ტალღის“ საკანონმდებლო ინიციატივები	24
5.2.2. „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ კანონი	24
5.2.3. „ადვოკატთა შესახებ“ კანონში ცვლილება	25
5.2.4. თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილება	25
5.3. ნეგატიური საკანონმდებლო ცვლილებები	26
5.3.1. პარტიების დაფინანსების წესის ცვლილება	26
5.3.2. საპენსიო რეფორმა	26
5.3.3. „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში ცვლილება	28
თავი 6. კანონშემოქმედებითი პროცესის მიმდინარეობა და შეფასება	28

6.1. მთავრობის კანონმდებლობითი საქმიანობის გეგმა	28
6.3. კანონპროექტების დაჩქარებული წესით განხილვა	30
6.4. კანონპროექტების გამართივებული წესით განხილვა და კანონების ამოქმედების გადავადება	33
6.5. კანონპროექტების განხილვის ვადის გაგრძელება	34
თავი 7. საპარლამენტო კონტროლი	34
7.1. მთავრობისთვის ნდობის გამოცხადება	35
7.2. სამთავრობო პროგრამის შესრულების ანგარიშის წარდგენა და განხილვა	35
7.3. თანამდებობის პირთა არჩევა (დანიშვნაზე თანხმობის მიცემა)	35
7.4. ანგარიშვალდებული ორგანოების ანგარიშების მოსმენა	37
7.5. ანგარიშვალდებული თანამდებობის პირების სხდომებზე მიწვევა და ანგარიშების მოსმენა	40
7.5.1. ფრაქციის სხდომებზე მიწვევა	40
7.5.2. კომიტეტის სხდომაზე მიწვევა და ანგარიშების მოსმენა	45
7.6. პარლამენტის წევრის კითხვა/შეკითხვა	49
7.7. სამთავრობო საათის ჩატარება	53
7.8. დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნა	54
7.9. სხვა დროებითი კომისიის შექმნა	55
7.10. მიღებულ გადაწყვეტილებათა კონტროლი	55
7.10.1. რეკომენდაციების შემუშავება და მათი შესრულების კონტროლი	56
7.10.2. კანონის გარდამავალი დებულებებით განსაზღვრული დავალებების შესრულება	57
7.11. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კონტროლი	57
7.12. ნდობის ჯგუფის საქმიანობა	58
თავი 8. ინფორმაცია პარლამენტის წევრების შესახებ	58
8.1. პარლამენტის წევრთა ასაკი	59
8.2. პარლამენტის წევრთა განათლება და სპეციალობა	59
თავი 9. ქალების მონაწილეობა პარლამენტის საქმიანობაში	59
თავი 10. პარლამენტის საბჭოებისა და კომისიების საქმიანობა	62
10.1. გენდერული თანასწორობის საბჭო	62
10.2. ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო	64
10.3. ხაზინადართა საბჭო	65
10.4. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისია	65
10.5. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2017 წლის ფინანსური აუდიტის დროებითი კომისია	66
10.6. კონსტიტუციასთან კანონმდებლობის ჰარმონიზაციის საპარლამენტო კომისია	66
თავი 11. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის საქმიანობა	66
თავი 12. პარლამენტის წევრთა აქტივობა	67

12.1. ინიცირებული კანონპროექტების რაოდენობა და ინიციატორები	67
12.2. მიღებული კანონების რაოდენობა და ავტორები	69
12.3. პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოსვლის რაოდენობა	70
12.4. პარლამენტის წევრების შენიშვნები კანონპროექტების შესახებ	74
12.5. პარლამენტის წევრთა მივლინებები	77
თავი 13. პარლამენტის წევრების მონაწილეობა პლენარული სხდომებისა და კომიტეტების სხდომების მუშაობაში, მათი დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი	82
13.1. პლენარული და კომიტეტების სხდომების საპატიო მიზებით გაცდენა	82
13.2. პლენარული და კომიტეტების სხდომების არასაპატიო მიზნით გაცდენა	84
თავი 14. პარლამენტის კომიტეტების საქმიანობის შეფასება	87
14.1. საკანონმდებლო პროცესში მონაწილეობა	87
14.2. საკანონმდებლო წინადადებების განხილვა	91
14.4. სამუშაო ჯგუფების შექმნა	94
14.5. ექსპერტებთან ურთიერთობა	95
14.6. სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოების შექმნა	96
14.7. საკონსტიტუციო სასამართლოში იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წარმომადგენლობა	97
14.8. ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის მუშაობა ასოცირების შეთანხმებასთან დაკავშირებულ საკითხებზე	98
თავი 15. მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროების საქმიანობა	99
15.1. მოქალაქეთა მიმართვები	100
15.2. ამომრჩეველთა პრობლემები და კვლევის შედეგები	101
15.3. საჯარო შეხვედრები მოსახლეობასთან	101
15.4. ბიუროებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების თანამშრომლობა	102
15.5. მოსახლეობის ინფორმირება	102
თავი 16. პარლამენტის წევრების კავშირი ბიზნესთან და არადეკლარირებული ქონება	102
თავი 17. რეკომენდაციები	103
დანართი 1. სიტყვით გამოსვლის რაოდენობა	105
დანართი 2. მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროების საქმიანობის შესახებ ინფორმაცია	112
დანართი 3. პარლამენტის წევრების კავშირი ბიზნესთან	116

საქართველოს IX მოწვევის პარლამენტის **2018 წლის¹** საქმიანობის შეფასება ეფუძნება ჩვენი ორგანიზაციის საპარლამენტო ოფისის თანამშრომლების მიერ მოკვლეული ინფორმაციის ანალიზსა და მათ დაკვირვებებს და პარლამენტის მიერ ჩვენი ორგანიზაციისთვის მოწოდებულ სტატისტიკურ მონაცემებს.² ამ ანგარიშში აგრეთვე წარმოდგენილია საქართველოს კვლევითი რესურსების ცენტრის (CRRC) მიერ ჩვენი ორგანიზაციის დაკვეთით 2019 წლის 20 თებერვლიდან 5 მარტის ჩათვლით ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები. ამ კვლევის ფარგლებში შემთხვევითი შერჩევის მეთოდით გამოიკითხა 2087 ადამიანი მთელი ქვეყნის მასშტაბით, გარდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებისა და ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონებისა. საზოგადოებრივი აზრის კვლევის ცდომილების საშუალო მაჩვენებელია 2,3 პროცენტი. ჩვენი ორგანიზაციის ანგარიშში ასევე გამოყენებულია ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მიერ 2018 წლის დეკემბერში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგებიც.³

თავი 1. ძირითადი მიგნებები

2018 წელს IX მოწვევის პარლამენტის მიერ სხვადასხვა მიმართულებით განხორციელებულ საქმიანობას როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ტენდენციები ჰქონდა. მართალია, გაიზარდა ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობის გამჭვირვალობა, თუმცა პარლამენტის წინაშე კვლავ არსებობს გამოწვევები აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლის განხორციელებისა და საკანონმდებლო პროცესის დახვეწის თვალსაზრისით.

პოზიტიური ტენდენციები

საკანონმდებლო პროცესი

- შემცირდა კანონპროექტების დაჩქარებული წესით განხილვის მოთხოვნები. IX მოწვევის პარლამენტმა უფლებამოსილების ცნობის პირველ წელს⁴ დაჩქარებული წესით 213 კანონპროექტი განიხილა, 2018 წელს კი – მხოლოდ 180 კანონპროექტი;
- შემცირდა გამარტივებული წესით განხილული კანონპროექტების რაოდენობა. IX მოწვევის პარლამენტმა უფლებამოსილების ცნობის პირველ წელს გამარტივებული წესით განიხილა და მიიღო 77 კანონპროექტი, ხოლო საანგარიშო პერიოდში – 11 კანონპროექტი (9 კანონპროექტის ინიციატორები პარლამენტის წევრები იყვნენ, 2 კანონპროექტის ინიციატორი იყო მთავრობა);
- გაიზარდა პარლამენტის კომიტეტების მიერ ყოველწლიური სამოქმედო გეგმის შემუშავების მაჩვენებელი (წინა წლებში 15 კომიტეტიდან მხოლოდ 7 კომიტეტს ჰქონდა პარლამენტის ვებგვერდზე განთავსებული თავიანთი ყოველწლიური სამოქმედო გეგმები, 2018 წელს კი – უკვე 13 კომიტეტს);
- პარლამენტის საბიუჯეტო ოფისმა და გენდერული თანასწორობის საბჭომ შეიმუშავეს კანონმდებლობის გენდერული ანალიზის მეთოდოლოგია;

1 იგულისხმება საანგარიშო პერიოდი – 2018 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2 ამ ანგარიშში პარლამენტის წევრის თანამდებობა და ფრაქციის წევრობა მოცემულია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

3 სავსე სამუშაოების, რომლებიც 2018 წლის 6-20 დეკემბერს ჩატარდა, შედეგია 2205 დასრულებული ინტერვიუ (45,1% გამოკითხება), საშუალო ცდომილების ზღვარია +/- 2,1%. ვრცლად იხილეთ: საზოგადოების განწყობა საქართველოში 2018 წლის დეკემბრის გამოკითხვის შედეგები (<https://bit.ly/2sY0wDG>). ჩვენს ანგარიშში საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების მონაცემებს უცვლელად ვიმოწმებთ.

4 იგულისხმება პერიოდი 2016 წლის ნოემბრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

- გენდერული თანასწორობის საბჭო აქტიურად მუშაობდა ახალ საკანონმდებლო ინიციატივებზე.

საპარლამენტო კონტროლი

- პარლამენტმა მიიღო ახალი რეგლამენტი, რომლითაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საპარლამენტო კონტროლის მექანიზმები;
- საპარლამენტო უმცირესობის მოთხოვნით შეიქმნა დროებითი საგამოძიებო კომისია. როგორც VIII მოწვევის პარლამენტის, ისე IX მოწვევის პარლამენტის პრაქტიკაში ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც უმცირესობის (ოპოზიციის) მოთხოვნით შეიქმნა დროებითი საგამოძიებო კომისია. აღსანიშნავია, რომ 2018 წელს პარლამენტს დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის 6 მოთხოვნა წარედგინა;
- პირველი შემთხვევა, როდესაც მთავრობის წარმომადგენელმა თავად მოითხოვა პარლამენტის წინაშე ანგარიშით წარდგომა, IX მოწვევის პარლამენტში მოხდა. შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი გახარიამ პარლამენტის ბიუროს მიმართა [წერილით](#),⁵ რომელშიც განაცხადა, რომ მზად იყო, პარლამენტისთვის ანგარიში წარედგინა;
- გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტში შეიქმნა [თემატური მოკვლევის ჯგუფი](#), რომელიც ამ კომიტეტის მიერ საზედამხებელო ფუნქციის შესრულების მნიშვნელოვანი საშუალება იყო. საანგარიშო პერიოდში თემატური მოკვლევის ჯგუფმა ქალაქ თბილისში ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობა შეისწავლა;
- გაიზარდა პარლამენტის წევრების კითხვების რაოდენობა და პარლამენტის წევრების აქტივობა. 2018 წელს 40 პარლამენტის წევრმა 482 კითხვა დასვა (შდრ. წინა წლის მაჩვენებელი: 25 პარლამენტის წევრმა – 182 კითხვა);
- ოპოზიცია უფრო აქტიურად იბარებდა პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ თანამდებობის პირებს ფრაქციის სხდომებზე. IX მოწვევის პარლამენტის საქმიანობის დაწყების წელს ოპოზიციამ ამ თანამდებობის პირებს სხდომაზე დასასწრებად 11 მოთხოვნა გაუგზავნა, 2018 წელს კი – 21 მოთხოვნა. თუმცა მიწვეული თანამდებობის პირები არცერთ სხდომაზე არ გამოცხადებულან.

ღიაობა და გამჭვირვალობა

- პარლამენტმა მიიღო პარლამენტის წევრის [ეთიკის კოდექსი](#);
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს შეუძლიათ მარტივად გადაადგილდნენ პარლამენტის შენობაში და ტერიტორიაზე მათთვის საგანგებოდ ადაპტირებულ გარემოში;
- პარლამენტის ვებგვერდზე ქვეყნდება პლენარული სხდომების აუდიოოქმები;
- პარლამენტმა განახორციელა [თვითშეფასება](#), რაც საქართველოს ღია პარლამენტის 2017 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ერთ-ერთი ვალდებულება იყო.⁶

გამოწვევები

გარდა კონკრეტული მიმართულებით არსებული გამოწვევებისა, უნდა აღინიშნოს პარლამენტისა და სამოქალაქო სექტორის ურთიერთთანამშრომლობის პრობლემა, კერძოდ, უმრავლესობის

5 საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის, საქართველოს ვიცე-პრემიერის, ბატონი გიორგი გახარიას 2018 წლის 18 დეკემბრის მომართვა (№18/12/2018) 2018 წლის 21 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოსმენის თაობაზე (იხ. <https://goo.gl/xy7nD5>).

6 საქართველოს ღია პარლამენტის 2017 წლის სამოქმედო გეგმა, ვალდებულება 3.3 (იხ. <https://goo.gl/pFxG7H>).

ზოგიერთი წევრის მხრიდან აგრესიული ტონი სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების მიმართ⁷. სამოქალაქო სექტორზე აგრესიული თავდასხმები და არაკონსტრუქციული დამოკიდებულება ზიანს აყენებს ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას. აღნიშნული პრობლემა აისახა ასევე ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის [ანგარიშშიც](#).⁸

საპარლამენტო კონტროლი

- მმართველი პარტია და ოპოზიცია საპარლამენტო კონტროლის მექანიზმებს უფრო მეტად პარტიული ინტერესებისთვის იყენებდნენ, ვიდრე რეალური კონტროლის განსახორციელებლად;
- პარლამენტის წევრების კითხვების უმეტესობა კვლავ სტატისტიკური ინფორმაციის გამოთხოვას შეეხებოდა. პარლამენტის წევრები საპარლამენტო კონტროლის ამ მექანიზმს არ იყენებენ აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ სამთავრობო პროგრამის შესრულებისა და საჯარო პოლიტიკის სხვა მნიშვნელოვანი საკითხების კონტროლისთვის;
- შემცირდა სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კვარტალური ანგარიშების მოსმენის მაჩვენებელი. საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის 3 თვის შესრულების ანგარიში განიხილა 9 კომიტეტმა, 6 თვის შესრულების ანგარიში – 11 კომიტეტმა, 9 თვის შესრულების ანგარიში კი – მხოლოდ 3 კომიტეტმა);⁹
- ნდობის ჯგუფის შემადგენლობა საანგარიშო პერიოდშიც არასრული იყო;
- აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ პარლამენტის კომიტეტების სხდომებს და პარლამენტს პერიოდულად წარუდგენდნენ ანგარიშებს განუვლი საქმიანობის შესახებ, თუმცა სხდომებს მეტწილად მინისტრების მოადგილეები და უწყებათა ხელმძღვანელები ესწრებოდნენ;
- პარლამენტს არ განუხორციელებია მთავრობის მიერ წარდგენილი კანონშემოქმედებითი საქმიანობის გეგმის მონიტორინგი.

პარლამენტის წევრთა ანგარიშვალდებულება და კანონით დადგენილი ვალდებულებების შესრულება

- საანგარიშო პერიოდშიც პარლამენტის წევრების სხდომების მუშაობაში მონაწილეობა პრობლემური საკითხი იყო. მიუხედავად იმისა, რომ შემცირდა პლენარული სხდომების საპატიო მიზეზით გაცდენის საერთო რაოდენობა, ოჯახური მდგომარეობის მიზეზით გაცდენის მაჩვენებელი კვლავ მაღალია (IX მოწვევის პარლამენტის საქმიანობის პირველ წელს¹⁰ დაფიქსირდა 1430 გაცდენა, 2018 წელს – 1500 გაცდენა);
- პარლამენტის წევრებმა საანგარიშო პერიოდშიც დაარღვიეს საპარლამენტო ეთიკის ნორმები. თუმცა ამ დარღვევებს პარლამენტის რეგლამენტი გათვალისწინებული შესაბამისი რეაგირება არ მოჰყოლია;
- ზოგიერთმა პარლამენტის წევრმა არასწორად შეავსო ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია. ცალკეულ შემთხვევებში მათ არ მიუთითეს კომპანიებში თავიანთი კუთვნილი წილები, 5 პარლამენტის წევრს კი იმავდროულად კომპანიის დირექტორის თანამდებობა ეკავა.

7 არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება ირაკლი კობახიძის ბრიფინგთან დაკავშირებით“, 08 ოქტომბერი, 2018 (იხ. <https://goo.gl/yN5oTK>); „სამოქალაქო საზოგადოებაზე ხელისუფლების კოორდინირებული შეტევა საქართველოში დემოკრატიას აზიანებს“, 24 ოქტომბერი, 2018 (იხ. <https://goo.gl/q3Xgp2>);

8 ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ (იხ. <https://bit.ly/2WxjSCO>).

9 შდრ. წინა წლის მონაცემები: სახელმწიფო ბიუჯეტის 3 თვის მიმოხილვა განიხილა 6 კომიტეტმა, 6 თვის მიმოხილვა – 14 კომიტეტმა, 9 თვის მიმოხილვა – 11 კომიტეტმა.

10 იგულისხმება პერიოდი 2016 წლის ნოემბრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

თავი 2. ზოგადი ინფორმაცია საქართველოს პარლამენტის შესახებ

პარლამენტი შედგება პროპორციული სისტემით არჩეული 77 და მაჟორიტარული სისტემით არჩეული 73 პარლამენტის წევრისგან.¹¹

საანგარიშო პერიოდში პარლამენტის შემადგენლობა ორჯერ შეიცვალა და ამჟამად პარლამენტში 150 წევრის ნაცვლად 149 წევრია. გრიგოლ ლილუაშვილისთვის პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის¹² შემდეგ ჩატარებულ შუალედურ არჩევნებში პარლამენტის წევრად არჩეულ იქნა გივი ჭიჭინაძე.¹³ მაჟორიტარ პარლამენტის წევრს სალომე ზურაბიშვილს საქართველოს პრეზიდენტად არჩევის გამო ვადამდე შეუწყდა პარლამენტის წევრის უფლებამოსილება.¹⁴ შესაბამისად, სათანადო საარჩევნო ოლქში შუალედური არჩევნების ჩატარების შემდეგ პარლამენტი 150 წევრის შემადგენლობით იქნება.

საანგარიშო პერიოდში პარლამენტში საქმიანობას ახორციელებდნენ შემდეგი საპარლამენტო ფრაქციები:

- საპარლამენტო უმრავლესობაში შემავალი ფრაქციები: „ქართული ოცნება“, „ქართული ოცნება – კონსერვატორები“, „ქართული ოცნება – მრეწველები“, „ქართული ოცნება – მწვანეები“, „ქართული ოცნება – რეგიონების განვითარებისთვის“, „ქართული ოცნება – სოციალ-დემოკრატები“, „ქართული ოცნება – ძლიერი ეკონომიკა“, „ქართული ოცნება – ძლიერი საქართველოსთვის“;
- საპარლამენტო უმცირესობაში შემავალი ფრაქციები: „ევროპული საქართველო“, „ევროპული საქართველო – მოძრაობა თავისუფლებისთვის“, „ევროპული საქართველო – რეგიონები“;
- ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“;
- ფრაქცია „საქართველოს პატრიოტები“.


11 ინფორმაცია მოცემულია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

12 გ. ლილუაშვილი დაინიშნა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილედ.

13 საქართველოს პარლამენტის 2018 წლის 16 მაისის №2339 დადგენილება „№54 საარჩევნო ოლქში მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრის გივი ჭიჭინაძის უფლებამოსილების ცნობის შესახებ“ (იხ. <https://goo.gl/Z3TWf2>).

14 საქართველოს პარლამენტის 2018 წლის 22 დეკემბრის №4024 დადგენილება „საქართველოს პარლამენტის წევრის სალომე ზურაბიშვილისათვის პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“ (იხ. <https://goo.gl/jmgeRB>).

დიაგრამა 1. ფრაქციების რაოდენობა




თავი 3. ზოგადი სტატისტიკა

2018 წელს ჩატარდა 51 პლენარული სხდომა და ბიუროს 106 სხდომა.

პლენარული სხდომა კვორუმის არარსებობის გამო არცერთხელ არ ჩაშლილა, თუმცა იყო შემთხვევა, როდესაც პლენარულ სხდომათა დარბაზში პარლამენტის წევრების არყოფნის გამო ვერ მოხერხდა მნიშვნელოვანი კანონპროექტის მიღება.¹⁵

ფრაქცია „ნაციონალურმა მოძრაობამ“ [უარი განაცხადა](#), მონაწილეობა მიეღო 2018 წლის 22 დეკემბერს მოწვეული რიგგარეშე სესიის სხდომების [მუშაობაში](#).¹⁶

დიაგრამა 2. საანგარიშო პერიოდში ჩატარებული პლენარული და რიგგარეშე სხდომების რაოდენობა




¹⁵ ვრცლად იხილეთ ამ ანგარიშის მეცამეტე თავი.

¹⁶ „„ნაციონალურმა მოძრაობამ“ პარლამენტის სხდომებს ბოიკოტი გამოუცხადა“, 22.12.2018 (იხ. <https://goo.gl/d2HcDy>). საპარლამენტო ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ მომართვა პოლიტიკური შეხედულებების გამო 2018 წლის 22 დეკემბრიდან მოწვეულ რიგგარეშე სესიაზე არდასწრების შესახებ, 21 დეკემბერი, 2018 (იხ. <https://goo.gl/M8ncmC>).

საანგარიშო პერიოდში პარლამენტმა მიიღო **705** საქართველოს კანონი, **1** რეზოლუცია¹⁷ და **2221** დადგენილება და მოახდინა **49** საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირება.¹⁸

დიაგრამა 3. საანგარიშო პერიოდში მიღებული კანონების რატიფიცირება და ინიციატორები



საანგარიშო პერიოდში:

- **40** პარლამენტის წევრმა პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოებსა და თანამდებობის პირებს გაუგზავნა **482** წერილობითი კითხვა, რომელთაგან პასუხი გაეცა **415** კითხვას;
- ფრაქციებმა (კერძოდ, ფრაქცია „ნაციონალურმა მოძრაობამ“) მხოლოდ 1 წერილობითი კითხვა გააგზავნეს, რომელსაც პასუხი გაეცა;
- არცერთ პარლამენტის წევრს ზეპირი შეკითხვა არ დაუსვამს და არც პარლამენტის წევრთა ათკაციან ჯგუფს მიუმართავს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოებისთვის წერილობითი კითხვით;
- სამთავრობო საათი არ ჩატარებულა;
- პარლამენტის წევრების დისციპლინური პასუხისმგებლობა არ დაკისრებიდა;
- სხდომების გაცდენის გამო არცერთ პარლამენტის წევრს ხელფასი არ დაქვითვია.

17 „ოთხოვრია-ტატუნაშვილის სიის“ შესახებ ინიციატივა (იხ. <https://goo.gl/pnSdHR>) თავდაპირველად უმცირესობაში შემავალმა ფრაქციებმა წარადგინეს, მაგრამ მასზე შეთანხმების მიუღწევლობის გამო პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა ალტერნატიული პროექტი მოამზადა. საბოლოოდ, უმრავლესობის მიერ წარდგენილ პარლამენტის რეზოლუციის პროექტს „რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ადამიანის უფლებების უხეში დარღვევისა და „ოთხოვრია-ტატუნაშვილის“ სიის შესახებ“ მხარი დაუჭირეს როგორც უმრავლესობის, ისე უმცირესობის წარმომადგენლებმა (მიღებული რეზოლუცია იხ. <https://goo.gl/JSJzqR>).

18 შდრ. წინა წლის მონაცემები: პარლამენტმა მიიღო 649 კანონი, 1864 დადგენილება, 1 რეზოლუცია და მოახდინა 73 საერთაშორისო ხელშეკრულების, შეთანხმებისა და კონვენციის რატიფიცირება.

თავი 4. მნიშვნელოვანი მოვლენები

4.1. მთავრობისთვის ნდობის გამოცხადება და სვლიდაები მთავრობის უმაღლესობაში

2018 წელს პარლამენტმა ორჯერ გამოუცხადა ნდობა მთავრობას. პირველ შემთხვევაში მიზეზი იყო პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის მიერ თანამდებობის დატოვება და პარლამენტისთვის პრემიერ-მინისტრად გიორგი ბახტაძის კანდიდატურის წარდგენა. საანგარიშო პერიოდში შეიცვალა კიდევ 3 მინისტრი. სახელდობრ, საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე დაინიშნა დავით ბაქალაიანი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის თანამდებობაზე – გიორგი ჩერქეზიშვილი, ხოლო ფინანსთა მინისტრის თანამდებობაზე – ნიკოლოზ გაგუა. პარლამენტმა 2018 წლის 20 ივნისს მთავრობას ნდობა გამოუცხადა.¹⁹

მომდევნო სამთავრობო ცვლილებების მიზეზი ე. წ. რეორგანიზაცია გახდა. ეს რეორგანიზაცია, როგორც მთავრობა შესაბამის საკანონმდებლო ინიციატივაზე დართულ განმარტებით ბარათში მიუთითებდა, მოახდენდა სამთავრობო უწყებების ოპტიმიზაციას და, ამასთანავე, შეამცირებდა ბიუროკრატიაზე გასაწევ ხარჯებს.²⁰ მთავრობის შემადგენლობა 10 მინისტრითა და 1 სახელმწიფო მინისტრის აპარატით განისაზღვრა. განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე გაერთიანდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და კულტურისა და სპორტის სამინისტრო, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს შეუერთდა იუსტიციის სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შესაბამისი ფუნქციები და უფლებამოსილებები გადაეცა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, ხოლო ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ფუნქციები სამ სამინისტროზე გადანაწილდა.²¹ პარლამენტმა 2018 წლის 14 ივლისის რიგგარეშე სესიაზე მთავრობის განახლებულ შემადგენლობას ნდობა გამოუცხადა.²²

4.2. დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნა

თბილისში, ხორავას ქუჩაზე, მომხდარ ტრაგედიასთან დაკავშირებით 2018 წლის 6 ივნისს პარლამენტში შეიქმნა დროებითი საგამოძიებო კომისია.²³ ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ოპოზიციური პარტიების მოთხოვნით პარლამენტში დროებითი საგამოძიებო კომისია შეიქმნა. შედარებისთვის აღვნიშნავთ, რომ არც VII მოწვევის პარლამენტსა და არც VIII მოწვევის პარლამენტში უმცირესობის ინიციატივით არცერთი კომისია არ შექმნილა.

დროებითი საგამოძიებო კომისიის გამოსაკვლევი საკითხი იყო 2017 წლის 1 დეკემბერს თბილისში, **ხორავას ქუჩაზე, მომხდარი დანაშაულის შედეგად ორი ახალგაზრდის მკვლელობის ფაქტი.**

19 საქართველოს პარლამენტი, „საქართველოს პარლამენტმა მთავრობის შემადგენლობას ნდობა გამოუცხადა“, 20 ივნისი, 2018 (იხ. <https://bit.ly/32cd2zZ>).

20 „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე დართული განმარტებითი ბარათი (იხ. <https://goo.gl/kfVuer>).

21 კერძოდ, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროზე, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროზე.

22 საქართველოს პარლამენტის 2018 წლის 14 ივლისის №3141 დადგენილება „საქართველოს მთავრობის შემადგენლობისათვის ნდობის გამოცხადების შესახებ“ (იხ. <https://goo.gl/goCrpx>).

23 საქართველოს პარლამენტის 2018 წლის 6 ივნისის №2452 დადგენილება „2017 წლის 1 დეკემბერს თბილისში, ხორავას ქუჩაზე მომხდარი დანაშაულის შედეგად ორი ახალგაზრდის მკვლელობის ფაქტის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ“ (იხ. <https://goo.gl/erkjh7>); „პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე 2017 წლის 1 დეკემბერს თბილისში, ხორავას ქუჩაზე მომხდარი დანაშაულის შედეგად ორი ახალგაზრდის მკვლელობის ფაქტის შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისია შეიქმნა“ (იხ. <https://goo.gl/YQXiSW>).

დროებითი საგამოძიებო კომისიის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრა 3 თვით. დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა სერგი კაპანაძე, რომლის კანდიდატურას 91 პარლამენტის წევრმა [დაუჭირა](#) მხარი.²⁴ 2018 წლის 5 სექტემბერს დროებითმა საგამოძიებო კომისიამ პარლამენტის ბიუროს წარუდგინა [დასკვნის პროექტი](#).²⁵ ამის შემდეგ პლენარულ სხდომაზე ფრაქცია „ქართულმა ოცნებამ“ ალტერნატიული [დასკვნის პროექტი](#) წარადგინა,²⁶ რომელიც პარლამენტმა მოიწონა.

დროებითი საგამოძიებო კომისიის დასკვნა შეიცავდა 32 რეკომენდაციას, რომლებიც შეეხებოდა: პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განსახორციელებელ ქმედებებს, პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს 10 თანამდებობის პირის პასუხისმგებლობის საკითხს საგამოძიებო პროცესში ჩადენილი დარღვევების გამო, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და სკოლების თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის საკითხს, სკოლაში უსაფრთხოების გასაუმჯობესებელ ღონისძიებებსა და საკანონმდებლო ცვლილებებს. სამწუხაროდ, ეს რეკომენდაციები არ შესრულებულა.

დროებითი საგამოძიებო კომისიის დასკვნასთან დაკავშირებით არასამთავრობო ორგანიზაციებმა საზოგადოებას თავიანთი [მოსაზრებები](#) გააცნეს. დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნა და მის წევრებად ოპოზიციის წარმომადგენლების არჩევა ბოლო ორი მოწვევის პარლამენტისთვის უპრეცედენტო შემთხვევაა. გარდა ამისა, დროებითი საგამოძიებო კომისიის დასკვნა სრულებით უპასუხებს ამ კომისიის მიზანს და მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომელშიც ხაზგასმით არის აღნიშნული სამართალდამცავ სისტემაში არსებული ძირითადი პრობლემები, დანაშაულის ობიექტური და ხარისხიანი გამოძიების მიმართულებით არსებული კრიტიკული გამოწვევები და ძირეული რეფორმების დაუყოვნებლივ განხორციელების აუცილებლობა.²⁷

ჩვენი ორგანიზაცია დაინტერესდა დროებითი საგამოძიებო კომისიის შესახებ საზოგადოების აზრით. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, საზოგადოება დიდი ინტერესით აკვირდებოდა დროებითი საგამოძიებო კომისიის მუშაობას. გამოკითხულთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ ე. წ. ხორავას ქუჩის საქმე საგამოძიებო ორგანოებმა საფუძვლიანად არ გამოიძიეს. ზოგადად, გამოკითხულთა უმრავლესობა გახმაურებულ საქმეებთან დაკავშირებით დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნას დადებითად აფასებს.

24 საქართველოს პარლამენტის 2018 წლის 6 ივნისის №2452 დადგენილება „2017 წლის 1 დეკემბერს თბილისში, ხორავას ქუჩაზე მომხდარი დანაშაულის შედეგად ორი ახალგაზრდის მკვლელობის ფაქტის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ“ (იხ. <https://goo.gl/erkjh7>).

25 საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის დასკვნა (იხ. <https://goo.gl/FT1iYP>).

26 ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ წარმოდგენილი საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტი „2017 წლის 1 დეკემბერს თბილისში, ხორავას ქუჩაზე მომხდარი დანაშაულის შედეგად ორი ახალგაზრდის მკვლელობის ფაქტის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შედეგების შესახებ“ (იხ. <https://goo.gl/VuJsd8>).

27 „არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება ხორავას ქუჩაზე მომხდარი დანაშაულის შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის დასკვნასთან და რეკომენდაციებთან დაკავშირებით“, 18 სექტემბერი, 2018 (იხ. <https://goo.gl/g1JJCZ>).

ღიაზონა 4. ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის შესახებ საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები

მსმენიდან თუ არა 2017 წლის დეკემბერში თბილისში ხორავას ქუჩაზე სპორტის ორი მოსწავდის მკვლელობის შესახებ? (%)



ღიაზონა 5. საგამოძიებო ორგანოების მიერ ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმის გამოძიების შესახებ საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები

თქვენი აზრით, გამოძიების თუ არა საგამოძიებო ორგანოებმა ეს საქმე საუბედოდ დაიწყო? (%)
 (96%-დან, ვინაც სმენია ხორავას ქუჩაზე მკვლელობის შესახებ)



ღიაზონა 6. განმარტებულ საქმეებზე პარლამენტის მიერ სპეციალური საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები

როგორ უთქვამთ, როგორად განმარტებულ საქმეებთან დაკავშირებით, პარლამენტმა უნდა შექმნას თუ არა სპეციალური საგამოძიებო კომისია? (%)



4.3. კანაფის კულტივირების შესახებ დისკუსია და საკანონმდებლო ინიციატივები

საზოგადოებაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა და მსჯელობის საგანი გახდა 2018 წლის ნოემბერში მთავრობის მიერ მომზადებული და ინიცირებული [კანონპროექტთა პაკეტი](#) „მცენარე კანაფის კონტროლის შესახებ“, რომელიც სამედიცინო მიზნით მარიხუანის დათესვას, მოყვანას და კულტივირებას შეეხებოდა. ამ კანონპროექტის თანახმად, ნებადართული იქნებოდა მარიხუანის მხოლოდ ექსპორტი, ხოლო იმპორტი, ისევე როგორც კანაფის კულტივირება არასამედიცინო მიზნით აიკრძალებოდა. ამასთანავე, კანაფის კულტივირებასთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელებისთვის სალიცენზიო მოსაკრებელი ლიცენზიის ყველა ტიპის შემთხვევაში 25 000 ლარი იქნებოდა. ეს საკანონმდებლო ინიციატივა საზოგადოების წარმომადგენლებმაც და სასულიერო პირებმაც გააკრიტიკეს, ხოლო საქართველოს საპატრიარქომ საგანგებო [განცხადება](#) გაავრცელა.²⁸ საბოლოოდ, აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივა მთავრობამ [უკან გაიწვია](#).²⁹

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2018 წელს საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ზურაბ ჭაფარიძე და ვახტანგ მეგრელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“³⁰ გამოიტანა [გადაწყვეტილება](#), რომლითაც მარიხუანის მოხმარებისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება არაკონსტიტუციურად ცნო.³¹ საკონსტიტუციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ „მარიხუანის ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად გამოცხადება არ არის გამართლებული მოხმარებლის ჯანმრთელობის დაცვის ინტერესით“ და იქვე მიუთითა, რომ „სასამართლო არ გამოირიცხავს სხვათა მიმართ გარკვეულ საფრთხეს მარიხუანის განსაზღვრულ გარემოებებში მოხმარების დროს, მაგალითად, სკოლებში მარიხუანის მოხმარებისას ან სხვა ვითარებაში“.³² მოგვიანებით, 2018 წლის სექტემბერში, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოამზადა საკანონმდებლო [ინიციატივა](#), რომლის თანახმადაც, მარიხუანის მოხმარება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, საზოგადოებრივ ტრანსპორტში, არასრულწლოვანთათანდასწრებით, სასწავლო დაწესებულებების სიახლოვეს და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გამოიწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას.³³

28 „საპატრიარქო: პოზიციები არ დაგვიტოვია, კატეგორიულად ვენიშნავდით კანაფის რეალიზაციას“, 18 სექტემბერი, 2018 (იხ. <https://goo.gl/e9UxMu>).

29 საქართველოს მთავრობის მომართვა „საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „მცენარე კანაფის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტისა და მისი თანმდევი პროექტების განვევის შესახებ“ (იხ. <https://goo.gl/S5Q81j>).

30 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 30 ივლისის №1/3/1282 გადაწყვეტილება საქმეზე „ზურაბ ჭაფარიძე და ვახტანგ მეგრელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (იხ. <https://goo.gl/4bRgdX>).

31 2017 წელს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მარიხუანის მოხმარებისთვის (ვრცლად იხილეთ: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბრის №1/13/732 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (<https://goo.gl/59o4fM>)).

32 ამ გადაწყვეტილებაში, სახელდობრ, აღნიშნულია: „კერძოდ, არასრულწლოვანთათვის განკუთვნილ დაწესებულებებში და/ან მათი თანდასწრებით ... შესაბამისად, გამართლებულია მარიხუანის მოხმარების შემლუდვა მისი მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დასაცავად, მათი ჯანსაღი განვითარების ინტერესების უზრუნველსაყოფად. ასევე, გამართლებულია მარიხუანის მოხმარების შემლუდვა სხვა სასწავლო, სააღმზრდელო თუ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, არმიამში, სამედიცინო, სახელმწიფო (საჯარო) დაწესებულებებში, აგრეთვე, საზოგადოებრივი თავშეყრის ზოგიერთ ადგილას (მაგალითად, საზოგადოებრივ ტრანსპორტში), საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და საჯარო წესრიგის ინტერესების დასაცავად“ (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 30 ივლისის №1/3/1282 გადაწყვეტილება (<https://goo.gl/4bRgdX>)).

33 იხ. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ კანონის პროექტი და მის თანამდევ კანონებში ცვლილებების შეტანის შესახებ კანონპროექტები (<https://goo.gl/uxTGbv>).

4.4. სპილენძი უმრავლესობის, უმცირესობისა და კომიტეტის უმარაგებლობაში

2018 წლის სექტემბერში უმრავლესობის შემადგენლობაში ცვლილებები დაიწყო – დავით ჭიჭინაძემ პლენარულ სხდომაზე უმრავლესობის დატოვების შესახებ განაცხადა. ამ განცხადებას წინ უსწრებდა „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს გადაწყვეტილება დავით ჭიჭინაძის პარტიიდან გარიცხვის თაობაზე.

2018 წლის ოქტომბერში ნათო ჩხეიძემ [დატოვა](#) ფრაქცია „საქართველოს პატრიოტები“ და პარლამენტის შემადგენლობაში დამოუკიდებელ პარლამენტის წევრად დარჩა.³⁴ საანგარიშო პერიოდში მოქმედი რეგლამენტის თანახმად, ფრაქცია „საქართველოს პატრიოტები“ მისი შემადგენლობიდან ნათო ჩხეიძის გასვლის შემდეგ უნდა დაშლილიყო,³⁵ ამიტომ მასში განევრების სურვილი გამოთქვა დამოუკიდებელმა პარლამენტის წევრმა [დავით ჭიჭინაძემ](#).³⁶

საანგარიშო პერიოდში ცვლილებები იყო საპარლამენტო თანამდებობებთან დაკავშირებითაც, კერძოდ, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან [გადადგა](#) ეკა ბესელია³⁷, რასაც წინ უძღოდა მისი მოადგილის ვანო ბარდიაშვილის მიერ კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობის დატოვება. როგორც ეკა ბესელიამ ბრიფინგზე განაცხადა, თანამდებობის დატოვება უზენაესი სასამართლოს წევრების დანიშვნის პროცესის გამო გადამწყვეტია.³⁸ აღსანიშნავია ისიც, რომ 2018 წლის ბოლო პლენარულ სხდომაზე ეკა ბესელიამ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ გედევან ფოფხაძის [არჩევის](#) საკითხი დააყენა,³⁹ რასაც დაპირისპირება მოჰყვა პარლამენტში.

4.5. პრეზიდენტის ყოველწლიური მოხსენების მოსმენა

პრეზიდენტი პარლამენტის წინაშე ყოველწლიური მოხსენებით 2018 წლის 2 მაისს წარდგა. მან თავის გამოსვლაში ისაუბრა ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკაზე, ეკონომიკურ ასპექტებზე, ინსტიტუტების გაძლიერებაზე, დემოკრატიულ ფასეულობებზე, ადამიანის უფლებების დაცვაზე, სხვადასხვა სფეროს ინსტიტუციურ რეფორმებზე, თავდაცვისა და შეიარაღებული ძალების მდგომარეობაზე.⁴⁰ პრეზიდენტმა მოხსენების დასრულების შემდეგ დებატების გამართვა მოითხოვა, რაზეც პარლამენტი არ დათანხმდა. მას შესთავაზეს, თავის დასკვნით სიტყვაში პარლამენტის წევრების შეკითხვებზე ერთიანად გაეცა პასუხი. [აღნიშნულ საკითხზე ჩატარდა კენჭისყრა](#). უმრავლესობამ დებატების გამართვაზე უარი განაცხადა,⁴¹ რის გამოც პრეზიდენტმა პროტესტის ნიშნად [პარლამენტი დატოვა](#).⁴²

34 პარლამენტის წევრის ნათო ჩხეიძის მომართვა საპარლამენტო ფრაქცია „საქართველოს პატრიოტებიდან“ გასვლის შესახებ (იხ. <https://goo.gl/wJQPNH>).

35 საანგარიშო პერიოდში მოქმედი რეგლამენტის 89-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ფრაქციაში გაერთიანებული უნდა ყოფილიყო არანაკლებ 6 წევრი (ძალადაკარგულად გამოცხადების თარიღი – 16.12.2018) (იხ. <https://goo.gl/1ehq87>).

36 პარლამენტის წევრის დავით ჭიჭინაძის მომართვა საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნებიდან“ გასვლისა და საპარლამენტო ფრაქცია „საქართველოს პატრიოტები“ განევრების შესახებ (იხ. <https://goo.gl/KtAs2C>).

37 პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის ეკა ბესელიას მომართვა კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობის დატოვების შესახებ (იხ. <https://goo.gl/BynDDK>).

38 „ეკა ბესელიამ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობა დატოვა“, 27 დეკემბერი, 2018 (იხ. <https://goo.gl/VygUPu>).

39 იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის ეკა ბესელიას მომართვა კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ საქართველოს პარლამენტის წევრის გედევან ფოფხაძის არჩევის შესახებ (იხ. <https://goo.gl/GQdsMZ>).

40 „საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი პარლამენტის წინაშე ყოველწლიური მოხსენებით წარდგა“, 02 მაისი, 2018 (იხ. <https://goo.gl/AEdaJo>).

41 „საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი პარლამენტის წინაშე ყოველწლიური მოხსენებით წარდგა“, საქართველოს პარლამენტი, 02 მაისი, 2018 (იხ. <https://goo.gl/yVdsqx>).

42 „პრეზიდენტმა პარლამენტი პროტესტის ნიშნად დატოვა“, 02 მაისი, 2018 (იხ. <https://goo.gl/Ype4ny>).

4.6. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების კანდიდატურების წარდგენა

2018 წლის 24 დეკემბერს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ პარლამენტს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობებზე დასამტკიცებლად 10 კანდიდატურა წარუდგინა.⁴³ კანდიდატთა სიის წარდგენამ პარლამენტის წევრებს შორის დაპირისპირება გამოიწვია, რასაც იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მიერ თანამდებობის დატოვება მოჰყვა. არასამთავრობო ორგანიზაციებმა გაავრცელეს რამდენიმე ერთობლივი განცხადება, რომლებიც აღნიშნული საკითხის განხილვის შეჩერებასა და მოსამართლეთა შერჩევის კრიტერიუმებს შეეხებოდა.⁴⁴

4.7. სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირება პარლამენტში

ხმაურისა და ფიზიკური დაპირისპირების გარეშე არც 2018 წელს არ ჩაუვლია. 3 აპრილს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის სხდომაზე ერთმანეთს უმრავლესობის წევრი გია გაჩეჩილაძე და პარტია „ახალი საქართველო“ ლიდერი გიორგი ვაშაძე დაუპირისპირდნენ, რასაც სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მოჰყვა.⁴⁵ შემდეგი შემთხვევა 2018 წლის 12 დეკემბრის პლენარულ სხდომაზე მოხდა: ნიკანორ მელია (ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“) და ირმა ინაშვილი (ფრაქცია „საქართველოს პატრიოტები“) ერთმანეთს სიტყვიერად დაუპირისპირდნენ.⁴⁶ მართალია, ამ ინციდენტების დროს ჯერ კიდევ მიღებული არ იყო პარლამენტის წევრის ეთიკის კოდექსი, თუმცა პარლამენტს არც მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული რეაგირების საშუალებები არ გამოუყენებია.⁴⁷

ეს ინციდენტები კიდევ ერთხელ მოწმობს პარლამენტის წევრის ეთიკის კოდექსის მიღებისა და ეფექტიანი რეაგირების მექანიზმების არსებობის საჭიროებას.⁴⁸

თავი 5. მნიშვნელოვანი საკანონმდებლო სვლილებები

5.1. პროგნოზური საკანონმდებლო სვლილებები

5.1.1. პარლამენტის ახალი ჩამოყალიბება

პარლამენტმა 2018 წლის 6 დეკემბერს მესამე მოსმენით მიიღო პარლამენტის ახალი რეგლამენტი, რომლის მიღება მნიშვნელოვანი და დადებითი ნაბიჯი იყო. ახალი რეგლამენტის მიღება, ერთი მხრივ, განაპირობა 2017 წლის ოქტომბერში განხორციელებულმა საკონსტიტუციო ცვლილებებმა, ხოლო, მეორე მხრივ, რეგლამენტის დახვეწისა და პარლამენტის ინსტიტუციური გაძლიერების საჭიროებამ. ახალი რეგლამენტის შემუშავების პროცესში აქტიურად იყო ჩართული

43 იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 24 დეკემბრის №2 წარდგინება „საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა წარდგენის შესახებ“ (იხ. <https://goo.gl/zmXJCM>).

44 „სამოქალაქო სექტორი პარლამენტისგან უზენაესი სასამართლოს დაკომპლექტების შეჩერებას მოითხოვს“, 24 დეკემბერი, 2018 (იხ. <https://goo.gl/sfybEA>); „კოალიციის მიმართვა საქართველოს პარლამენტს“, 27 დეკემბერი, 2018 (იხ. <https://goo.gl/FM3EGe>).

45 „გინება და ფიზიკური დაპირისპირება პარლამენტში“, 3 აპრილი, 2018 (იხ. <https://goo.gl/o3A5ZP>).

46 „მართლა უნდა დაგიღწოთ თავ-პირი“ – დეპუტატები ერთმანეთს ფიზიკურად დაუპირისპირდნენ, 12 დეკემბერი, 2018 (იხ. <https://bit.ly/2Ytwsbm>).

47 საანგარიშო პერიოდში მოქმედი რეგლამენტის 286-ე მუხლი (ძალადაკარგულად გამოცხადების თარიღი – 16.12.2018)(იხ. <https://bit.ly/2lbWqk0>).

48 „საქართველოს პარლამენტის ეთიკის კოდექსის მიღება უახლოეს პერიოდში უნდა მოხდეს“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, 21 დეკემბერი, 2017 (იხ. <https://goo.gl/jpHbg3>); ჩვენი ორგანიზაციის მიერ საქართველოს პარლამენტის წევრის ეთიკის კოდექსის შეფასება იხილეთ: „პარლამენტმა ეთიკის კოდექსი ეფექტური საწყისების გარეშე მიიღო“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, 11 დეკემბერი, 2018 (<https://goo.gl/NUfyTm>).

სამოქალაქო სექტორი და რეგლამენტის პროექტის ავტორებმა არასამთავრობო ორგანიზაციების არაერთი რეკომენდაცია გაითვალისწინეს.

ახალ რეგლამენტში ცვლილებები შეეხო როგორც საკანონმდებლო პროცესს, ისე პარლამენტის მიერ საზედამხებელო საქმიანობის განხორციელებას, აგრეთვე უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს ღიაობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების საკითხებს. თუმცა არის ცალკეული საკითხები, რომლებიც დახვეწას საჭიროებს.

► **საპარლამენტო კონტროლი**

ახალ რეგლამენტში პარლამენტის საზედამხებელო საქმიანობას ცალკე თავი დაეთმო. პარლამენტის რეგლამენტის XIII თავში – საპარლამენტო კონტროლი – მოცემულია შემდეგი ძირითადი სიახლეები: პარლამენტის წევრის კითხვა, ინტერპელაციის წესით შეკითხვის დასმა, პრემიერ-მინისტრის მიერ პარლამენტისთვის ყოველწლიური მოხსენების წარდგენა, პრემიერ-მინისტრის ანგარიშის წარდგენის წესის, თანამდებობის პირების სავალდებულო მოწვევის, თემატური მოკვლევის ჯგუფის, დროებითი საგამოძიებო კომისიის მარეგულირებელი ნორმების ცვლილება, აგრეთვე მნიშვნელოვნად შეიცვალა ნდობისა და უნდობლობის გამოცხადების პროცედურები.

ჩვენი შეფასება

საკონსტიტუციო ცვლილებების შემდგომ ჩვენმა ორგანიზაციამ წარმოადგინა **კვლევა**, რომელიც კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზთან ერთად მოიცავდა საპარლამენტო კონტროლის გაძლიერების რეკომენდაციებს. ზოგიერთი რეკომენდაცია გაზიარებულია და ასახულია ახალ რეგლამენტში, რომელიც აგრეთვე მოიცავს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას სხვადასხვა მიმართულებით. მაგალითად:

- მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების პროცედურის გამარტივება;
- პრემიერ-მინისტრის მიერ პარლამენტისთვის სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ ანგარიშის წარდგენა;
- ინტერპელაციის პროცედურული წესების დახვეწა და დებატების წახალისება;
- დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნისთვის ორეტაპიანი კენჭისყრის პროცედურის გაუქმება;
- დროებითი საგამოძიებო კომისიის ხელმისაწვდომობა გამოძიების მასალებზე.⁴⁹

► **უსაფრთხოების სექტორის კონტროლი**

ახალი რეგლამენტით ცვლილებები შეეხო უსაფრთხოების სექტორზე ნდობის ჯგუფის ზედამხედველობას. „ნდობის ჯგუფის შესახებ“ კანონი ძალადაკარგულად გამოცხადდა და შესაბამისი ნორმები აისახა პარლამენტის რეგლამენტში.

ჩვენი შეფასება

ახალი რეგლამენტით გარკვეულწილად გაფართოვდა ნდობის ჯგუფის მანდატი, თუმცა ეს ცვლილებები საკმარისი არ არის უსაფრთხოების სექტორის ეფექტიანი კონტროლის განსახორციელებლად.

49 ჩვენი ორგანიზაციის მიერ პარლამენტის საზედამხებელო ფუნქციების ცვლილების დეტალური შეფასება შეგიძლიათ იხილოთ: „პარლამენტის რეგლამენტის პროექტის შეფასება საზედამხებელო ფუნქციის განხორციელების მიმართულებით“, 21 ნოემბერი, 2018 (<https://goo.gl/4bHi2v>).

უსაფრთხოების სექტორის საპარლამენტო კონტროლი ამ სექტორზე ზედამხედველობის განხორციელების ძირითადი კომპონენტია, რაც [საერთაშორისო პრაქტიკითაც დასტურდება](#).⁵⁰ მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით საკანონმდებლო ბაზის არა მხოლოდ ფორმალური დახვეწა, არამედ კონტროლის რეალური და ეფექტიანი მექანიზმების შექმნა.

დადებითად უნდა შეფასდეს:

- ახალ რეგლამენტში უსაფრთხოების სექტორში შემავალი უწყებების ჩამოთვლა. ეს უზრუნველყოფს თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის საზედამხებელო ფუნქციის გაფართოებას და ხელს შეუწყობს პარლამენტის წინაშე შესაბამის უწყებათა ანგარიშვალდებულების გაზრდას;
- ახალი რეგლამენტის მოთხოვნა, რომლის თანახმადაც, უსაფრთხოების სექტორში შემავალი უწყებები, პრემიერ-მინისტრი და მთავრობა ვალდებული არიან, ნორმატიული აქტის პროექტი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას შესაბამისი უწყების სტრუქტურისა და სტრუქტურული ქვედანაყოფების ძირითადი ამოცანების შესახებ, გააცნონ ნდობის ჯგუფს.

ამ დადებითი ცვლილებების მიუხედავად, არსებული საკანონმდებლო ჩარჩო, შეზღუდული მანდატი და შესაბამის ინფორმაციაზე მაკონტროლებლის ხელმისაწვდომობის ხარისხი არ ქმნის უსაფრთხოების სექტორზე ეფექტიანი ზედამხედველობის განხორციელების წინაპირობას. ახალი რეგლამენტი არ ითვალისწინებს თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტისა და ნდობის ჯგუფისთვის, ზოგადი უფლებამოსილებების გარდა, ეფექტიანი კონტროლის განხორციელებისთვის აუცილებელი ინსტრუმენტების მინიჭებას.⁵¹

► განმარტებითი ბარათის სრულყოფა

პარლამენტის რეგლამენტის პროექტთან ერთად წარმოდგენილი იყო ვრცელი საკანონმდებლო პაკეტი. ამ პაკეტში შემავალი კანონპროექტების მიზანი იყო პარლამენტის საქმიანობის გაუმჯობესება. დადებითად უნდა შეფასდეს კანონპროექტზე დართული განმარტებითი ბარათის შინაარსის დახვეწა, რაც საზოგადოებისთვის უფრო გასაგებს გახდის როგორც კანონის მიღების აუცილებლობას, ისე მის შინაარსს.

[„ნორმატიული აქტების შესახებ“](#) კანონში შეტანილი ცვლილების თანახმად, განმარტებით ბარათში 3 კომპონენტის (მიზეზი, მიზანი, არსი) ნაცვლად, უნდა მიეთითოს 7 კომპონენტი, მათ შორის, მოსალოდნელი შედეგები და კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასა და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან.

ჩვენი შეფასება

ამ საკანონმდებლო ცვლილებით კანონპროექტზე დართული განმარტებითი ბარათი უფრო ინფორმაციული გახდა. მისასაღმებელია, რომ განმარტებით ბარათში გაჩნდა კონკრეტული ფინანსური და ეკონომიკური მაჩვენებლების პროგნოზირების მითითების ვალდებულება.

თუმცა სამწუხაროა, რომ ეს ცვლილება არ ითვალისწინებს კანონშემოქმედებით საქმიანობაში რეგულირების გავლენის შეფასების (RIA) დამკვიდრებას. ასეთი კვლევით შესაძლებელია წინასწარ გაითვალისწინოს ყველა შესაძლო ხარჯი და სარგებელი და განისაზღვროს ახალი რეგულაციის ყველა შესაძლო შედეგი.⁵²

50 „უსაფრთხოების სამსახურის რეფორმა საქართველოში“, 19 ივნისი, 2018 (იხ. <https://goo.gl/11nSCy>).

51 უსაფრთხოების სექტორის კონტროლის მიმართულებით განხორციელებული ცვლილებების შესახებ დამატებით იხილეთ ჩვენი შეფასება: „პარლამენტის რეგლამენტის პროექტი უსაფრთხოების სექტორის კონტროლის არასაკმარის მექანიზმებს ითვალისწინებს“ (<https://goo.gl/8pNgk1>).

52 დეტალურად ახალ ეთიკის კოდექსზე იხილეთ ჩვენი [ბლოგპოსტები](#): „პარლამენტმა ეთიკის კოდექსი ეფექტური სანქციების გარეშე მიიღო“.

5.1.2. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შესახებ კანონში ცვლილება

ცვლილებების თანახმად, რომელიც პარლამენტმა 2018 წლის 30 მაისს მიიღო, ძალადობრივი ხასიათის დანაშაულების გამოძიების დაწყების ან გამოძიების მიმდინარეობის შემთხვევაში პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ შემაკავებელი ორდერის გამოცემა სავალდებულო გახდა. ამასთანავე, ოჯახში ძალადობისა და ოჯახური ძალადობის (ძალადობრივი ხასიათის) დანაშაულებისთვის დამატებით სასჯელად განისაზღვრა იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვა. თუ პირის მიმართ დევნა დაწყებულია ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ან ოჯახური დანაშაულის ბრალდებით, სასამართლო პრიორიტეტულად განიხილავს პირისათვის იარაღის ჩამორთმევის ვალდებულების ან/და გარკვეულ ადგილზე შესვლისა და დაზარალებულთან მიახლოების აკრძალვის დაკისრების საკითხს.

ჩვენი შეფასება

ჩვენი ორგანიზაცია მიესალმება ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის აღკვეთის და მის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის საშუალებების გაძლიერებას. ოჯახური დანაშაულის ფაქტებისა და შემაკავებელი ორდერების შესახებ სტატისტიკა ცხადყოფს, რომ ყოველწლიურად ოჯახური ძალადობის უფრო მეტი მსხვერპლი მიმართავს პოლიციას, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ადამიანები თანდათან აცნობიერებენ, რომ ოჯახში ძალადობა არის არა მხოლოდ პირადი პრობლემა, არამედ ადამიანის უფლების ხელყოფა, რაზეც სახელმწიფოს შესაბამისი რეაგირება შეუძლია.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე მსხვერპლთა უფლებების დასაცავად გაიზარდოს სამართალდამცავი სტრუქტურებისთვის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მიმართვიანობის რაოდენობა და მთავრობამ აქტიურად განაგრძოს ქვეყნის მასშტაბით ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის თემაზე სოციალური კამპანია.⁵³

5.1.3. პარლამენტის წევრის ეთიკის კოდექსი

პარლამენტმა 2018 წლის 31 ოქტომბერს დადგენილებით მიიღო პარლამენტის წევრის ეთიკის კოდექსი, რომელიც მომდევნო მოწვევის პარლამენტის წევრებისთვისაც სავალდებულო იქნება.

ეთიკის კოდექსის პროექტის შესახებ IX მოწვევის პარლამენტმა ორჯერ იმსჯელა, რადგან თავდაპირველად ამ კოდექსის პროექტს პარლამენტის წევრებმა მხარი არ დაუჭირეს. მოგვიანებით, 2018 წლის 24 მაისს, პარლამენტს განმეორებით წარედგინა აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც პარლამენტმა საბოლოოდ დაამტკიცა. წარდგენილ პროექტებს შორის მთავარი განსხვავება ეთიკის საბჭოს მიერ სანქციების განსაზღვრის საკითხი იყო.

პარლამენტის წევრის მიერ ეთიკის ნორმების დაცვა კარგი მმართველობის ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტია. სხვადასხვა დროს პარლამენტში მომხდარი არაერთი ინციდენტი და შემთხვევა მოწმობდა პარლამენტის წევრების ქცევის ეთიკის სტანდარტების დადგენის საჭიროებას. ამასთანავე, ამ კოდექსის მიღების ვალდებულება საქართველოს ღია პარლამენტის 2017 წლის სამოქმედო გეგმითაც იყო განსაზღვრული. ეთიკის კოდექსის ორივე პროექტი ღია მმართველობის მუდმივმოქმედმა საპარლამენტო საბჭომ შეიმუშავა. ამ კოდექსზე დართული განმარტებითი ბარათის თანახმად, პარლამენტის მიერ მიღებული ეთიკის კოდექსის მიზანია, სახელმწიფოსა და საზოგადოების მიერ პარლამენტის წევრებისთვის დაკისრებული პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, დაადგინოს მათი მაღალი ეთიკური სტანდარტები, ხელი შეუწყოს პარლამენტისადმი საზოგადოების ნდობის ამაღლებას და პარლამენტის წევრების მიერ მათი მოვალეობების ღირსეულად და კეთილსინდისიერად შესრულებას. ეს კოდექსი აგრეთვე ხელს შეუწყობს პარლამენტის წევრის რეპუტაციის, პატივისა და ღირსების დაცვას.

ჩვენი შეფასება

ეთიკის კოდექსის მიღება მნიშვნელოვანი ნაბიჯია, თუმცა ყურადსაღებია ამ დოკუმენტის ხარვეზიც – არ არსებობს კოდექსის მოთხოვნების დარღვევაზე შესაბამისი რეაგირების ეფექტიანი მექანიზმები. პარლამენტის წევრის მიერ ქცევის წესის დარღვევის შემთხვევაში პარლამენტის

53 ჩვენი ორგანიზაციის მიერ ამ ცვლილებების შეფასება იხილეთ: „ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ რეგულაციები მკაცრდება“, 30 აპრილი, 2018 (<https://goo.gl/Fvejyf>).


წევრის ეთიკის კოდექსი ითვალისწინებს მისთვის სარეკომენდაციო წერილით მიმართვის უფლებამოსილებას. აგრეთვე გადანაცვების მიღების შემდეგ პარლამენტის ვებგვერდზე გამოქვეყნდება იმ პარლამენტის წევრის სახელი, რომელმაც აღნიშნული კოდექსი დაარღვია, შესაბამისი დარღვევის მოკლე აღწერით. ეთიკის კოდექსის პირველი რედაქცია, რომელსაც მხოლოდ 39 პარლამენტის წევრმა დაუჭირა მხარი, ქცევის წესის დარღვევის შემთხვევაში [სხვადასხვა სანქცას ითვალისწინებდა](#).

ამ მნიშვნელოვანი ხარვეზის მიუხედავად, პარლამენტის მიერ ეთიკის კოდექსის მიღება წინ გადადგმული პირველი ნაბიჯია და ვიმედოვნებთ, იგი ეფექტიანად იმუშავებს და ეტაპობრივად დაიხვეწება იმ ხარვეზების, რომლებიც კოდექსის პრაქტიკაში გამოყენებისას იჩენს თავს, აღმოფხვრით შემდგომ.⁵⁴

ჩვენ დავინტერესდით, რას ფიქრობენ საქართველოს მოქალაქეები პარლამენტის წევრის მიერ ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევაში მათზე რეაგირების არსებულ ფორმებზე. გამოკითხვის შედეგების თანახმად, გამოკითხულთა უმეტესობა მხარს უჭერს სიტყვიერი შეურაცხყოფის შემთხვევაში პარლამენტის წევრის დაჯარიმებას. ეთიკის ნორმების დარღვევებზე ეფექტიანი რეაგირების მექანიზმის არსებობა ჩვენი ერთ-ერთი რეკომენდაციაც იყო, რომელიც ეთიკის კოდექსის ავტორებმა არ გაიზიარეს.

დიაგრამა 7. პარლამენტის წევრის არაეთიკური ქმედის შესახებ საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები

თქვენი აზრით, რა საშუალება დაეკისროს დაუშუალოს სიტყვიერი შეურაცხყოფის გამო? (%)



54 საქართველოს პარლამენტის წევრის ეთიკის კოდექსის ახალი ვარიანტის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ ჩვენს ბლოგპოსტში: „პარლამენტმა ეთიკის კოდექსი ეფექტური სანქციების გარეშე მიიღო“, 11 დეკემბერი, 2018 (<https://goo.gl/Z5m76y>).

5.1.4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანა

პარლამენტმა 2017 წლის 13 ოქტომბერს საქართველოს კონსტიტუციის ცვლილებებთან ერთად მიიღო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონი, რომლის საფუძველზე 2018 წელს ცვლილებები შევიდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში.

- დადგინდა უფლებამოსილებათა უნივერსალურობის პრინციპი, რომლის თანახმად, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას შეუძლია განახორციელოს ნებისმიერი უფლებამოსილება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით არ მიეკუთვნება სახელმწიფო ხელისუფლების განსაკუთრებულ უფლებამოსილებას ან ადგილობრივი თვითმმართველობის ექსკლუზიურ საკუთარ უფლებამოსილებას და რომლის განხორციელებაც საქართველოს კანონმდებლობით არ გამოირიცხება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილებიდან;
- შეიცვალა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დაკომპლექტების წესი;
- ახლებურად დარეგულირდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილებები;
- შეიცვალა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კონტროლის ფუნქციის მარეგულირებელი ნორმები.

ჩვენი შეფასება

ამ საკანონმდებლო ინიციატივის ფარგლებში წარმოდგენილი ცვლილებები ითვალისწინებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილების გაზრდას, რათა მოხდეს ავტონომიის დეცენტრალიზაცია და გაძლიერება. ამ მიმართულებით:

- დადებითად უნდა შეფასდეს უფლებამოსილების დელეგირების ახალი წესი და უნივერსალურობის პრინციპის შემოღება. მნიშვნელოვანია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გამგებლობისთვის მიკუთვნებულ სფეროებში უფლებამოსილებების გაფართოებისას შემუშავდეს შესაბამისი საკანონმდებლო საფუძვლები, რომლებიც ხელს შეუწყობს ეფექტიან მართვას და რეგიონზე მორგებული პოლიტიკის განხორციელებას;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატურის წარდგენისას ამ კანდიდატურის საქართველოს მთავრობასთან შეთანხმების გაუქმება დადებითი ცვლილებაა;
- დადებითად უნდა შეფასდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საზედამოებლო ფუნქციის გაძლიერებისკენ მიმართული ცვლილებები (კონსტიტუციის მუხლები, რომლებიც შეეხება უმაღლესი საბჭოს წევრის კითხვასა და ინტერპელაციას, უმაღლესი საბჭოს დროებით კომისიასა და დროებითი კომისიის მოთხოვნით მის სხდომებზე გამოცხადებას, აგრეთვე კონსტიტუციით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების პროცესის გამარტივება).⁵⁵

5.1.5. ელექტრონული კუთხიების დანერგვა

პარლამენტმა 2018 წლის აპრილში პარლამენტის რეგლამენტში შეიტანა ცვლილება, რომლითაც მოქალაქეს პარლამენტის ვებგვერდზე პეტიციის⁵⁶ ან საკანონმდებლო ინიციატივის ელექტრონული ფორმით წარდგენის და მხარდაჭერის შესაძლებლობა მიეცა. გარდა ამისა, პარლამენტის ვებგვერდზე დაინერგება სისტემა, რომელიც მოქალაქეებს საშუალებას აძლევს,

55 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის შეფასებასთან დაკავშირებით იხილეთ: „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებები შედის“, 27 აპრილი, 2018 (<https://goo.gl/oC8QUL>).

56 პეტიცია არის წერილობითი კოლექტიური თხოვნა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისადმი, მთავრობის მეთაურისადმი; კოლექტიური შუამდგომლობა (იხ. <https://goo.gl/Jv8aes>).

გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები კანონპროექტის ან მისი ცალკეული ნაწილების შესახებ. ეს ინიციატივა გამომდინარეობდა საქართველოს ღია პარლამენტის 2017 წლის სამოქმედო გეგმით ნაკისრი ვალდებულებებიდან.

იგივე მიდგომა გაზიარებულია 2018 წლის 6 დეკემბერს მიღებულ ახალ რეგლამენტშიც და შესაბამისი ნორმების შინაარსი არსებითი ცვლილების გარეშეა გადატანილი.

ჩვენი შეფასება

ჩვენი ორგანიზაციის შეფასებით, ეს ცვლილება კანონმდებლობით პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის მაღალი სტანდარტის დანერგვისკენ გადადგმული ნაბიჯია.⁵⁷

5.2. პოზიტიური საკანონმდებლო სვლილებები, რომლებიც დახვეწას საჭიროებს

5.2.1. სასამართლოს ჩაწოჩის „მეოთხე ტაღის“ საკანონმდებლო ინიციატივა

სასამართლო რეფორმის „მეოთხე ტაღის“ ფარგლებში შესაბამის კანონპროექტთა პაკეტი პარლამენტმა 2018 წლის 7 მარტს მიიღო.⁵⁸ ძირითადი ცვლილებები შეტანილია „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში. ეს ცვლილებები შესაძლებელს ხდის, სააპელაციო სასამართლოში განხორციელდეს მოსამართლეთა ვინჩრო სპეციალიზაცია, აგრეთვე იცვლება სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარისა და მისი მოადგილის მიერ უფლებამოსილების განხორციელების წესი.

ჩვენი შეფასება

ეს საკანონმდებლო ინიციატივა შეაფასა კოალიციამ „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“, ⁵⁹ რომლის ზოგიერთი რეკომენდაცია პარლამენტმა გაითვალისწინა.

უარყოფითად უნდა შეფასდეს:

- ზოგადი ნორმის სახით სპეციალიზაციის მექანიზმის შემოღება; ეს ცვლილება სააპელაციო სასამართლოებში გაუმართლებელია და იგი სასამართლოს დამოუკიდებლობისთვის მნიშვნელოვანი საფრთხის შემცველია;
- სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარისა და მისი მოადგილის მოვალეობების შესრულების განსაზღვრის წესი, რომელიც ზოგადია და არავითარ შემღუდვას არ აწესებს სასამართლოს თავმჯდომარისა და მისი მოადგილის მოვალეობის შემსრულებლების დანიშვნისთვის, რაც სხვა არაფერია, თუ არა მოვალეობის შემსრულებლების დანიშვნის მანკიერი პრაქტიკის კანონით განმტკიცება.

5.2.2. „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ კანონი

„სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ კანონი პარლამენტმა 2018 წლის 27 ივლისს მიიღო.⁶⁰ ამ კანონით პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ნაცვლად ახალი სამსახური შეიქმნა, რომელიც ინსპექტორის ფუნქციებთან ერთად ასრულებს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ კონკრეტული ტიპის დანაშაულებზე გამოძიების წარმოების უფლებამოსილებას.

57 ამ საკანონმდებლო ცვლილების დეტალური შეფასება და რეკომენდაციები იხილეთ: „პარლამენტში მოქალაქეთა მიერ საკანონმდებლო ინიციატივის და პეტიციის წარდგენა ელექტრონული ფორმით იქნება შესაძლებელი“, 06 თებერვალი, 2018 (<https://goo.gl/N2SU1e>).

58 „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონის პროექტი და მისი თანამდევი ცვლილებები (იხ. <https://bit.ly/2JiNZ7T>).

59 კოალიციის „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ მოსაზრებები სასამართლო რეფორმის „მეოთხე ტაღის“ კანონპროექტებზე, 11 იანვარი, 2018 (იხ. <https://bit.ly/2HgU4zA>).

60 „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ კანონი (იხ. <https://bit.ly/2w2V5Vj>).

ჩვენი შეფასება

ჩვენმა ორგანიზაციამ და „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ კოალიციის სხვა წევრებმა შევაფასეთ ეს საკანონმდებლო ინიციატივა და მის ავტორებს ჩვენი რეკომენდაციები კანონპროექტის პარლამენტში ინიცირებამდე წარვუდგინეთ.

კოალიცია დადებითად აფასებდა ახალი ინსტიტუტის შექმნას, თუმცა იმავდროულად აღნიშნავდა, რომ საგამოძიებო უწყება მოქნილი და მცირე ბიუროკრატიული აპარატით ცალკე უწყებად უნდა ჩამოყალიბებულიყო. პრობლემური საკითხები იყო: საპროკურორო ზედამხედველობის საკითხი, შინაგან საქმეთა მინისტრისა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის შესაძლო დანაშაულების გამოძიების უფლების უქონლობა და უფლებამოსილების გადამეტების საქმეებში სახელმწიფო ინსპექტორის მონაწილეობის აუცილებლობა.⁶¹

5.2.3. „აღმოკაბთა შესახებ“ კანონში ცვლილება

პარლამენტმა [ცვლილებები](#) 2018 წლის 4 აპრილს მიიღო.⁶² ამ საკანონმდებლო ცვლილებით ახლებურად რეგულირდება: ადვოკატის საქმიანობის ძირითადი პრინციპები, საკვალიფიკაციო გამოცდისა და სტაჟირების წესი და კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობის საკითხები; ამასთანავე, ცვლილებები შევიდა ეთიკის კომისიის დაკომპლექტების წესშიც.

ჩვენი შეფასება

აღნიშნული ინიციატივა მნიშვნელოვან საკითხებს ითვალისწინებს. დადებითად უნდა შეფასდეს ადვოკატთა საქმიანობის პრინციპების ჩამონათვალის გაფართოება და ადვოკატის დაცვის გარანტიების გაზრდა. ბუნდოვანია და დაზუსტებას საჭიროებს ჩანაწერი სავალდებულო სტაჟირების 1-წლიანი პროგრამის თეორიული და პრაქტიკული ნაწილების შესახებ. მეტ დასაბუთებას საჭიროებდა ჩანაწერი სტაჟირების პრაქტიკული კომპონენტის მხოლოდ ადვოკატთა ასოციაციის წევრთან გავლის შესახებაც.⁶³

5.2.4. თანამდებობის პირობა უმცირესი მდგომარეობის დაქვანებითან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილება

„საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ [კანონს](#)⁶⁴ დაემატა დეკლარაციის არაარსებითი დარღვევის ცნება და ამომწურავად გაიწერა, თუ რა შეიძლება იყოს მისი წინაპირობები. არაარსებითი დარღვევის დროს პირველ ეტაპზე პირი აღარ ჯარიმდება; მას ეძლევა გაფრთხილება. აგრეთვე შეიცვალა დეკლარაციაში დარღვევის არსებობისას გათვალისწინებული ჯარიმა და იგი თანამდებობის პირის ანაზღაურების ოდენობას დაუკავშირდა.⁶⁵

ჩვენი შეფასება

მიგვაჩნია, რომ გამართლებულია იმ შემთხვევების განსაზღვრა, როცა შესაძლებელია პირი პირველ ეტაპზე არ დაჯარიმდეს და მიეცეს გაფრთხილება. გარდა ამისა, დარღვევის არსებობისას თანამდებობის პირის გაფრთხილებასა და დაჯარიმებასთან ერთად უნდა გაჩნდეს შესწორების მექანიზმიც – არადეკლარირებული ან არასწორად დეკლარირებული ინფორმაცია უნდა აისახოს

61 კოალიციის მიერ „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ კანონის პროექტის შეფასება სრულად იხილეთ: „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შექმნასთან დაკავშირებით კოალიციის შეფასება“, 14 თებერვალი, 2018 (<https://goo.gl/9wFNaw>).

62 „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონის პროექტი და მისი თანამდევნი ცვლილებები (იხ. <https://bit.ly/2WDcccg>).

63 ვრცლად ჩვენი შეფასება იხილეთ: „ადვოკატთა შესახებ“ კანონში ცვლილებები იგეგმება“ 20 მარტი, 2018 (<https://goo.gl/DBaAFp>).

64 „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონის პროექტი (იხ. <https://bit.ly/2Ym2Ba2>).

65 კანონპროექტის თავდაპირველი რედაქცია არაარსებითი დარღვევის სახედ მიიჩნევდა ისეთი საწარმოს მიუთითებლობას, რომელიც „არ ფუნქციონირებდა“. ჩანაწერი იყო ბუნდოვანი და კანონპროექტის განხილვის შემდგომ ეტაპზე აღნიშნული ჩანაწერი შეიცვალა.

თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში (მაგალითად, შენიშვნის ფორმით, ახალი გრაფის დამატებით).⁶⁶

5.3. ნებათიური საკანონმდებლო სვლილებები

5.3.1. პაჩიიბის ღაჟინანსების წესის სვლიება

2018 წლის 18 აპრილს პარლამენტმა მიიღო „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ კანონის [ცვლილებები](#), რომლითაც პარტიას კვალიფიციურის სტატუსი მიენიჭება; შესაბამისად, იგი საბიუჯეტო დაფინანსებას მიიღებს, თუ მის მიერ წარდგენილი მაჟორიტარული სისტემით არჩეული პარლამენტის წევრი (წევრები) შექმნის (შექმნიან) საპარლამენტო ფრაქციას, მიუხედავად იმისა, გადალახავს თუ არა ეს პარტია არჩევნებში 3-პროცენტიან ზღვარს.

ჩვენი შეფასება

მიგვაჩნია⁶⁷, რომ ეს ცვლილება ყოვლად გაუმართლებელია, ვინაიდან იგი, გარდა იმისა, რომ შეგნებულად მხოლოდ ერთ პარტიაზეა მორგებული, მნიშვნელოვნად ამცირებს სახელმწიფო დაფინანსების მისაღებად საჭირო სტანდარტს და ზრდის შეზღუდული სახელმწიფო რესურსის არამიზანშეწონილად გამოყენების რისკებს.

პოლიტიკური გაერთიანებებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების გამოყოფა მათ მიერ მთელი ქვეყნის მასშტაბით მოპოვებული ამომრჩეველთა მხარდაჭერის გამო უნდა ხდებოდეს და არა პარტიის იმ ერთი წევრის პარლამენტში არჩევისთვის, რომელიც შემდეგ საპარლამენტო ფრაქციას შექმნის. ჩვენი ინფორმაციით, საპარლამენტო უმრავლესობა ამჟამად მუშაობს პარტიებისთვის სახელმწიფო დაფინანსების მიღების წესის შეცვლაზე; შესაბამისად, ეს გარემოება უფრო გაუმართლებელს ხდის ასეთ ფრაგმენტულ, არაგონივრულ და ვიწროპარტიული ინტერესებით ნაკარნახებ ცვლილებას

5.3.2. საპენსიო რეფორმა

პარლამენტმა 2018 წლის 21 ივლისს [მიიღო](#) „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ კანონი, რომლის საფუძველზეც 2019 წლის 1 იანვრიდან საქართველოში დაგროვებითი საპენსიო სისტემა ამოქმედდა. ამ კანონის თანახმად, 40 წლამდე დაქირავებით დასაქმებული საქართველოს მოქალაქეებისთვის საპენსიო სქემაში ჩართვა სავალდებულოა, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ ხელფასის 2 პროცენტი საპენსიო შენატანში უნდა მიმართონ. ამასთანავე, დასაქმებული ვალდებულია დასაქმებულის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე გადარიცხოს დასაქმებულის ხელფასის 2 პროცენტი. გარდა ამისა, სახელმწიფო ვალდებულია დასაქმებულის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე გადარიცხოს ხელფასის 2 პროცენტი ხელფასის სახით მიღებული შემოსავლის იმ მოცულობაზე, რომელიც არ აღემატება 24 000 ლარს წელიწადში, ხოლო ხელფასის 1 პროცენტი – ხელფასის სახით მიღებული შემოსავლის 24 000 ლარიდან 60 000 ლარამდე მოცულობაზე.

ჩვენი შეფასება

საპენსიო რეფორმასთან დაკავშირებული კანონპროექტის განხილვა პარლამენტმა დაიწყო რეგულირების გავლენის შეფასების დოკუმენტის (RIA) გარეშე, რომელიც მთავრობამ მოგვიანებით, ამ კანონპროექტის განხილვის ერთ-ერთ ეტაპზე წარმოადგინა.⁶⁸ მიგვაჩნია⁶⁹, რომ

66 „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე დეტალური ინფორმაცია იხილეთ ჩვენს ბლოგპოსტში: „ქონებრივ დეკლარაციებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების შეფასება“, 26 მარტი, 2018 (<https://goo.gl/nqmrML>).

67 ჩვენი ორგანიზაციის მიერ ამ საკანონმდებლო ცვლილების შეფასება სრულად იხილეთ [განცხადებაში](#) „პარტიებისთვის განკუთვნილი სახელმწიფო დაფინანსების განაწილების წესი კვლავ გაუარესდა“, 20 აპრილი, 2018 (<https://goo.gl/GT6PJr>).

68 რეგულირების გავლენის შეფასება დაგროვებით საპენსიო რეფორმაზე, საქართველოს მთავრობა, 2018 (იხ. <https://bit.ly/2HIs3FO>).


69 საპენსიო რეფორმასთან დაკავშირებული ჩვენი კონტრარგუმენტები და რეკომენდაციები უფრო დეტალურად იხილეთ: „10 შენიშვნა საპენსიო რეფორმაზე“, 01 მარტი, 2018 (<https://goo.gl/uQpwcY>). ეს საკითხი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრდა (იხ. <https://bit.ly/2TSBzV5>).

ეს კანონი ვერ უზრუნველყოფს ე. წ. ღირსეულ პენსიას, რადგან სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სისტემა სამუშაო ასაკის მოსახლეობის მხოლოდ 10.5 პროცენტზე გავრცელდება. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ არსებული დაბალი ხელფასები „ღირსეულ პენსიის“ აღების საშუალებას არ იძლევა. ამასთანავე, სახელმწიფო შემოთავაზებული საპენსიო სისტემით მოსახლეობაში სოციალური უთანასწორობის გაზრდას უწყობს ხელს. მომავალში სახელმწიფო დასაქმებული და მაღალშემოსავლიანი მოქალაქეების პენსიაში მეტ კონტრიბუციას გასწევს, ვიდრე უმუშევარი და დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის შემთხვევაში.

საპენსიო რეფორმის მნიშვნელობიდან გამომდინარე, დავინტერესდით, რას ფიქრობს საზოგადოება ამ რეფორმისა და მისი შედეგების შესახებ. გამოკითხვის მიხედვით, იმ პირთა უმეტესობა, რომლებსაც რეფორმის შესახებ სმენიათ, უარყოფითად აფასებს მას.


დიაგრამა 8. დაბრუნებითი საპენსიო რეფორმის შესახებ საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები

გსმენიათ თუ არა დაბრუნებითი საპენსიო რეფორმის შესახებ? (%)



დიაგრამა 9. დაბრუნებითი საპენსიო რეფორმის შეფასების შესახებ საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები

როგორ შეაფასებდით დაბრუნებითი საპენსიო რეფორმას? (%)
(87%-დან, ვისაც სმენია დაბრუნებითი საპენსიო რეფორმის შესახებ)



დიაგრამა 10. საპენსიო სქემაში ჩართვის შედეგების შესახებ საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები

საპენსიო სქემაში ჩართვის შედეგად შემოიხშირათ თუ არა ხალხი ასაღები ხელფასი/შემოსავალი? (%)
(მათგან, ვინც თქვა, რომ დასაქმებული, სმენია და ჩართულია საპენსიო სქემაში)



5.3.3. „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში ცვლილება

2018 წლის 21 თებერვალს პარლამენტმა დაძლია პრეზიდენტის ვეტო და „მაუწყებლობის შესახებ“ კანონსა და მის თანამდევ კანონებში შეიტანა ცვლილებები,⁷⁰ რომლებითაც საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის გათვალისწინებულია გაუმჯობესებული შესყიდვების პროცედურები, სპონსორობა და კომერციული რეკლამის განთავსების დროის გაზრდა.

ჩვენი შეფასება

აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება მნიშვნელოვნად ზრდის საზოგადოებრივ მაუწყებელში გაუმჯობესებისა და კორუფციის რისკებს. იგი აგრეთვე დააბარალებს კერძო მაუწყებლებსა და, ზოგადად, ქართულ მედიაგარემოს. ამ ცვლილებების თანახმად, მაუწყებელს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გარკვეული გამონაკლისები უნესდება, იზრდება მენეჯმენტის ფუნქციები, ხოლო სამეურვეო საბჭოს ფუნქციები მცირდება, აგრეთვე ორმაგდება დრო კომერციული რეკლამისთვის, რომლის განთავსებაც მაუწყებელს შეუძლია, და ის კერძო მაუწყებლების კონკურენტი ხდება.⁷¹

თავი 6. კანონშემოქმედებითი პროცესის მიმდინარეობა და შეფასება

6.1. მთავრობის კანონშემოქმედებითი საქმიანობის გეგმა

საანგარიშო პერიოდში მთავრობამ პარლამენტში ორჯერ წარადგინა დაგეგმილი საკანონმდებლო ინიციატივების შესახებ ინფორმაცია (კანონშემოქმედებითი საქმიანობის გეგმა):

1. საგაზაფხულო სესიაზე განსახილველი [კანონპროექტთა ნუსხა](#);

⁷⁰ „მაუწყებლობის შესახებ“ კანონსა და მის თანამდევ კანონებში ცვლილებების შეტანის თაობაზე კანონპროექტები (იხ. <https://bit.ly/2vTJCaP>).

⁷¹ დეტალური ინფორმაცია ამ ცვლილებების შესახებ იხილეთ ჩვენი ორგანიზაციის შეფასებაში: „რა იცვლება „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში და როგორ წარიმართა ცვლილებების ინიცირებისა და განხილვის პროცესი“, 10 ივლისი, 2017 (<https://goo.gl/6gBLMh>).

2. სამემოდგომო სესიაზე განსახილველი კანონპროექტთა ნუსხა.

ამ ნუსხებში შეტანილია ზოგიერთი საკანონმდებლო აქტი, რომლებიც 2017 წლის კანონშემოქმედებითი საქმიანობის გეგმაშიც იყო, თუმცა პარლამენტს ისინი არც საანგარიშო პერიოდში არ მიუღია. ესენია უმთავრესად ახალი კანონების პროექტები:

- „ინფორმაციის თავისუფლების შესახებ“ კანონის პროექტი;
- „სპეციალიზებული კომერციული და საგადასახადო პალატის შესახებ“ კანონის პროექტი (ამ კანონპროექტის თანახმად, საერთო სასამართლოების სისტემაში შეიქმნება კომერციული კოლეგიები და პალატები, რომლებიც სპეციალიზებული იქნებიან ძვირადღირებული კომერციული დავების სწრაფად და ეფექტიანად განხილვასა და გადაწყვეტაზე);
- „მედიაციის შესახებ“ კანონის პროექტი;
- აღსრულების კოდექსის პროექტი;
- „შემლუდულიშესაძლებლობისმქონეპირებისთვისთანაბარიშესაძლებლობისუზრუნველყოფის შესახებ“ კანონის პროექტი;
- „მენარმეთა შესახებ“ კანონის პროექტი.

6.2. კომიტეტების სამოქმედო გეგმა

კომიტეტების მუშაობის სათანადოდ დაგეგმვისთვის მნიშვნელოვანია, რომ თითოეულ კომიტეტს ჰქონდეს წლიური სამოქმედო გეგმა (სტრატეგია), რომელიც კონკრეტულ პერიოდზე იქნება გათვლილი. საანგარიშო პერიოდში მოქმედი რეგლამენტის შესაბამისად, 2018 წლისათვის კომიტეტს არ ეკისრებოდა სამოქმედო გეგმის შემუშავების ვალდებულება, მაგრამ ახალი რეგლამენტის თანახმად, საგაზაფხულო სესიის დაწყებამდე კომიტეტი ვალდებულია შეადგინოს მუშაობის წლიური სამოქმედო გეგმა, რომელიც უნდა დამტკიცდეს კომიტეტის გადანაცვებით, საგაზაფხულო სესიის დაწყებიდან არაუგვიანეს 2 კვირისა.⁷²

თუ საანგარიშო პერიოდის წინა წელს⁷³ 15 კომიტეტიდან მხოლოდ 7 კომიტეტმა განათავსა თავიანთი წლიური სამოქმედო გეგმები პარლამენტის ვებგვერდზე, 2018 წელს უკვე 13 კომიტეტმა წარმოადგინა წლიური სამოქმედო გეგმები. ეს კომიტეტებია⁷⁴:

1. აგრარულ საკითხთა კომიტეტი⁷⁵
2. განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტი⁷⁶
3. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი⁷⁷
4. დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი⁷⁸
5. დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტი⁷⁹

72 საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მუხლი 43 (იხ. <https://goo.gl/1o1CPh>).

73 სამოქმედო გეგმების შესახებ ინფორმაცია ბოლოს 2019 წლის მარტში შემოწმდა.

74 წლიური სამოქმედო გეგმები არ წარმოუდგენიათ თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტსა და საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტს.

75 იხ. 2018–2020 წლების სამოქმედო გეგმა (<https://bit.ly/2OXLPL9>)

76 იხ. 2019 წლის სამოქმედო გეგმა (<https://bit.ly/2Kg3i2n>)

77 იხ. 2018–2030 წლების სტრატეგია და 2018–2020 წლების სამოქმედო გეგმა (<https://bit.ly/2KgKOyU>)

78 იხ. 2019 წლის სამოქმედო გეგმა, 2018 წლის სამემოდგომო სესიის სამოქმედო გეგმა (<https://bit.ly/2YTV3kR>)

79 იხ. 2019 წლის სამოქმედო გეგმა (<https://bit.ly/2IkSAFo>)

6. [ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი](#)⁸⁰
7. [იურიდიულ საკითხთა კომიტეტი](#)⁸¹
8. [რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტი](#)⁸²
9. [საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი](#)⁸³
10. [საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი](#)⁸⁴
11. [სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტი](#)⁸⁵
12. [ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი](#)⁸⁶
13. [ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი](#)⁸⁷

აქვე აღვნიშნავთ, რომ საანგარიშო პერიოდისათვის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტს თავისი წლიური სამოქმედო გეგმა არ განუახლებია.

6.3. კანონპროექტების დაჩქარებული წესით განხილვა

საანგარიშო პერიოდში მოქმედი რეგლამენტის თანახმად, კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პარლამენტის ბიურო კანონპროექტის ინიციატორის ან წამყვანი კომიტეტის წინადადების საფუძველზე. თუ პარლამენტის ბიურო არ მიიღებს გადაწყვეტილებას კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის შესახებ, ამ საკითხს განიხილავს და შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს პარლამენტის პლენარული სხდომა.

საანგარიშო პერიოდში შემცირდა კანონპროექტების დაჩქარებული წესით განხილვისა და მიღების მოთხოვნები. 2018 წელს კანონპროექტების დაჩქარებული წესით განხილვის **180** მოთხოვნა იყო. შედარებისთვის შევნიშნავთ, რომ 2016 წელს – IX მოწვევის პარლამენტის საქმიანობის დაწყების წელს – პარლამენტმა დაჩქარებული წესით **213** კანონპროექტი განიხილა. 2018 წელსაც ყველაზე მეტი მოთხოვნის ინიციატორი მთავრობა იყო (მოთხოვნათა საერთო რაოდენობის 68%).

რაც შეეხება პარლამენტის წევრებსა და კომიტეტებს, პარლამენტის წევრებმა, რომლებიც ყველა უმრავლესობის წევრი იყო, მოითხოვეს **57** კანონპროექტის (**22** საკანონმდებლო ინიციატივის) დაჩქარებული წესით განხილვა, ხოლო კომიტეტებიდან მხოლოდ იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა მოითხოვა 22 საკანონმდებლო ინიციატივის დაჩქარებული წესით განხილვა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ კანონი, რომლითაც სხვა ცვლილებებთან ერთად გათვალისწინებული იყო ამოქმედების [გადავადება](#),⁸⁸ მიღებულ იქნა დაჩქარებული წესით.

80 იხ. 2019 წლის სამოქმედო გეგმა; 2018–2020 წლების სამოქმედო გეგმა (<https://bit.ly/2VuwhRq>).

81 იხ. 2019–2020 წლების სამოქმედო გეგმა (<https://bit.ly/2lhFLvu>).

82 იხ. 2018–2020 წლების სამოქმედო გეგმა და სტრატეგია (<https://bit.ly/2G7GsGa>).

83 იხ. 2018–2020 წლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა (<https://bit.ly/2YX86gx>).

84 იხ. 2019 წლის სამოქმედო გეგმა; 2018–2020 წლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა (<https://bit.ly/2VE2fKQ>).

85 იხ. 2018–2020 წლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა (<https://bit.ly/2rgoa01>).

86 იხ. 2019 წლის სამოქმედო გეგმა, 2017–2020 წლების სამოქმედო გეგმა (<https://bit.ly/2WSro4X>).


87 კომიტეტის სამოქმედო გეგმა (2015–2016), (იხ. <https://bit.ly/2FsiDDN>)

88 პარლამენტის წევრების (დავით მათიკაშვილის, ვანო ზარდიაშვილის, ანრი ოხანაშვილის, გედევან ფოფხაძისა და ლევან გოგიჩაიშვილის) ინიციატივა „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონსა და მის თანამდევ კანონებში ცვლილებების შეტანის შესახებ კანონპროექტები (იხ. <https://goo.gl/57dPz4>).

დიაგრამა 11. კანონპროექტების დაჩქარებული წესით განხილვის მოთხოვნათა რაოდენობა და ზედები



დიაგრამა 12. დაჩქარებული წესით განხილული კანონპროექტების რაოდენობა და ინიციატორები



ცხრილი 1. დაჩქარებული წესით განხილული კანონპროექტებისა და ინიციატორი პარლამენტის წევრების რაოდენობა⁸⁹

ინიციატორი	განხილვის დაჩქარებული წესით წარდგენილ კანონპროექტთა რაოდენობა
ვ. ბარდიაშვილი	36
ლ. გოგიჩაიშვილი	34
დ. მათიკაშვილი	34
ა. ოხანაშვილი	34
გ. ფოფხაძე	33

⁸⁹ პარლამენტის წევრების მოთხოვნით, დაჩქარებული წესით სულ განხილულია 57 კანონპროექტი (22 საკანონმდებლო ინიციატივა). პარლამენტის წევრების შემთხვევაში დათვლილია ინდივიდუალურად, თითოეული კანონპროექტის რაოდენობა. ყველა კანონპროექტის ინიციატორები უმრავლესობის წარმომადგენლები იყვნენ.

კ. ლურსმანაშვილი	5
რ. იონათამიშვილი	5
კ. კუჭავა	4
ს. მახათაძე	4
რ. არველაძე	4
ე. მაჭავარიანი	4
გ. მაჭარაშვილი	3
მ. ჯაში	3
ს. ნოზაძე	3
ზ. ხუციშვილი	3
დ. ხუნდაძე	3
ზ. გაბუნია	3
ე. ბესელია	2
გ. მარგველაშვილი	2
ა. ზოიძე	2
ს. კუდბა	2
გ. კახიანი	1
გ. გულორდავა	1
გ. ჟორჟოლიანი	1
ს. კილაძე	1
დ. ცქიტიშვილი	1
ი. ბერაია	1
ი. სესიაშვილი	1
ო. ჩრდილელი	1
ბ. ოდიშარია	1
ლ. კობერიძე	1
ი. ნაკაშიძე	1
დ. მხეიძე	1
გ. ვოლსკი	1
თ. კოხრეიძე	1


6.4. კანონპროექტების გამაჩივებელი წესით განხილვა და კანონის ამოქმედების გადაწყვეტილება

საქართველოს კანონის ამოქმედების გადავადების ორი შესაძლებლობა არსებობს:

- 1) წარმოდგენილი კანონპროექტის ამოქმედების გადავადება მოთხოვნილ იქნეს გამარტივებული წესით ინიცირებისას;
- 2) წარმოდგენილი კანონპროექტი სხვა ცვლილებებთან ერთად ითვალისწინებს აგრეთვე შესაბამისი კანონის ამოქმედების გადავადებას.

2018 წელს შემცირდა კანონპროექტების გამარტივებული წესით განხილვის შემთხვევები. 2017 წელს პარლამენტმა გამარტივებული წესით განიხილა და მიიღო **77** კანონპროექტი, ხოლო საანგარიშო პერიოდში მხოლოდ **11** კანონპროექტი განიხილა. ამასთანავე, 9 მოთხოვნის ინიციატორები პარლამენტის წევრები იყვნენ, ხოლო 2 მოთხოვნის ინიციატორი მთავრობა იყო.

დიაგრამა 13. გამაჩივებელი წესით განხილული კანონპროექტების რაოდენობა და ინიციატორები



2018 წელსაც [გადავადდა](#) „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით ასამოქმედებელი ნორმები. კერძოდ, ამ კანონით დადგენილი გარდამავალი პერიოდი გაგრძელდა 1 წლით – 2018 წლის 31 დეკემბერი შეიცვალა 2019 წლის 31 დეკემბრით. ამ საკანონმდებლო ცვლილების ინიციატორმა – მთავრობამ – გადავადების მიზეზებად მიუთითა:

- „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ კანონის პროექტის განხილვისთვის, შეჯერებისა და მიღებისთვის საჭირო დრო. სავარაუდოდ, აღნიშნულ კანონპროექტთან დაკავშირებული შესაბამისი პროცედურები „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით განსაზღვრულ გარდამავალ პერიოდში ვერ განხორციელდებოდა „სსიპ-ების სიმრავლისა თუ სხვა გარემოებების გათვალისწინებით“;
- ფუნქციური ანალიზის ახლიდან განხორციელება, რაც შეიძლება გამოეწვია სამინისტროების შერწყმას;
- მოხელეთა სერტიფიცირების ტექნიკურ-პროგრამული უზრუნველყოფა და სერტიფიცირების გამართული სისტემის შექმნისთვის საჭირო დამატებითი დრო.

კანონის ამოქმედების გადავადებას შეეხებოდა „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ [კანონში ცვლილებების](#) პროექტი, რომლის ინიციატორებმა (ე. ბესელიამ

და გ. ფოფხაძემ) გადავადების მიზეზად სამართლებრივი აქტების პროექტების დამატებითი სამართლებრივი ექსპერტიზის გავლისა და განხილვის საჭიროება მიუთითეს.⁹⁰

6.5. კანონპროექტების განხილვის ვადის გაზრდა

საანგარიშო პერიოდში მოქმედი რეგლამენტის თანახმად,⁹¹ თუ დადგენილ ვადაში ვერ მოხერხდა კანონპროექტის საპარლამენტო განხილვისთვის მომზადება, მისი განხილვისთვის დადგენილ ვადას საჭიროების შემთხვევაში გააგრძელებს პარლამენტის ბიურო.

2018 წელს პარლამენტის ბიუროზე აქტიურად ხდებოდა კანონპროექტების განხილვის ვადების გაგრძელება. **214** კანონპროექტის შემთხვევაში – **97**-ჯერ⁹² იქნა მოთხოვნილი განხილვის ვადის გაგრძელება. საერთო ჯამში 48 საკანონმდებლო ინიციატივის (კანონპროექტი, კანონპროექტთა პაკეტი) შემთხვევაში სხვადასხვა საკითხზე მოხდა ვადის გადანევა.

საგულისხმოა, რომ საანგარიშო პერიოდში მოქმედი რეგლამენტი არ ითვალისწინებდა კანონპროექტის განხილვის ვადის გაგრძელების დასაბუთების ვალდებულებას. შესაბამისად, წერილში, რომლითაც ინიციატორი კანონპროექტის განხილვის ვადის გაგრძელებას ითხოვს, სათანადო მიზეზი, როგორც წესი, მითითებული არ არის.

საანგარიშო პერიოდში მთავრობის ინიციატივით პარლამენტმა 6-ჯერ გააგრძელა „ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ“ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს [კანონის პროექტის](#)⁹³ განხილვის ვადა, 5-ჯერ – სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ [კანონპროექტის](#)⁹⁴ განხილვის ვადა, ხოლო 4-ჯერ – „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ [კანონპროექტთა პაკეტის](#)⁹⁵ განხილვის ვადა.

თავი 7. საპარლამენტო კონსტიტუციური

საქართველოს პარლამენტის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია (გარდა საკანონმდებლო საქმიანობის განხორციელებისა და ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრისა) არის მთავრობის საქმიანობის კონტროლი.

პარლამენტი საპარლამენტო კონტროლის ფარგლებში ახორციელებს რეგლამენტით⁹⁶ გათვალისწინებულ შემდეგ უფლებამოსილებებს:

- მთავრობის შემადგენლობისთვის ნდობის ან უნდობლობის გამოცხადება;
- საქართველოს კონსტიტუციითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებულ თანამდებობის პირთა არჩევა (დანიშვნაზე თანხმობის მიცემა)

90 „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე დართული განმარტებითი ბარათი (იხ. <https://goo.gl/nZF8c4>).

91 საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 147-ე მუხლის მე-7 პუნქტი (მიღების თარიღი – 03.07.2012, ძალადაკარგულად გამოცხადების თარიღი – 16.12.2018) (იხ. <https://goo.gl/N62ca3>).

92 იგულისხმება თითოეული კანონპროექტის რაოდენობა.

93 „ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი, ინიციატორები სერგი კაპანაძე და გიორგი კანდელაკი (იხ. <https://goo.gl/g5jHe5>).

94 „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, ინიციატორი ფრაქცია „ქართული ოცნება“ (იხ. <https://goo.gl/wci1Rz>).

95 „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი და მის თანამდევ კანონებში ცვლილებების შეტანის შესახებ კანონპროექტები (იხ. <https://goo.gl/aYKA6i>).

96 იგულისხმება საანგარიშო პერიოდში მოქმედი რეგლამენტი.

- თანამდებობის პირთათვის უფლებამოსილების შეწყვეტა, თანამდებობიდან მათი გადაყენება და მათთვის იმპიჩმენტის გამოცხადება;
- სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ ანგარიშის წარმოდგენის მოთხოვნა და მისი მოსმენა;
- პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების ანგარიშების მოსმენა;
- კომიტეტების მიერ ანგარიშების მოსმენა და პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების კომიტეტების სხდომებზე მიწვევა;
- პარლამენტის წევრის მიერ წერილობითი კითხვისა და ზეპირი შეკითხვის დასმა;
- სამთავრობო საათის ჩატარება;
- საგამოძიებო და სხვა დროებითი კომისიების შექმნა;
- მთავრობის ნორმატიული აქტებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კონტროლი;
- ნდობის ჯგუფის მიერ თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორის კონტროლი.

7.1. მთავრობისთვის ნდობის გამოცხადება

საანგარიშო პერიოდში პარლამენტმა დროის მცირე მონაკვეთში მთავრობის შემადგენლობას 2-ჯერ გამოუცხადა ნდობა. 2018 წლის 20 ივნისს პარლამენტმა მხარი დაუჭირა მთავრობის შემადგენლობას.⁹⁷ თუმცა ცალკეული საკანონმდებლო ცვლილებების გამო მცირე დროში კვლავ საჭირო გახდა მთავრობისთვის ნდობის გამოცხადება და პარლამენტმა 14 ივლისის რიგგარეშე სესიაზე მთავრობის განახლებულ კაბინეტს მხარი დაუჭირა.⁹⁸

7.2. სამთავრობო პროგრამის შესრულების ანგარიშის წარდგენა და განხილვა

2018 წლის 7 სექტემბერს პრემიერ-მინისტრმა პარლამენტის ბიუროს წარუდგინა „თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა“ – 2018-2020 წლების სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ ანგარიში.⁹⁹

7.3. თანამდებობის პირთა არჩევა (დანიშვნაზე თანხმობის მიხედვით)

პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად, პარლამენტი მონაწილეობს ცალკეულ თანამდებობის პირთა არჩევის პროცესში. საანგარიშო პერიოდში პარლამენტმა **11** თანამდებობის პირი აირჩია.

97 საქართველოს პარლამენტი, „საქართველოს პარლამენტმა მთავრობის შემადგენლობას ნდობა გამოუცხადა“, 20 ივნისი, 2018 (იხ. <https://goo.gl/khpkVp>), აგრეთვე იხილეთ ამ ანგარიშის მეოთხე თავი.

98 საქართველოს პარლამენტის 2018 წლის 14 ივლისის №3141 დადგენილება „საქართველოს მთავრობის შემადგენლობისათვის ნდობის გამოცხადების შესახებ“ (იხ. <https://goo.gl/goCrpx>).

99 „თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა“ – 2018-2020 წლების სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ ანგარიში (იხ. <https://goo.gl/Amc66t>).

ცხრილი 2. ინფორმაცია პარლამენტის მიერ შესაბამის თანამდებობებზე პირების არჩევის შესახებ

არჩევის თარიღი	კანდიდატურა	თანამდებობა
23.03.2018	ბესიკ ლილუაშვილი	საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრი
23.03.2018	ზაზა შათირიშვილი	საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრი
4.04.2018	იზოლდა ოსიპოვა	საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრი
4.04.2018	ნინო (ნინია) კაკაბაძე	საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრი
3.05.2018	გოგიტა თოდრაძე	სტატისტიკის ეროვნული სამსახურის – საქსტატის საბჭოს წევრი
16.07.2018	შალვა თაღუმაძე	საქართველოს მთავარი პროკურორი
20.07.2018	მარინე მინდორაშვილი	სტატისტიკის ეროვნული სამსახურის –საქსტატის საბჭოს წევრი
20.07.2018	ირაკლი აფხაიძე	სტატისტიკის ეროვნული სამსახურის –საქსტატის საბჭოს წევრი
20.07.2018	სიმონ გელაშვილი	სტატისტიკის ეროვნული სამსახურის –საქსტატის საბჭოს წევრი
13.12.2018	პაპუნა ლეჟავა	საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი
14.12.2018	გიორგი მუხიგულიშვილი	სტატისტიკის ეროვნული სამსახურის –საქსტატის საბჭოს წევრი

7.4. ანგარიშვადგენილი ორგანოების ანგარიშების მოსმენა

საპარლამენტო კონტროლის განხორციელების ფარგლებში პარლამენტი ისმენს მის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების ანგარიშებს. საანგარიშო პერიოდში პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულმა ორგანოებმა ქვეყნის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოში **19** ანგარიში წარადგინეს, რომელთაგან 11 ანგარიში კანონმდებლობით დადგენილი წესით განიხილეს პლენარულ სხდომაზე, ხოლო 8 ანგარიში – შესაბამისი კომიტეტების სხდომებზე.

აღსანიშნავია საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ 2017 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში, რომელსაც [მხარი არ დაუჭირა](#) დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა.¹⁰⁰ ამ კომიტეტს შენიშვნები ჰქონდა საზოგადოებრივი აზრისა და სამაუწყებლო ბაზრის კვლევასთან, საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს დაკვეთით ჩატარებულ საექსპერტო კვლევასა და შესყიდვებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, კომიტეტმა მიიჩნია, რომ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა არადაამაკმაყოფილებლად ახსნა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილთან მის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესაბამისობები.¹⁰¹

ცხრილი 3. პლენარულ სხდომაზე განხილული ანგარიშები

პარლამენტში ანგარიშის წარდგენისა და განხილვის თარიღი	ანგარიშის სახელწოდება
19.04.2018	„იურიდიული დახმარების სამსახურის 2017 წელს განხორციელებული საქმიანობის შესახებ“ (იურიდიული დახმარების სამსახური)
19.04.2018	„ქვეყანაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობისა და ინსპექტორის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიში, რომელიც მოიცავს 2017 წლის მონაცემთა დაცვის მდგომარეობის ზოგად შეფასებებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს ინფორმაციის წლის განმავლობაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი დარღვევებისა და განხორციელებული ღონისძიებების შესახებ“ (პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი)
18.04.2018	„სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2017 წლის საქმიანობის შესახებ“ (საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური)

100 იხილეთ დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის 2018 წლის 28 მაისის დასკვნა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს მიერ წარმოდგენილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი მაუწყებლის 2017 წლის საქმიანობის ანგარიშის შესახებ, საერთაშორისოდ აღიარებული დამოუკიდებელი აუდიტორული ფირმის 2017 წლის დასკვნისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი მაუწყებლის შიდა აუდიტის დასკვნის შესახებ“ (იხ. <https://goo.gl/iHvLcy>).

101 დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტისა და სხვა კომიტეტების დასკვნები და შენიშვნები ვრცლად იხილეთ: <https://goo.gl/GmS3Rn>.

19.07.2018	„2017 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი)
28.06.2018	„საქართველოს ეროვნული ბანკის 2017 წლის წლიური ანგარიში“ (საქართველოს ეროვნული ბანკი)
28.06.2018	„საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში“ (საქართველოს მთავრობა)
28.06.2018	„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2017 წლის საქმიანობის ანგარიში“ (სახელმწიფო აუდიტის სამსახური)
6.06.2018	„საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის საქმიანობის შესახებ 2017 წლის ანგარიში და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებებზე“ (საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია) ეს ანგარიში პარლამენტმა ცნობად მიიღო.
6.06.2018	„სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2017 წლის საქმიანობის ანგარიში“ (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური) ეს ანგარიში პარლამენტმა ცნობად მიიღო.
27.12.2018	„საზოგადოებრივი მაუწყებლის 2017 წლის ანგარიში“ (საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭო) ეს ანგარიში პარლამენტმა ცნობად მიიღო.
27.12.2018	„საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2017 წლის საქმიანობის ანგარიში“ (საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია) ეს ანგარიში პარლამენტმა ცნობად მიიღო.

ცხრილი 4. კომიტეტების მიერ განხილული ანგარიშები

ანგარიშის პარლამენტში წარდგენის თარიღი	ანგარიშის სახელწოდება
9.02.2018	„სამართლებრივი ზედამხედველობის ორგანოს ანგარიში 2017 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტების საკრებულოების მიერ მიღებულ ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებზე განხორციელებული სამართლებრივი ზედამხედველობის თაობაზე“ (საქართველოს პრემიერ-მინისტრი)
30.03.2018	„გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომიტეტების მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების აღსრულების მდგომარეობის შესახებ 2017 წლის ანგარიში“ (საქართველოს იუსტიციის სამინისტრო)
30.03.2018	„ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების მდგომარეობის შესახებ 2017 წლის ანგარიში“ (საქართველოს იუსტიციის სამინისტრო)
5.04.2018	„ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სექტორში მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის 2017 წლის ანგარიში“ (საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასთან დამოუკიდებლად არსებული მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველი)
30.04.2018	„საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან მოქმედი მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის საქმიანობის 2017 წლის ანგარიში“ (საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან დამოუკიდებლად მოქმედი მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველი)
9.07.18	„გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის ფარგლებში აღებული რეკომენდაციების შესრულების შესახებ შუალედური ანგარიში“ (საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო)
7.09.18	„თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა“ - 2018 - 2020 წლების სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ ანგარიში (საქართველოს პრემიერ-მინისტრი)
22.10.18	„ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კონვენციის შესრულების თაობაზე საქართველოს VI პერიოდული ანგარიშის პროექტი (საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო)

7.5. ანგარიშვალდებული თანამდებობის პირების სხდომაზე მიწვევა და ანგარიშების მოსმენა

საანგარიშო პერიოდში მოქმედი რეგლამენტი ითვალისწინებდა პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული თანამდებობის პირების კომიტეტის, ფრაქციისა და პარლამენტის პლენარულ სხდომებზე მიწვევის შესაძლებლობას.

მთავრობის წარმომადგენელი პარლამენტის წინაშე [ანგარიშით](#)¹⁰² პირველად IX მოწვევის პარლამენტში წარდგა.

7.5.1. ფინანსის სხდომაზე მიწვევა

საანგარიშო პერიოდში მოქმედი რეგლამენტის შესაბამისად, **მთავრობის წევრი, პარლამენტის მიერ არჩეული** თანამდებობის პირი, აგრეთვე ის თანამდებობის პირი, რომლის დანიშვნაზეც **პარლამენტმა თანხმობა მისცა**, ვალდებული არიან, პარლამენტის მოთხოვნის შემთხვევაში დაესწრონ ფრაქციის სხდომებს, უპასუხონ სხდომაზე დასმულ შეკითხვებს და წარადგინონ განუული საქმიანობის შესახებ ანგარიში.

საანგარიშო პერიოდში გაიზარდა პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული თანამდებობის პირების ფრაქციების სხდომებზე მიწვევის მაჩვენებელი – 21 მიწვევა, რომელიც წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 10-ით მეტია. თუმცა გარკვეული მიზეზების გამო ყოველთვის მაინც ვერ ხერხდება მათი მოსმენა.

ცხრილი 5. უმცირესობაში შემავალი ფრაქციებისა და ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ მთავრობის წევრების ფრაქციების სხდომებზე მიწვევის სტატისტიკა

	ინიციატორი	სხდომაზე მიწვეული პირი	განსახილველი საკითხი, განხილვის თარიღი	რეაგირება
1.	უმცირესობაში შემავალი ფრაქციები	საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე	ჟენევის მოლაპარაკებების მორიგი რაუნდის მზადების, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებისა და დევნილთა დაბრუნების საკითხის საერთაშორისო დღის წესრიგში აქტუალიზაციის, ვიზა ლიბერალიზაციისთვის შესაძლო საფრთხეებთან დაკავშირებით (22.02.2018)	არ გამოცხადდა
2.	უმცირესობაში შემავალი ფრაქციები	ფინანსთა მინისტრი მამუკა ბახტაძე	„დაგროვებითი პენსიის შესახებ“ კანონპროექტის განხილვა (22.02.2018)	შეხვედრა შედგა მინისტრის მოადგილესთან

102 „გიორგი გახარიამ პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაობის ანგარიში წარმოადგინა“, 21 დეკემბერი, 2018 (იხ. <https://goo.gl/dB6qex>).

3.	უმცირესობაში შემაჯავალი ფრაქციები	ფინანასთა მინისტრი მამუკა ბახტაძე	განმეორებითი მიწვევა „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ კანონპროექტთან დაკავშირებით (09.03.2018)	სამინისტროს საპასუხო წერილში აღნიშნული იყო, რომ მინისტრი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო სხდომაზე დასწრებას ვერ შეძლებდა.
4.	უმცირესობაში შემაჯავალი ფრაქციები	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი	ქვეყანაში ტვირთბრუნვის და სხვა ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებით ¹⁰² (12.03.2018)	არ გამოცხადდა
5.	უმცირესობაში შემაჯავალი ფრაქციები	ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი სოზარ სუბარი	პარლამენტის წევრების ე. ხოშტარიასა და ზ. ჭიაბერაშვილის მიერ ინიცირებული „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონპროექტის განხილვა ¹⁰³ (13.03.2018)	არ გამოცხადდა
6.	უმცირესობაში შემაჯავალი ფრაქციები	შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი გახარია	12 მაისს ჩატარებულ სპეცოპერაციასთან დაკავშირებით ¹⁰⁴ (14.05.2018)	არ გამოცხადდა
7.	უმცირესობაში შემაჯავალი ფრაქციები	საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე	ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკა და საფრთხეები სირიის მხრიდან ¹⁰⁵ (29.05.2018)	არ გამოცხადდა

103 ფრაქციის ინფორმაციით, მიწვევაში აღნიშნული იყო, რომ შეხვედრა შესაძლებელია შედგეს 23 მარტიდან 31 მარტის ჩათვლით, მინისტრისთვის ხელსაყრელ ნებისმიერ დროს.

104 ფრაქციის ინფორმაციით, მიწვევაში აღნიშნული იყო, რომ შეხვედრა შესაძლებელია შედგეს 14 მარტიდან 21 მარტის ჩათვლით, მინისტრისთვის ხელსაყრელ ნებისმიერ დროს.

105 მიწვევაში აღნიშნული იყო, რომ შეხვედრა შესაძლებელია შედგეს 10 დღის განმავლობაში, მინისტრისთვის ხელსაყრელ ნებისმიერ დროს.

106 მიწვევაში აღნიშნული იყო, რომ შეხვედრა შესაძლებელია შედგეს 10 დღის განმავლობაში, მინისტრისთვის ხელსაყრელ ნებისმიერ დროს.

8.	უმცირესობაში შემაჯავალი ფრაქციები	ფინანსთა მინისტრი ივანე მაჭავარიანი	ასაკობრივი პენსია, აქციზის დანევა საწვავზე, სიმინდისა და ხორბლის იმპორტის აკრძალვა (11.09.2018)	სამინისტროდან გამოგზავნილ პასუხში აღნიშნული იყო, რომ მინისტრი ვერ შეძლებდა დასწრებას.
9.	უმცირესობაში შემაჯავალი ფრაქციები	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი	სიმინდისა და ხორბლის იმპორტის აკრძალვა, ფაროსანასთან ბრძოლა, შპს „მექანიზატორის“ ტექნიკის ახლით ჩანაცვლება (11.09.2018)	არ გამოცხადდა
10.	უმცირესობაში შემაჯავალი ფრაქციები	ფინანსთა მინისტრი ივანე მაჭავარიანი	კონტრაბანდული მედიკამენტები და მათი რეალიზაცია, აფთიაქების ჯარიმები, ფსიქოტროპულ მედიკამენტებზე ყალბი რეცეპტების გაცემა ¹⁰⁶ (03.10.2018)	არ გამოცხადდა
11.	უმცირესობაში შემაჯავალი ფრაქციები	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი დავით სერგეენკო	კერძო კლინიკაში ფინანსური დარღვევების შესახებ ¹⁰⁷ (03.10.2018)	ფრაქციებთან გაგზავნილ წერილში მიუთითეს , რომ რომ შეხვედრას დანიშნავენ 2019 წლის თებერვალში
12.	უმცირესობაში შემაჯავალი ფრაქციები	შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი გახარია	საგამოძიებო კომისიის დასკვნის და რეკომენდაციების ანგარიში ნოემბრის თვის მეორე ნახევარში ¹⁰⁸ (15.10.2018)	მინისტრმა საპასუხო წერილში აღნიშნა, რომ წინასაარჩევნო პერიოდის გამო ვერ შეძლებდა პარლამენტში მისვლას.

107 მიწვევაში აღნიშნული იყო, რომ შეხვედრა შესაძლებელია შედგეს ნოემბრის მეორე ნახევარში, მინისტრისთვის ხელსაყრელ ნებისმიერ დროს.

108 მიწვევაში აღნიშნული იყო, რომ შეხვედრა შესაძლებელია შედგეს ნოემბრის მეორე ნახევარში, მინისტრისთვის ხელსაყრელ ნებისმიერ დროს.

109 მიწვევაში აღნიშნული იყო, რომ შეხვედრა შესაძლებელია შედგეს 31 ოქტომბრამდე, მინისტრისთვის ხელსაყრელ ნებისმიერ დროს.

13.	უმცირესობაში შემაჯავალი ფრაქციები	მთავარი პროკურორი შალვა თადუმაძე	საგამოძიებო კომისიის დასკვნის და რეკომენდაციების ანგარიში ¹⁰⁹ (15.10.2018)	არ გამოცხადდა
14.	უმცირესობაში შემაჯავალი ფრაქციები	განათლების, სპორტის, კულტურის მინისტრი მიხეილ ბატიაშვილი	ია კეზარას გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით (10.12.2018)	არ გამოცხადდა
15.	ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“	საგარეო საქმეთა სამინისტრო/ დავით ბალკალიანი	ჰააგაში, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში, რომის სტატუტის მუხლი 15(3) და საპროცესო რეგლამენტის 50(1) მუხლის საფუძველზე, რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე 2008 წლის 7 აგვისტოდან 10 ოქტომბრამდე პერიოდში ჩადენილი ომისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების გამოძიების პროცესის მიმდინარეობა (13.11.2018)	არ გამოცხადდა
16.	ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“	იუსტიციის სამინისტრო/ თეა წულუკიანი	ჰააგაში, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში, რომის სტატუტის მუხლი 15(3) და საპროცესო რეგლამენტის 50(1) მუხლის საფუძველზე, რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე 2008 წლის 7 აგვისტოდან 10 ოქტომბრამდე პერიოდში ჩადენილი ომისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების გამოძიების პროცესის მიმდინარეობა (13.11.2018)	არ გამოცხადდა

110 მიწვევაში აღნიშნული იყო, რომ შეხვედრა შესაძლებელია შედგეს 31 ოქტომბრამდე, მინისტრისთვის ხელსაყრელ ნებისმიერ დროს.

17.	ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“	განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო/ მიხეილ ბატიაშვილი	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის, რომლებსაც ავტორიზაციის ვადა 2018/2019 წლებში გაუვიდა/ გასდის, ავტორიზაციის ვადის 2020 წლამდე გადავადება – სამინისტროს მიერ გადაწყვეტილების მიღების მოტივები და საფუძველი (19.09.2018)	არ გამოცხადდა
18.	ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“	ფინანსთა სამინისტრო/ ივანე მაჭავარიანი	1) კომპანია „ომეგასა“ და ტელეკომპანია „იბერია“-ს ირგვლივ განვითარებული მოვლენები; 2) მინისტრის იმ განცხადებასთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც, კანაფის წარმოებით 2-3 წლის განმავლობაში საქართველოში შესაძლებელი იქნება ერთი მილიარდი ლარის საექსპორტო პროდუქციის შექმნა, ეკონომიკური გათვლების ფრაქციის სხდომაზე წარმოდგენა (18.09.2018)	არ გამოცხადდა
19.	ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“	საგარეო საქმეთა სამინისტრო/ დავით ბალკალიანი, საგარეო საქმეთა სამინისტროს სატენდერო კომისიის ხელმძღვანელი ზვიად გონაძე და მინისტრის მოადგილე ვახტანგ მახარობლიშვილი	საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის 2017 წელს საქართველოს მთავრობის მიერ გამოყოფილი 737,000 ლარის, სამინისტროსთვის სარგებლობის უფლებით ქ. თბილისში, ლეონიძის ქ. №3-ში მდებარე შენობა-ნაგებობების საპროექტო, საექსპერტიზო სამუშაოებსა და მდგრადობის კვლევასთან დაკავშირებული ხარჯები (07.09.2018)	არ გამოცხადდა
20.	ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“	შინაგან საქმეთა სამინისტრო/ გიორგი გახარია	ქვეყანაში კრიმინოგენულ ვითარებასთან დაკავშირებით (20.02.2018)	არ გამოცხადდა
21.	ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“	საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრები და საბჭოს თავმჯდომარე	საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტთან დაკავშირებით (19.02.2018)	არ გამოცხადდა

უმრავლესობასა და ფრაქცია „საქართველოს პატრიოტებს“ პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული თანამდებობის პირები არც ერთხელ არ მოუწვევიათ. ისინი საანგარიშო პერიოდშიც სამუშაო შეხვედრის ფორმატს იყენებდნენ.

ფრაქცია „ნაციონალურმა მოძრაობამ“ საანგარიშო პერიოდში მთავრობის წევრები **7-ჯერ** დაიბარა ფრაქციის სხდომაზე, მაგრამ ისინი არცერთ სხდომაზე არ გამოცხადდნენ.

რაც შეეხება უმცირესობაში შემავალ ფრაქციებს, მათ **14-ჯერ** მოითხოვეს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული თანამდებობის პირების ფრაქციების სხდომებზე დასწრება, თუმცა მხოლოდ ერთი თანამდებობის პირი – საქართველოს ფინანსთა მინისტრის მამუკა ბახტაძის მოადგილე დაესწრო მათ სხდომას.

უმცირესობაში შემავალი ფრაქციების ცნობით, მათ 3-ჯერ სთხოვეს პარლამენტის კომიტეტებს, დაეხმარებინათ (მოეწვიათ) მთავრობის წევრები სხდომებზე. სახელდობრ, მათ თხოვნით მიმართეს ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტსა და იურიდიულ საკითხთა კომიტეტს, დაეხმარებინათ შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი გახარია, ხოლო განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოწვევა სთხოვეს.¹¹¹ არცერთი მინისტრი კომიტეტების სხდომებზე არ გამოცხადებულა.

7.5.2. კომიტეტის სხდომაზე მიწვევა და ანგარიშების მოსმენა

საანგარიშო პერიოდში მოქმედი რეგლამენტის 45-ე მუხლის თანახმად, მთავრობის წევრი, პარლამენტის მიერ არჩეული თანამდებობის პირი, აგრეთვე თანამდებობის პირი, რომლის დანიშვნაზეც პარლამენტმა თანხმობა მისცა, უფლებამოსილი არიან, ხოლო პარლამენტის მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებული არიან, დაესწრონ კომიტეტის სხდომას, უპასუხონ სხდომაზე დასმულ შეკითხვებს და წარადგინონ განეული საქმიანობის შესახებ ანგარიში. ასეთ თანამდებობის პირს კომიტეტმა მოთხოვნისთანავე უნდა მოუსმინოს.

საანგარიშო პერიოდშიც კომიტეტების სხდომებზე განეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციასა და ანგარიშებს ძირითადად მინისტრის მოადგილეები წარადგენდნენ.

კომიტეტები სამუშაო შეხვედრაზე, გარდა საკომიტეტო მოსმენისა, იწვევდნენ სამინისტროების სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებს.

საანგარიშო პერიოდში კომიტეტებმა პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების პერიოდული ანგარიშებისა და სხვა ინფორმაციის მოსმენას **122** სხდომა დაუთმეს.

111 განსახილველი საკითხები შეეხებოდა ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმეს, არჩევნებსა და ია კერძაიას საქმეს.

დიაგრამა 14. კომიტეტების იმ სხდომების რაოდენობა, რომლებიც პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების მოსმენას დაეთმო



1. აგრარულ საკითხთა კომიტეტი

აგრარულ საკითხთა კომიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კომიტეტმა წინასწარ მოამზადა საზედამხედველო საქმიანობის გეგმა, რომელშიც განსაზღვრული იყო გასახილველი საკითხები და მათი განხილვის თარიღები. 2018 წელს კომიტეტმა 17 საკითხი განიხილა, რომლებსაც **14** სხდომა დაეთმო. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი მხოლოდ ერთ სხდომას დაესწრო, დანარჩენ სხდომებს ესწრებოდნენ მინისტრის მოადგილე და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელები.

2. ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა **10** სხდომა დაეთმო პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების ანგარიშების მოსმენას. ამ სხდომებს ესწრებოდნენ საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, მინისტრების მოადგილეები და სხვადასხვა უწყების წარმომადგენლები. სხდომას – სპეციალურ საკომიტეტო მოსმენას, რომელიც შეეხებოდა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ბავშვთა უფლებების დაცვის მიმართულებით არსებულ გამოწვევებს, დაესწრო შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ქეთევან ციხელაშვილი.

3. განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტი

განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტმა პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების ანგარიშების მოსმენას **2** სხდომა დაუთმო, რომლებსაც ესწრებოდნენ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე თეიმურაზ მურულუა და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ხათუნა თოთლაძე.

4. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი

საანგარიშო პერიოდში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტმა **4**-ჯერ მოისმინა მთავრობის ანგარიში. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი მხოლოდ ერთ სხდომას დაესწრო, დანარჩენ სამ სხდომას მინისტრის მოადგილეები ესწრებოდნენ.

5. დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი

დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა **8** სხდომა დაუთმო პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების ანგარიშების მოსმენას. ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობასა და მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით მოხსენება წარადგინა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი ქობულაძემ. დანარჩენ სხდომებს ესწრებოდნენ და მოხსენებით წარდგენენ მინისტრის მოადგილეები და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელები.

6. დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტი

დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის **11** სხდომა დაეუთმო პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების ანგარიშების მოსმენას. ამ სხდომებს ესწრებოდნენ: საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე, იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ბაღკალიანი, მინისტრების მოადგილეები და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელები.

7. ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი

ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტმა პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების ანგარიშებისა და სხვა სახის ინფორმაციის მოსმენის მიზნით კომიტეტის **12** სხდომა ჩაატარა. ორ სხდომაზე პარლამენტის წევრების წინაშე საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე წარდგა, ხოლო დანარჩენ სხდომებს მინისტრის მოადგილეები და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელები ესწრებოდნენ.

8. თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი

თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტმა პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების წარმომადგენლების მოსმენას სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით **5** სხდომა დაუთმო. ამ სხდომებს ესწრებოდნენ: თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე გრიგოლ ლილუაშვილი და დაზვერვის სამსახურისა და სხვა სამინისტროების წარმომადგენლები.

9. იურიდიულ საკითხთა კომიტეტი

პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების ანგარიშების მოსმენას იურიდიულ საკითხთა კომიტეტის **6** სხდომა დაუთმო. ამ კომიტეტს საკუთარი ინიციატივით საანგარიშო

პერიოდში მოქმედი რეგლამენტის 45-ე მუხლით განსაზღვრული თანამდებობის პირები არცერთ სხდომაზე არ დაუბარებია. სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებულ საკომიტეტო მოსმენებს ესწრებოდნენ: სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე ალექსანდრე ტაბატაძე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი თამარ ქალდანი, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იურიდიული დახმარების სამსახურის უფროსი მელიტონ ბენიძე, იუსტიციის მინისტრის მოადგილე გოჩა ლორთქიფანიძე და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ხათუნა თოთლაძე. უშუალოდ მთავრობის წევრების ანგარიშების მოსმენას არცერთი მინისტრი არ დასწრებია.

შესაბამისი თანამდებობის პირების ანგარიშების გარდა, კომიტეტის სხდომებზე მოისმინეს სხვა ინფორმაციაც, კერძოდ, საგზაო უსაფრთხოების რეფორმის შესახებ, სკოლამდელი განათლების რეფორმის მიმდინარეობის თაობაზე და აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის აღსრულების თაობაზე ინფორმაცია.

10. რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტი

რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტმა პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების ანგარიშების მოსმენას **7** სხდომა დაუთმო, რომლებსაც ესწრებოდნენ მინისტრების მოადგილეები და უწყებების ხელმძღვანელები.

11. საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა **18** სხდომა დაუთმო პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების ანგარიშებისა და სხვა ინფორმაციების მოსმენას. საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე მხოლოდ 4 სხდომას დაესწრო, დანარჩენ სხდომებზე სათანადო ინფორმაცია წარმოადგინეს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეებმა და უწყებების ხელმძღვანელებმა.

12. საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი

საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტს არც მთავრობის წევრები და არც პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული თანამდებობის პირები სხდომაზე არ დაუბარებია.

13. საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი

ანგარიშვალდებული ორგანოების მოსმენას საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის **13** სხდომა დაუთმო, რომლებსაც ესწრებოდნენ ფინანსთა მინისტრის მოადგილეები და შესაბამისი უწყებების ხელმძღვანელები. კონკრეტულ საკითხებზე ამ კომიტეტს მთავრობის წევრები არ დაუბარებია.

14. სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტი

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტმა **3** სხდომა დაუთმო პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების ანგარიშებისა და ინფორმაციის მოსმენას. ერთ სხდომას დაესწრნენ კულტურისა და სპორტის მინისტრი მიხეილ გიორგაძე, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი მიხეილ ჩხენკელი, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი დავით სერგეენკო. დანარჩენ სხდომებს კი საკითხების მიხედვით შესაბამისი მინისტრების მოადგილეები ესწრებოდნენ.

15. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტმა პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების ანგარიშების მოსმენას 9 სხდომა დაუთმო.

7.6. პარლამენტის წევრის კითხვა/შეკითხვა



პარლამენტის წევრს უფლება აქვს
კითხვა დაუსვას



პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ
ორგანოს, საქართველოს მთავრობას,
მთავრობის წევრს, ყველა დონის
ტერიტორიული ერთეულის
აღმასრულებელი ხელისუფლების
ორგანოს ხელმძღვანელს, სახელმწიფო
დანესებულებას.



მხოლოდ **წერილობითი ფორმით**

თითოეული ორგანო და თანამდებობის პირი, რომელსაც კითხვით მიმართეს, ვალდებულია
პარლამენტს კითხვის მიღებიდან 15 დღეში წარუდგინოს წერილობითი პასუხი. შესაბამის
თანამდებობის პირს კითხვის ავტორთან შეთანხმებით კითხვაზე პასუხის გაცემის ვადა
შეიძლება გაუგრძელდეს 10 დღით.



ფრაქციას, პარლამენტის წევრთა
ათკაციან ჯგუფს, უფლება აქვს
შეკითხვით მიმართოს



პარლამენტის წინაშე
**ანგარიშვალდებულ ორგანოს,
საქართველოს მთავრობას,
მთავრობის წევრს.**




აღნიშნული პირები ვალდებულნი არიან დასმულ შეკითხვას უპასუხონ პარლამენტის
პლენარულ სხდომაზე. შეკითხვებს უპასუხებენ პლენარული სხდომების ყოველი თვის
ბოლო პარასკევს, სამთავრობო საათის დროს.


პარლამენტის წევრის მიერ დასმული შეკითხვები და მიღებული პასუხები საჯარო ინფორმაციაა და პროაქტიულად ქვეყნდება. საანგარიშო პერიოდში:

- **40** პარლამენტის წევრმა **482** კითხვა დასვა. ყველაზე მეტი კითხვა – **144** - დასვა უმცირესობის წევრმა ხათუნა გოგორიშვილმა;
- **1** წერილობითი კითხვა დასვა ფრაქცია „ნაციონალურმა მოძრაობამ“;
- ზეპირი შეკითხვა არ დასმული და არც პარლამენტის წევრთა ათკაციან ჯგუფს არ მიუმართავს ანგარიშვალდებული ორგანოებისთვის წერილობითი კითხვით.

დიაგრამა 15. დასმული კითხვების რაოდენობა და მათზე რეაგირება




დიაგრამა 16. დანაშაულის პოტენციალის რეკონსტრუქცია და მათი ავტორები



პარლამენტის წევრების კითხვების უმეტესობა შეეხებოდა სამინისტროების თანამდებობის პირთა და სამინისტროების კონტროლისადმი დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების თანამდებობის პირების შრომის ანაზღაურებასა და სტატისტიკური ინფორმაციის გამოთხოვას.

ღიაგია 17. კითხვების განაწილება თემატიკის მიხედვით



7.7. სამთავრობო საათის ჩატარება



პარლამენტის წევრთა ათკაციან ჯგუფს, ფრაქციას უფლება აქვს შეკითხვით მიმართოს



პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს, საქართველოს მთავრობას, მთავრობის წევრს. ისინი ვალდებული არიან, დასმულ შეკითხვას უპასუხონ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე.

შეკითხვებს უპასუხებენ პლენარული სხდომების ყოველი თვის ბოლო პარასკევს, სამთავრობო საათის დროს.



შეკითხვა შეიძლება იყოს წერილობითი ან ზეპირი

შეკითხვაზე პასუხი წერილობითი ფორმით წარედგინება პარლამენტის პლენარულ სხდომას.

ზეპირი შეკითხვა შეიძლება დაისვას პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, მაგრამ სამთავრობო საათამდე არაუგვიანეს 14 დღისა.

წერილობითი შეკითხვა შეიძლება წარდგენილი იქნეს სამთავრობო საათის დღემდე არა უგვიანეს 10 დღისა.



ყოველი თვის პლენარული სხდომების ბოლო კვირის პარასკევს 16:00 საათიდან 19:00 საათამდე, როგორც წესი, იმართება სამთავრობო საათი



არსებული საკანონმდებლო რეგულაციები არ სრულდება. **საანგარიშო პერიოდში, ისევე როგორც წინა მოწვევის პარლამენტში არ ჩატარებულა სამთავრობო საათი, რაც ამცირებს საპარლამენტო კონტროლის ეფექტიანობას.**

7.8. დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნა

საანგარიშო პერიოდში მოქმედი რეგლამენტის თანახმად, სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების გამოკვლევისა და შესაბამისი რეაგირებისთვის ან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკითხების შესასწავლად შესაძლებელია დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნა.

2018 წელს დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნა პარლამენტის წევრებმა 6-ჯერ მოითხოვეს, თუმცა მხოლოდ ერთი მოთხოვნა დაკმაყოფილდა და ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც უმცირესობის მოთხოვნით პარლამენტში დროებითი საგამოძიებო კომისია შეიქმნა.

ცხრილი 6. ინფორმაცია დროებითი საგამოძიებო კომისიების შექმნის მოთხოვნათა შესახებ

ინიციატორი	კომისიის შესასწავლი საკითხი	შედეგი
ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“	„გაზპრომ-ექსპორტთან“ დადებული ხელშეკრულების შესწავლა	მიზანშეწონილად მიჩნეული არ იქნა (17.05.18)
საპარლამენტო უმცირესობაში შემავალი ფრაქციები: „ევროპული საქართველო“, „ევროპული საქართველო – მოძრაობა თავისუფლებისთვის“; „ევროპული საქართველო – რეგიონები“	აზერბაიჯანელი ჟურნალისტის აფგან მუხთარლის საკითხი, მისი სახელმწიფო სამღვარზე გადაყვანის ფაქტი	მიზანშეწონილად მიჩნეული არ იქნა (23.02.18)
ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“	2017 წლის 21-22 ნოემბერს ქ. თბილისში ჩატარებული სპეციალური ოპერაციის გარემოებების შესწავლა	მიზანშეწონილად მიჩნეული არ იქნა (17.05.18)
ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“	კომპანია RMG GOLD-ის ქმედებები მალაროს აფეთქებასთან დაკავშირებით; გარემოზე ზეგავლენის საკითხი	არ განხილულა
ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“	საყდრისი-ყაჩალიანის საბადოსთან დაკავშირებულ მოვლენებზე	მიზანშეწონილად მიჩნეული არ იქნა (17.05.18)
უმცირესობაში შემავალი ფრაქციები: „ევროპული საქართველო“, „ევროპული საქართველო – მოძრაობა თავისუფლებისათვის“, „ევროპული საქართველო – რეგიონები“	2017 წლის 1 დეკემბერს თბილისში, ხორავას ქუჩაზე, მომხდარი დანაშაულის შედეგად ორი ახალგაზრდის მოკვლის ფაქტი	შეიქმნა (06.06.2018)

7.9. სხვა დროებითი კომისიის შექმნა

პარლამენტში, გარდა დროებითი საგამოძიებო კომისიისა, იქმნება სხვა დროებითი კომისია, რომლის საქმიანობის სამართლებრივი საფუძველია საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი და სხვა ნორმატიული აქტები. ეს დროებითი კომისია ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე. საანგარიშო პერიოდში მუშაობას განაგრძობდა საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისია, რომელმაც 4 სხდომა [გამართა](#).¹¹²

7.10. მიღებულ გადაწყვეტილებათა კონსოლი

პარლამენტი აკონტროლებს საქართველოს მთავრობის, მინისტრისა და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელის ნორმატიული აქტების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობას და მათი შესრულებას.

კომიტეტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში აკონტროლებს მისი გამგებლობისათვის მიკუთვნებულ სფეროში მოქმედი პარლამენტის მიერ მიღებული ნორმატიული აქტების აღსრულების მდგომარეობას,



მისი გამგებლობისათვის მიკუთვნებულ სფეროში მოქმედი სამინისტროს, მინისტრის, აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელის ნორმატიული აქტების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობას,



მათი შესრულების მდგომარეობას,



შეისწავლის და აანალიზებს ამ ნორმატიული აქტების მოქმედების პერიოდში გამოვლენილ ხარვეზებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებსაც უგზავნის შესაბამის უწყებას, რეკომენდაციების განხილვის ან მიღებული ზომების შესახებ უნდა ეცნობოს კომიტეტს არა უგვიანეს 1 თვისა ან მის მიერ დადგენილ ვადაში.




¹¹² საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის სხდომები, საქართველოს პარლამენტი.

7.10.1. ჩაკომენდაციების შეფუთვა და მათი შესრულების კონსოლი

პარლამენტმა საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა საკითხზე იმსჯელა და მიიღო რეკომენდაციები. ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა მოამზადა [დასკვნა](#) საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიშზე საქართველოს პარლამენტის 2017 წლის 30 ივნისის დადგენილებით გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე, რომელიც 2018 წლის 27 და 28 თებერვლის სხდომებზე იქნა განხილული; შესაბამისი უწყებების წარმომადგენლებმა წარმოადგინეს ანგარიში.¹¹³

დიაგრამა 18. დასკვნის მიხედვით განსაზღვრული ჩაკომენდაციების შესრულების მდგომარეობა



2018 წლის 21 სექტემბერს პარლამენტმა ხორავას ქუჩაზე მომხდარი დანაშაულის შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის საქმიანობის შედეგების საფუძველზე [დადგენილებით](#) (უმრავლესობის ინიციატივის საფუძველზე) მიიღო 12 რეკომენდაცია.¹¹⁴

იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა [დადებითად შეაფასა](#) პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ანგარიშზე კომიტეტის რეკომენდაციების შესრულების ანგარიში.¹¹⁵ ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა მოამზადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის ფარგლებში აღებული რეკომენდაციების შესრულების შესახებ შუალედური ანგარიშის თაობაზე [დასკვნა](#), რომლითაც კომიტეტმა დადებითად შეაფასა რეკომენდაციების შესრულების ანგარიში.¹¹⁶

113 ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის დასკვნა „„2016 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის 2017 წლის 30 ივნისის №1181 დადგენილებით გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე“ (იხ. <https://goo.gl/zsBULT>).

114 საქართველოს პარლამენტის 2018 წლის 21 სექტემბრის №3551 დადგენილება „2017 წლის 1 დეკემბერს თბილისში, ხორავას ქუჩაზე მომხდარი დანაშაულის შედეგად ორი ახალგაზრდის მკვლელობის ფაქტის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის საქმიანობის შედეგების შესახებ“ (იხ. <https://goo.gl/x6DrfP>).

115 იურიდიულ საკითხთა კომიტეტის დასკვნა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის თ. ქალდანის ანგარიშზე კომიტეტის 2017 წლის 3 აპრილის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე (იხ. <https://goo.gl/FiE6XD>).


116 ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის დასკვნა საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის ფარგლებში აღებული რეკომენდაციების შესრულების შესახებ შუალედური ანგარიშის“ (№07-2/240, 09.07.2018) თაობაზე (იხ. <https://goo.gl/LxLLoA>).

7.10.2. კანონის გარდამავალი დებულებებით განსაზღვრული დავალებების შესრულება

საპარლამენტო კონტროლის ფარგლებში განსახორციელებელ ერთ-ერთ უფლებამოსილებასთან – მიღებული გადაწყვეტილებების კონტროლთან – დაკავშირებით პარლამენტის ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია საქართველოს კანონების გარდამავალი დებულებებით განსაზღვრული დავალებების შესრულების კონტროლის შესახებ. კომიტეტები თავიანთი უფლებამოსილებების ფარგლებში აკონტროლებენ საქართველოს კანონების გარდამავალი დებულებებით განსაზღვრული იმ დავალებების შესრულებას, რომლებიც მათი ზედამხედველობის სფეროს მიეკუთვნება.

საანგარიშო პერიოდში პარლამენტი აკონტროლებდა საქართველოს კანონების გარდამავალი დებულებებით განსაზღვრული იმ დავალებების შესრულებას, რომლებიც 2018 წელს უნდა შესრულებულიყო.

დიაგრამა 19. ინფორმაცია საანგარიშო პერიოდში შესასრულებელი დავალებების შესახებ



საანგარიშო პერიოდში საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა მოამზადა და პარლამენტის ბიუროს განსახილველად წარუდგინა შემდეგი ინფორმაცია:

- 2018 წლის 1 იანვრიდან 1 ივნისამდე პერიოდში საქართველოს კანონების გარდამავალი დებულებებით განსაზღვრული დავალებების შესრულების მდგომარეობის შესახებ;
- 2018 წლის 1 ივნისიდან 1 დეკემბრამდე პერიოდში საქართველოს კანონების გარდამავალი დებულებებით განსაზღვრული დავალებების შესრულების მდგომარეობის შესახებ.

გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში 3-ჯერ მომზადდა ინფორმაცია IX მოწვევის პარლამენტის უფლებამოსილების ცნობის დღიდან (2016 წლის 18 ნოემბერი) დავალებების შესრულების მდგომარეობის შესახებ, რომელიც ასევე განიხილა პარლამენტის ბიურომ.

7.11. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კონსოლი

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კონტროლის განხორციელებისას მნიშვნელოვანია კომიტეტების მიერ მისი კვარტალური შესრულების ანგარიშების მოსმენა. ბიუჯეტის შესრულებაზე კონტროლის მიზნით საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა განიხილა 2018 წლის 3 თვის, 6 თვისა და 9 თვის შესრულების ანგარიშები, აგრეთვე 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში.

ინფორმაცია კომიტეტების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კვარტალური ანგარიშების მოსმენის თაობაზე

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 3 თვის ანგარიში	9 კომიტეტი
სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 6 თვის ანგარიში	11 კომიტეტი
სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 9 თვის ანგარიში	3 კომიტეტი

2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვისას საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის მიერ გამოთქმული 7 შენიშვნიდან გათვალისწინებულ იქნა მხოლოდ 1 შენიშვნა. როგორც საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის მიერ ჩვენი ორგანიზაციისათვის მოწოდებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, დანარჩენი შენიშვნები, რომლებიც პროგრამული ბიუჯეტის შემუშავების მეთოდოლოგიასა და ბიუჯეტის პარამეტრების დასაბუთების ინფორმაციული უზრუნველყოფის გაუმჯობესებას შეეხებოდა, მთავრობამ გაიზიარა და მათ მომავალი წლების სახელმწიფო ბიუჯეტებში ასახავს.

7.12. ნდობის ჯგუფის საქმიანობა

ნდობის ჯგუფი, რომელიც პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტში შეიქმნა აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების სპეციალური პროგრამებისა და საიდუმლო საქმიანობის საბიუჯეტო კონტროლის მიზნით, საანგარიშო პერიოდშიც არასრული შემადგენლობით განაგრძობდა მუშაობას. 2018 წელს:

- ნდობის ჯგუფმა 8 სხდომა გამართა;
- ნდობის ჯგუფმა თავისი კომპეტენციის სფეროსთვის მიკუთვნებულ საკითხებზე 1 დასკვნა შეიმუშავა;
- ნდობის ჯგუფმა საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს 1 დასკვნა წარუდგინა;
- აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებმა სფეროების შესაბამისად ნდობის ჯგუფს 13 ანგარიში წარუდგინეს;
- თავდაცვის სამინისტრომ ნდობის ჯგუფს 8-ჯერ წარუდგინა ინფორმაცია;
- ნდობის ჯგუფის თავმჯდომარე (ირაკლი სესიაშვილი) საჯარო სამართლის იურიდული პირის – ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს საქმიანობას ვიზიტის ფარგლებში გაეცნო.¹¹⁷

თავი 8. ინფორმაცია პარლამენტის წევრების შესახებ

საქართველოს პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 21 წლის ასაკიდან. პარლამენტის წევრისთვის დაწესებული არ არის განათლების ცენზი და პროფესიული შეზღუდვა.

¹¹⁷ „ნდობის ჯგუფის შესახებ“ საქართველოს კანონის 6¹ მუხლი (ძალადაკარგულად გამოცხადების თარიღი - 16.12.2018) (იხ. <https://bit.ly/2YKjk7U>); აგრეთვე იხილეთ: „საპარლამენტო კონტროლის ფარგლებში, ნდობის ჯგუფის თავმჯდომარე ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს საქმიანობას გაეცნო“ (<https://bit.ly/2YNjVFV>).

8.1. პარლამენტის წევრთა ასაკი

IX მოწვევის პარლამენტის წევრების საშუალო ასაკია 47 წელი. ყველაზე ასაკოვანი პარლამენტის წევრი იყო 76 წლის რევამ არველაძე (უმრავლესობა). ყველაზე ახალგაზრდა პარლამენტის წევრი იყო 30 წლის შალვა კიკნაველიძე (უმცირესობა).

8.2. პარლამენტის წევრთა განათლება და სპეციალობა



საქართველოს პარლამენტის წევრთა შორის ერთდროულად ორი სპეციალობით განათლება მიღებული აქვს 34 დეპუტატს.



პარლამენტის წევრებს შორის:
2 აკადემიკოსი
15 დოქტორი
5 მეცნიერებათა კანდიდატია.



პარლამენტის წევრთა უმეტესობა, ისევე როგორც წინა მოწვევის პარლამენტში, იურისტები არიან (56). პარლამენტში არის სამედიცინო სფეროს 18 წარმომადგენელი და ეკონომიკის სფეროს 15 წარმომადგენელი.

თავი 9. ქალების მონაწილეობა პარლამენტის საქმიანობაში


IX მოწვევის პარლამენტში ქალი პარლამენტის წევრების რაოდენობა ერთით შემცირდა მას შემდეგ, რაც სალომე ზურაბიშვილი არჩეულ იქნა საქართველოს პრეზიდენტად. ამჟამად პარლამენტის შემადგენლობაში 22 ქალია, მათგან 17 ქალი პარტიული სიით არჩეული პარლამენტის წევრია, ხოლო 5 ქალი – მაჟორიტარული სისტემით არჩეული პარლამენტის წევრი.

ქალი პარლამენტის წევრების უმრავლესობა – 9 ქალი – სამართალმცოდნეა, 2 პარლამენტის წევრი ჟურნალისტია, ხოლო 3 პარლამენტის წევრს სამედიცინო განათლება აქვს მიღებული. ქალ პარლამენტის წევრებს განათლება მიღებული აქვთ აგრეთვე პოლიტიკური მეცნიერებების, საერთაშორისო ეკონომიკის, საზღვარგარეთ ქვეყანათმცოდნეობის, ელექტრონული მანქანებისა და ფილოლოგიის – ქართული და ინგლისური ენების – მიმართულებით.

მართალია, ქალი პარლამენტის წევრები IX მოწვევის პარლამენტში ცოტანი არიან, თუმცა მათ საანგარიშო პერიოდშიც მაღალი თანამდებობები ეკავათ. 2018 წელს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე იყო თამარ ჩუგოშვილი (ფრაქცია „ქართული ოცნება“), რომელიც აგრეთვე იყო გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე და ხაზინადართა საბჭოს თავმჯდომარე. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ოპოზიციიდან იყო ირმა ინაშვილი (ფრაქცია „საქართველოს პატრიოტები“). გარდა ამისა, 4 კომიტეტის თავმჯდომარეები ქალები იყვნენ. კერძოდ:

- განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე - მარიამ ჯაში;
- ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე - თამარ ხულორდავა;
- საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე - სოფიო ქაცარავა;
- ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე - სოფიო კილაძე;
- იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე - ეკა ბესელია.

დიაგრამა 20. ქალი პარლამენტის წევრების განაწილება პოლიტიკური კუთვნილების მიხედვით



ცხრილი 7. პარლამენტის აპარატის თანამდებობების განაწილება გენდერული ნიშნით

თანამდებობა	მამაკაცი	ქალი
არქივის უფროსი - განყოფილების უფროსი	1	0
ბიბლიოთეკის უფროსი - განყოფილების უფროსი	0	1
მაჟორიტარი პარლამენტის წევრის ბიუროს თანამშრომელი	148	174
განყოფილების უფროსი	12	20
განყოფილების უფროსი (მთავარი კომენდანტი)	1	0
დამლაგებელი	0	84
დამხმარე სპეციალისტი	2	1
დეპარტამენტის უფროსი	5	5
დურგალ-რესტავრატორი	1	0
ელექტრიკოსი	2	0
ზეინკალი	1	0

კომისიის აპარატის თანამშრომელი	7	4
კომიტეტის აპარატის თანამშრომელი	8	6
კომიტეტის თავმჯდომარის თანაშემწე	2	12
ლიფტიორი	1	0
მანდატურთუხუცესი	1	0
მანდატური	8	0
მეხანძრე	6	0
მთავარი ბუღალტერი	1	0
მთავარი სპეციალისტი	30	60
მთავარი სპეციალისტი (კომენდანტი)	1	0
მთავარი სპეციალისტი (ენერგეტიკოსი)	1	0
მთავარი სპეციალისტი (ვიდეოფოტოგადამღები)	1	0
მთავარი სპეციალისტი (რედაქტორი)	0	4
მუშა	5	0
პარლამენტის აპარატის უფროსი	1	0
პარლამენტის აპარატის უფროსის მოადგილე	2	0
პარლამენტის აპარატის უფროსის მოადგილის თანაშემწე	1	1
პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტის უფროსი	1	0
პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტის უფროსის მოადგილე	0	1
პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის სამდივნოს უფროსი	3	2
პარლამენტის თავმჯდომარის მრჩეველი	4	0
პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანაშემწე	0	3
პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის სამდივნოს უფროსი	0	1
პარლამენტის წევრის თანაშემწე	21	34
პრესცენტრის უფროსი - განყოფილების უფროსი	0	1
საბიუჯეტო ოფისის უფროსი	0	1
სანტექნიკოსი	3	0

საპარლამენტო უმრავლესობის აპარატის თანამშრომელი	0	6
საპარლამენტო უმცირესობის აპარატის თანამშრომელი	1	4
უფროსი სპეციალისტი	29	65
უფროსი სპეციალისტი (ვიდეოფოტოგადამღები)	1	0
უფროსი სპეციალისტი კურიერი	0	3
ფრაქციის აპარატის თანამშრომელი	46	64
შტატგარეშე მოსამსახურე	42	12
შტატგარეშე მოსამსახურე (მძღოლი)	96	0
წამყვანი სპეციალისტი	66	117
წამყვანი სპეციალისტი (კომენდანტი)	7	1
წამყვანი სპეციალისტი (ვიდეოფოტოგადამღები)	1	0
წამყვანი სპეციალისტი (კორექტორი)	0	3
სულ	570	690

თავი 10. პარლამენტის საბჭოებისა და კომისიების საქმიანობა

10.1. გენდერული თანასწორობის საბჭო

საანგარიშო პერიოდში გენდერული თანასწორობის საბჭო აქტიურად მუშაობდა სამოქმედო გეგმით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად. 2018 წელს გენდერული თანასწორობის საბჭომ ჩაატარდა 3 სხდომა, მოამზადა საქართველოს გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფციის ახალი პროექტი და დაამტკიცა გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა.

საბჭოს ცნობით, გენდერული თანასწორობის საბჭომ პარლამენტში გენდერული გავლენის შეფასების (GIA) მეთოდოლოგიის დანერგვა დაიწყო – 7 კომიტეტის თანამშრომლებმა გაიარეს ტრენინგი კანონმდებლობის გენდერული გავლენის შეფასების მეთოდოლოგიის შესახებ და დაიწყეს კანონპროექტების გენდერული ანალიზი. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისმა გენდერული თანასწორობის საბჭოს მონაწილეობით შეიმუშავა სახელმწიფო ბიუჯეტის გენდერული ანალიზის მეთოდოლოგია და ეს დოკუმენტი გაუგზავნა მთავრობას. 2018 წელს პარლამენტმა განახორციელა თვითშეფასება, რომელიც გენდერულ თვითშეფასებასაც მოიცავდა.¹¹⁸

საანგარიშო პერიოდში მსჯელობის საგანი იყო გენდერული კვოტირების შემოღების საკითხი, რომელსაც პარლამენტის წევრებმა მხარი [არ დაუჭირეს](#).¹¹⁹

118 გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების 2018 წლის ანგარიში (იხ. <https://goo.gl/HAHS5d>).

119 საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს

2018 წლის აპრილში გამართულ პლენარულ სხდომაზე გენდერული თანასწორობის საბჭომ საპარლამენტო კონტროლის განხორციელების მიზნით მოისმინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის ანგარიში ფემიციდისა და ძალადობის შემთხვევების პრევენციის შესახებ. 2018 წელს გენდერული თანასწორობის საბჭოს სამდივნომ მოისმინა სამოქალაქო საზოგადოების ჩრდილოვანი ანგარიშები, რომლებიც წერილობით მიეწოდა საბჭოს წევრებს, თუმცა ოფიციალური რეკომენდაციები ამ თვალსაზრისით გენდერული თანასწორობის საბჭოს არ გაუცია.


რაც შეეხება საკანონმდებლო ბაზის შექმნასა და არსებული რეგულაციების გაუმჯობესებას, გენდერული თანასწორობის საბჭოს ცნობით, მომზადდა:

- საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი სექსუალური შევიწროების რეგულირებაზე;
- ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის მხარდამჭერი კანონპროექტი, რომელიც გენდერული კვოტირების შემოღებას ითვალისწინებს;
- ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ შესატანი ცვლილებები, რომელთა მიზანია ქალთა ეკონომიკური მდგომარეობის გაძლიერება.

საანგარიშო პერიოდში ქალთა უფლებების დაცვა არაერთხელ გახდა პარლამენტში მსჯელობის საგანი. დავინტერესდით, რას ფიქრობენ მოქალაქეები ქალთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ.

დიაგრამა 21. ქალთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები

ჩამოყალიბდა ხშირად ან იშვიათად ხდება ქალების დარღვევა ან შევიწროება ...? სქესის მიხედვით (%)




უნდა აღინიშნოს, რომ 2018 წელს ქვეყნის უმაღლესმა წარმომადგენლობითმა ორგანომ საქართველოს პარლამენტის თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობისას ერთ-ერთ მიზნად პარლამენტის გენდერული პასუხისმგებლიანობის, არსებული ხარვეზებისა და გამოწვევების შეფასება განსაზღვრა. ამ ანგარიშით რამდენიმე საინტერესო ტენდენცია გამოიკვეთა. მაგალითად, ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, პარლამენტის აპარატში მომუშავე მამაკაცი თანამშრომლების თითქმის ნახევარი (48 პროცენტი) მიიჩნევს, რომ პარლამენტი საკანონმდებლო

საარჩევნო კოდექსი“ შესატანი ცვლილებების შესახებ (იხ. <https://goo.gl/rziLgV>).

საქმიანობაში გენდერული თანასწორობის საკითხებს კარგად ითვალისწინებს. ამ მოსაზრებას ქალი თანამშრომლების მხოლოდ 34 პროცენტი იზიარებს. პარლამენტის წევრებისა და თანამშრომლების პასუხები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება: თანამშრომლების შემთხვევაში საშუალო ქულა არის 3.53, ხოლო პარლამენტის წევრების შემთხვევაში – 3.47.¹²⁰

დიაგრამა 22. ჩამოვსო ითვალისწინებს საქართველოს პარლამენტი გენდერული თანასწორობის საკითხებს საკანონმდებლო საქმიანობაში? ¹²⁰



პარლამენტის თვითშეფასების ანგარიში გენდერული თანასწორობის მიმართულებით მნიშვნელოვან რეკომენდაციებს ითვალისწინებს როგორც ცნობიერების ამაღლების, ისე საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების თვალსაზრისით.

საკანონმდებლო რეგულირების კუთხით დადებითად უნდა შეფასდეს ახალ რეგლამენტში გათვალისწინებული საბჭოს უფლებამოსილება თემატური მოკვლევის ჩატარების თაობაზე, ხოლო საბჭოს სამდივნო ცალკე სტრუქტურულ ერთეულად ჩამოყალიბდა.¹²²

10.2. ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო

საანგარიშო პერიოდში ღია მმართველობის მუდმივმოქმედმა საპარლამენტო საბჭომ ჩაატარა 5 სამუშაო შეხვედრა და 7 საჯარო კონსულტაცია. ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმა შემუშავდა ამ საბჭოს წევრების, მასთან არსებული საკონსულტაციო ჯგუფის წევრების, პარლამენტის აპარატის თანამშრომლების, კერძო სექტორის წარმომადგენლების, დაინტერესებული საზოგადოებისა და კონკურსში გამარჯვებული ახალგაზრდების ერთობლივი მუშაობის შედეგად.¹²³

საანგარიშო პერიოდში ღია მმართველობის მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭოსთან შეიქმნა 5 სამუშაო ჯგუფი, რომელთა საქმიანობა შეესაბამებოდა ამ საბჭოს სამოქმედო გეგმით ნაკისრ ვალდებულებებს.

120 საქართველოს პარლამენტის თვითშეფასების ანგარიში, 10/22/2018, გვ. 34 (იხ. <https://goo.gl/rhQV6d>).

121 საქართველოს პარლამენტის თვითშეფასების ანგარიში, 10/22/2018, გვ. 34 (იხ. <https://goo.gl/rhQV6d>).

122 დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ჩვენს კვლევაში: გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის შეფასება, 07 დეკემბერი, 2018 (<https://goo.gl/31KEHc>).

123 ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საბჭოს 2018 წლის საქმიანობის ანგარიში (იხ. <https://bit.ly/2Rgzki1>).

ჩვენი ორგანიზაციის რეკომენდაციით, საქართველოს ღია პარლამენტის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმაში¹²⁴ გათვალისწინებულია 2 ვალდებულება:

- კომიტეტთან არსებული საკონსულტაციო საბჭოების შექმნის წესის, შემადგენლობისა და საქმიანობის შესახებ ინფორმაციის პარლამენტის ვებგვერდზე განთავსება;
- კანონპროექტზე დართული განმარტებითი ბარათის შედგენის შესახებ სახელმძღვანელოსა და ვიდეოინსტრუქციის მომზადება და პარლამენტის ვებგვერდზე განთავსება.

სამოქმედო გეგმით აგრეთვე გათვალისწინებული იყო საქართველოს პარლამენტის წევრის ეთიკის კოდექსის მიღება, რომელიც ღია მმართველობის მუდმივმოქმედმა საპარლამენტო საბჭომ მოამზადა და პარლამენტს წარუდგინა. გარდა ამისა, აღნიშნული საბჭოს წევრების ინიციატივით შემუშავდა და პარლამენტს წარუდგინა „საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების მხარდაჭერის სახელმწიფო კონცეფცია“, რომლის შემუშავება სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულება იყო.

ახალი რეგლამენტით გაფართოვდა ამ საბჭოს უფლებამოსილება – მას მიენიჭა თემატური მოკვლევის ჩატარების უფლება.

საანგარიშო პერიოდში ღია მმართველობის მუდმივმოქმედმა საპარლამენტო საბჭომ მოამზადა წლიური ანგარიში განეული საქმიანობის შესახებ.¹²⁵

10.3. ხაზინაღირთა საბჭო

პარლამენტის საფინანსო საქმიანობას თავისი კომპეტენციის ფარგლებში აკონტროლებს პარლამენტის თავმჯდომარე შესაბამისი კომიტეტისა და ამ მიზნით შექმნილი ხაზინაღირთა საბჭოს მეშვეობით. ხაზინაღირთა საბჭო არის პარლამენტის თავმჯდომარის სათათბირო ორგანო. IX მოწვევის პარლამენტის ხაზინაღირთა საბჭოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე თამარ ჩუგოშვილი ხელმძღვანელობს. ხაზინაღირთა საბჭოს ფუნქციებია: ფრაქციების აპარატების, უმრავლესობისა და უმცირესობის აპარატების თანამშრომელთა სახელფასო ფონდთან დაკავშირებული საკითხები, პარლამენტის წევრების საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის საკითხების გადაწყვეტა და სხვა.

ხაზინაღირთა საბჭო კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით ამზადებს წარდგინებას, რომელსაც ამტკიცებს პარლამენტის ბიურო.

საანგარიშო პერიოდში ხაზინაღირთა საბჭომ 16 სხდომა ჩაატარა და 120 გადაწყვეტილება მიიღო.

10.4. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისია

საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითმა კომისიამ საანგარიშო პერიოდში 4 სხდომა გამართა, რომლებზედაც მოისმინეს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ქეთევან ციხელაშვილის მოხსენება მთავრობის ახალი სამშვიდობო ინიციატივის – „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ – შესახებ. ამ დროებითმა კომისიამ საგარეო ურთიერთობათა კომიტეტთან ერთად დახურულ სხდომაზე მოისმინა საქართველოს არაღიარების პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია, რომელიც პარლამენტის წევრებს წარუდგინა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ დავით დონდუამ. საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის წევრებმა კომისიის სხდომაზე აგრეთვე მოისმინეს ინფორმაცია „რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ადამიანის უფლებების

124 საქართველოს ღია პარლამენტის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმა (იხ. <https://goo.gl/egs5nk>).

125 საქართველოს ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს საქმიანობის წლიური ანგარიში, 2018 წელი (იხ. <https://goo.gl/AwoV6X>).

უხეში დარღვევისა და „ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიის“ შესახებ“ საქართველოს პარლამენტის რეზოლუციის პროექტის თაობაზე.

10.5. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2017 წლის ფინანსური აუდიტის დროებითი კომისია

2018 წლის 7 მარტს პარლამენტმა მოქმედი რეგლამენტის შესაბამისად [შექმნა](#) სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2017 წლის ფინანსური აუდიტის განმახორციელებელი პარლამენტის დროებითი კომისია, რომელიც შეიქმნა 3 თვით და რომლის შემადგენლობა 16 წევრით განისაზღვრა. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2017 წლის ფინანსური აუდიტის განმახორციელებელმა საქართველოს პარლამენტის დროებითმა კომისიამ მოამზადა შესაბამისი ანგარიში და წარუდგინა პარლამენტს, რომელმაც იგი [ცნობად მიიღო](#).

10.6. კონსტიტუციასთან კანონმდებლობის ჰარმონიზაციის საპარლამენტო კომისია¹²⁶

საკონსტიტუციო ცვლილებების ამოქმედებასთან დაკავშირებით პარლამენტმა 2018 წლის 19 მარტს შექმნა საქართველოს კონსტიტუციასთან საკანონმდებლო აქტების ჰარმონიზაციის საპარლამენტო კომისია, რომლის მიზანი იყო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პროცესის კოორდინაცია. აღნიშნული კომისია [შედგებოდა](#) 22 წევრისგან. თუმცა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2018 წლის 19 მარტის №65/3 ბრძანებით დადგინდა, რომ საჭიროების შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარე უზრუნველყოფდა კომისიის მუშაობაში საქართველოს მთავრობის, აკადემიური წრეებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობას. საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციიდან გამომდინარე, აღნიშნულმა კომისიამ მოამზადა გადასასინჯი საქართველოს საკანონმდებლო აქტების [ნუსხა](#). საანგარიშო პერიოდში კომისიამ 4 სხდომა გამართა.

თავი 11. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის საქმიანობა

საპარლამენტო სუბიექტების საფინანსო, საბიუჯეტო და ეკონომიკური ხასიათის სხვა ანალიტიკური ინფორმაციით უზრუნველყოფის მიზნით პარლამენტის აპარატის სტრუქტურაში შექმნილია პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი.

საანგარიშო პერიოდში პარლამენტის საბიუჯეტო ოფისს წარუდგინა 212 საკანონმდებლო ინიციატივა, რომლებზედაც მან შესაბამისი დასკვნები მოამზადა. როგორც კანონპროექტის შემუშავებამდე, ისე მისი შემუშავებისას საკანონმდებლო პროცესის სათანადო ფინანსური გათვლებით უზრუნველყოფის მიზნით კანონპროექტის ინიციატორებმა საბიუჯეტო ოფისს 110 მოთხოვნა წარუდგინეს.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის სამუშაო ჯგუფის საქმიანობის ფარგლებში ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) კარგი მმართველობის ინიციატივის (GGI) მხარდაჭერითა და პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მონაწილეობით მომზადდა „სოციალური ტრის“ რეფორმის რეგულირების გავლენის შეფასების (RIA) დოკუმენტი. საბიუჯეტო ოფისი აგრეთვე მონაწილეობდა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტის რეგულირების გავლენის შეფასების (RIA) და გენდერული გავლენის შეფასების (GIA) პროცესში.

¹²⁶ ეს კომისია არ არის საანგარიშო პერიოდში მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული „სხვა დროებითი კომისია“.

თავი 12. პარლამენტის წევრთა აქტივობა

ჩვენმა ორგანიზაციამ 2018 წელს პარლამენტის წევრთა აქტივობა სამი ძირითადი კრიტერიუმით შეაფასა:


1. პარლამენტის სხდომებზე სიტყვით გამოსვლის სიხშირე: განცხადებების გაკეთება, შეკითხვების დასმა, კანონპროექტებისა და სხვა განსახილველი საკითხების შესახებ მოსაზრებების გამოთქმა;
2. საქართველოს კანონმდებლობით მათთვის მინიჭებული საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენის უფლების გამოყენება;
3. კანონპროექტების შესახებ გამოთქმული შენიშვნები.

აქვე წარმოგიდგენთ ინფორმაციას პარლამენტის წევრთა მივლინებების შესახებ.

12.1. ინიციატივი კანონპროექტების ჩაოქნობა და ინიციატორები

საანგარიშო პერიოდში საკანონმდებლო ინიციატივის უფლება გამოიყენა **93** პარლამენტის წევრმა. 2017 წელს კი ამ უფლებით 92 პარლამენტის წევრმა ისარგებლა.

დიაგრამა 23. ინიციატორი კანონპროექტების რაოდენობა და ინიციატორები



მხოლოდ 1 კანონპროექტის ინიციატორები იყვნენ უმრავლესობის 13 წევრი,¹²⁷ უმცირესობის 4 წევრი¹²⁸ და ფრაქცია „საქართველოს პატრიოტების“ 1 წევრი.¹²⁹


127 ესენი არიან: გიორგი გაჩეჩილაძე, ირაკლი ხახუბია, გოგი მეშველიანი, შალვა კიკნაველიძე, ალექსანდრე ერეკლავა, ზვიად კვაჭანტირაძე, ივლიანე წულაია, ირაკლი შიოლაშვილი, კახაბერ ოქრიაშვილი, ბექა ნაცვლიშვილი, ერეკლე ტრიპოლსკი, ზაზა პაპუაშვილი და თეიმურაზ კოხრეიძე.

128 ესენი არიან: სერგი კაპანაძე, გიორგი კანდელაკი, გიორგი ტულუში და ირაკლი აბესაძე.

129 კერძოდ, ირმა ინაშვილი.

12.2. მიღებული კანონების რაოდენობა და ავტორები

დიაგრამა 24. მიღებული კანონების რაოდენობა და ავტორები ¹³⁰




130 შენიშვნა: სტატისტიკაში მითითებულია იმ მიღებული კანონების რაოდენობა – 257, რომელთა ინიციატორები არიან პარლამენტის წევრები, ვინაიდან დათვლილია მიღებული კანონის მიხედვით. აქ დათვლილია ცალკეული პარლამენტის წევრის მიერ თითოეულ კანონპროექტზე განხორციელებული ინიცირება და სხვა ინიციატორებთან ერთად დარეგისტრირებული საკანონმდებლო ინიციატივა.

12.3 პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოსვლის რაოდენობა

პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოსვლის (განცხადების გაკეთების, შეკითხვის დასმის, კანონპროექტებისა და სხვა განსახილველი საკითხების შესახებ მოსაზრებების გამოთქმის) უფლებით 120 პარლამენტის წევრმა ისარგებლა.

დიაგრამა 25. პლენარულ სხდომაზე პარლამენტის წევრის სიტყვით გამოსვლის რაოდენობა



საანგარიშო პერიოდში ყველაზე ხშირად პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოვიდნენ:

უმრავლესობა

- ეკა ბესელია – 199 გამოსვლა;
- ანრი ოხანაშვილი – 107 გამოსვლა;
- გიორგი კახიანი – 69 გამოსვლა;

უმცირესობა

- ზურაბ ჭიაბერაშვილი – 97 გამოსვლა;
- სერგო რატიანი – 69 გამოსვლა;
- გიორგი ბოკერია – 53 გამოსვლა;

ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“

- რომან გოცირიძე – 55 გამოსვლა.

სიტყვით გამოსვლის უფლებით საერთოდ არ უსარგებლია 30 პარლამენტის წევრს:

- ლევან ბეჟანიძეს (უმრავლესობა)
- რუსლან გაჯიევის (უმრავლესობა)
- ელგუჯა გოცირიძეს (უმრავლესობა)
- მახირ დარზიევის (უმრავლესობა)
- მუხრან ვახტანგაძეს (უმრავლესობა)
- ცოტნე ზურაბიანს (უმრავლესობა)
- გიორგი თოთლაძეს (უმრავლესობა)
- ედიშერ თოლორაიას (უმრავლესობა)
- ზაზა კედელაშვილს (უმცირესობა)
- შალვა კიკნაველიძეს (უმრავლესობა)
- გიორგი კოპაძეს (უმრავლესობა)
- თეიმურაზ კოხრეიძეს (უმრავლესობა)
- იოსებ მაკრახიძეს (უმრავლესობა)
- სამველ მანუკიანს (უმრავლესობა)
- სავალან მირზოევის (უმრავლესობა)
- გელა მიქაძეს (ფრაქცია „საქართველოს პატრიოტები“)
- ენზელ მკოიანს (უმრავლესობა)

- რომან მუჩიაშვილს (უმრავლესობა)
- თამაზ ნავერიანს (უმრავლესობა)
- კობა ნაყოფიას (ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“)
- რამაზ ნიკოლაიშვილს (უმცირესობა, დამოუკიდებელი პარლამენტის წევრი)
- დიმიტრი სამხარაძეს (უმრავლესობა)
- აზერ სულეიმანოვს (ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“)
- გიორგი ღვინიაშვილს (უმცირესობა)
- გოდერძი ჩანქსელიანს (უმრავლესობა)
- არჩილ ხაბაძეს (უმრავლესობა)
- ფატი ხალვაშს (უმრავლესობა)
- ირაკლი ხახუბიას (უმრავლესობა)
- თენგიზ ხუბულურს (უმრავლესობა)
- ვიქტორ ჯაფარიძეს (უმრავლესობა).


IX მოწვევის პარლამენტის უფლებამოსილების ცნობის დღიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით სიტყვით გამოსვლის უფლებით არ უსარგებლიათ:

- ლევან ბეჟანიძეს (უმრავლესობა)
- რუსლან გაჭიევს (უმრავლესობა)
- ელგუჯა გოცირიძეს (უმრავლესობა)
- მახირ დარზიევს (უმრავლესობა)
- მუხრან ვახტანგაძეს (უმრავლესობა)
- თეიმურაზ კოხრეიძეს (უმრავლესობა)
- გიორგი თოთლაძეს (უმრავლესობა)
- გიორგი კოპაძეს (უმრავლესობა)
- იოსებ მაკრახიძეს (უმრავლესობა)
- სამველ მანუკიანს (უმრავლესობა)
- რომან მუჩიაშვილს (უმრავლესობა)
- თამაზ ნავერიანს (უმრავლესობა)
- დიმიტრი სამხარაძეს (უმრავლესობა)
- გოდერძი ჩანქსელიანს (უმრავლესობა)
- ირაკლი ხახუბიას (უმრავლესობა)
- ვიქტორ ჯაფარიძეს (უმრავლესობა).

ჩვენ დავინტერესდით, რას ფიქრობს საზოგადოება პარლამენტში გამართული დებატების, პარლამენტის მიერ მთავრობის კონტროლისა და მიღებული კანონების შესახებ. საზოგადოებრივი აზრის კვლევის თანახმად, ყველაზე უარყოფითი დამოკიდებულება მოქალაქეებს პარლამენტში გამართული დებატების მიმართ აქვთ.

დიაგრამა 26. პარლამენტის საქმიანობის შესახებ საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები


ჩამოვანდეთ თუანსებად ან არ თუანსებად შეაფასებდნენ მოსაზრებას საქართველოს დღევანდელი პარლამენტის შესახებ? (%)



საინტერესოა საზოგადოების დამოკიდებულება პარლამენტის წევრის საქმიანობაში სხვადასხვა ინტერესის გათვალისწინებისა და მისი ეთიკური ქცევის მიმართ. წარმოგიდგენთ ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებს.

დიაგრამა 27. პარლამენტის წევრის საქმიანობის შესახებ საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები

ზოგადად, ეთანხმებით თუ არ ეთანხმებით რომ საქართველოში პარლამენტის წევრების უმრავლესობა/ს?



12.4. პარლამენტის წევრების შენიშვნები კანონპროექტების შესახებ¹³¹

პარლამენტის წევრის აქტივობის კიდევ ერთი მაჩვენებელია მის მიერ კანონპროექტის განხილვისას გამოთქმული შენიშვნები, რომელთა ამსახველი დოკუმენტი (შენიშვნების ფურცელი) თან ერთვის კანონპროექტს და განთავსებულია პარლამენტის ვებგვერდზე. 2018 წელს კანონპროექტების შესახებ პარლამენტის წევრებმა სულ **85** შენიშვნა გამოთქვეს, კომიტეტებმა კი – 827 შენიშვნა.

ცხრილი 8. პარლამენტის წევრების მიერ გამოთქმული შენიშვნები

შენიშვნის ავტორი	კუთვნილება	შენიშვნების რაოდენობა	გამიარებული შენიშვნების რაოდენობა
ეკა ბესელია	უმრავლესობა	19	19
ირაკლი კობახიძე	უმრავლესობა	13	13
გედევან ფოფხაძე	უმრავლესობა	10	9
თამარ ჩუგოშვილი	უმრავლესობა	5	4
კახაბერ კუჭავა	უმრავლესობა	4	4
ივლიანე წულაია	უმრავლესობა	4	4

¹³¹ ამ მონაცემებს საფუძვლად უდევს პარლამენტის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია.

აკაკი ზოიძე	უმრავლესობა	4	4
გუგული მალრაძე	უმრავლესობა	3	3
მირიან წიკლაური	უმრავლესობა	3	3
ბიძინა გეგიძე	უმრავლესობა	3	3
ირაკლი სესიაშვილი	უმრავლესობა	2	2
ალექსანდრე ქანთარია	უმრავლესობა	2	2
ხათუნა გოგორიშვილი	უმცირესობა	2	2
გურამ მაჭარაშვილი	უმრავლესობა	2	2
პაატა კვიჟინაძე	უმრავლესობა	2	2
კობა ნარჩემაშვილი	უმრავლესობა	2	-
გიორგი ხატიძე	უმრავლესობა	1	1
რევაზ არველაძე	უმრავლესობა	1	1
ბაქარია ქუცნაშვილი	უმრავლესობა	1	1
ვანო ბარდიაშვილი	უმრავლესობა	1	-
გოგი მუშველიანი	უმრავლესობა	1	1
დიმიტრი ხუნდაძე	უმრავლესობა	1	1
ნინო გოგუაძე	უმრავლესობა	1	1
მარიამ ჯაში	უმრავლესობა	1	1
ზურაბ ჭიაბერაშვილი	უმცირესობა	1	1
გია ჟორჟოლიანი	უმრავლესობა	1	1

პარლამენტის წევრთა საქმიანობის შესახებ საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები

ჩვენ დავინტერესდით, როგორ აფასებენ საქართველოს მოქალაქეები პარლამენტის წევრთა საქმიანობას. კვლევის ფარგლებში გამოკითხულმა პირებმა დაასახელეს პარლამენტის წევრები, რომელთა მუშაობასაც ყველაზე დადებითად და ყველაზე უარყოფითად აფასებდნენ.


დინამია 28. პარლამენტის წევრების მუშაობის დადებითი შეფასების შენახვა საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები

მთლიანად, დაასახელოთ საქართველოს პარლამენტის ერთი დეპუტატი, ვის მუშაობასაც ყველაზე დადებითად აფასებთ(%)



დინამია 29. პარლამენტის წევრების მუშაობის უარყოფითი შეფასების შენახვა საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები

მთლიანად, დაასახელოთ საქართველოს პარლამენტის ერთი დეპუტატი, ვის მუშაობასაც ყველაზე უარყოფითად აფასებთ(%)



12.5. პარლამენტის წევრთა მივლინებები

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებით¹³² განისაზღვრება საპარლამენტო დელეგაციების (მათ შორის, მოწვეული ექსპერტებისა და მრჩეველების), პარლამენტის წევრებისა და პარლამენტის აპარატის საჯარო მოსამსახურეების სამსახურებრივი მივლინებები. საპარლამენტო დელეგაციისა და პარლამენტის წევრის მივლინებების საკითხს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს (სამივლინებო განაცხადის ვიზირებით) პარლამენტის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ან ის მოადგილე, რომელიც დროებით ასრულებს პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობას. პარლამენტის წევრები და პარლამენტის აპარატის საჯარო მოსამსახურეები ვალდებული არიან, სამსახურებრივ მივლინებაში გამგზავრებამდე, როგორც წესი, ერთი კვირით ადრე შეავსონ სამივლინებო განაცხადი, რომელშიც უნდა მიუთითონ სამსახურებრივი მივლინების მიზანი, საფუძველი, ადგილი, სადღეღამისო მგზავრობის, განთავსებისა და კანონით გათვალისწინებული სხვა სამივლინებო დამატებითი ხარჯები და მათი გამლეები მხარე.

საანგარიშო პერიოდში სამსახურებრივ მივლინებაში იმყოფებოდა **106** პარლამენტის წევრი, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯი კი **1 644 463.34 ლარი** შეადგენს.

წარმოგიდგენთ ინფორმაციას პარლამენტის წევრების სამსახურებრივი მივლინებების რაოდენობისა და იმ ხარჯების შესახებ, რომლებიც მოიცავს როგორც პარლამენტის მიერ გაწეულ ხარჯს, ისე თანადაფინანსებას. აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ პარლამენტის წევრის მივლინებების რაოდენობა და ხანგრძლივობა განპირობებული იყო მისი თანამდებობით ან შესაბამისი კომიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებით.

ცხრილი 9. პარლამენტის წევრთა სამსახურებრივი მივლინებები

პარლამენტის წევრი	კუთვნილება	მივლინებების რაოდენობა	ხარჯი
გიორგი წერეთელი	უმცირესობა	29	126856.92
ეკა ბესელია	უმრავლესობა	23	77742.69
სოფიო ქაცარავა	უმრავლესობა	19	73387.85
ნინო გოგუაძე	უმრავლესობა	18	59914.67
გიორგი კანდელაკი	უმცირესობა	17	56674.46
დავით ბაქრაძე	უმცირესობა	16	61494.62
თამარ ხულორდავა	უმრავლესობა	15	46213.3
დიმიტრი ცქიტიშვილი	უმრავლესობა	15	36952.79
სერგი კაპანაძე	უმცირესობა	14	28644.46

132 საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2017 წლის 3 ივლისის №217/3 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს პარლამენტის წევრთათვის და პარლამენტის აპარატის საჯარო მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესი“ (იხ. <https://bit.ly/2QyHyyz>)

გიორგი მოსიძე	უმრავლესობა	14	25201.43
თამარ ჩუგოშვილი	უმრავლესობა	14	84966.83
ირაკლი ბერაია	უმრავლესობა	14	39744.04
ირაკლი კობახიძე	უმრავლესობა	13	86859.87
რამაზ ნიკოლაიშვილი	უმცირესობა	11	19280.69
ირაკლი სესიაშვილი	უმრავლესობა	11	34918.11
ირინე ფრუიძე	უმრავლესობა	10	22948.76
სოფიო კილაძე	უმრავლესობა	10	37350.63
ოთარ დანელია	უმრავლესობა	9	14399.4
ზვიად კვაჭანტირაძე	უმრავლესობა	9	38094.34
ზვიად ძიძიგური	უმრავლესობა	8	21574.61
თინათინ ბოკუჩავა	ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“	8	4784.54
გედევან ფოფხაძე	უმრავლესობა	8	16144.9
აკაკი ზოიძე	უმრავლესობა	7	12962.85
ბექა ოდიშარია	უმრავლესობა	7	20152.61
გიორგი ვოლსკი	უმრავლესობა	7	26439.09
ირაკლი კოვზანაძე	უმრავლესობა	7	8155.73
არჩილ თალაკვაძე	უმრავლესობა	7	18985.5
გუგული მაღრაძე	უმრავლესობა	7	10303.71
კახაბერ კუჭავა	უმრავლესობა	6	9103.99
დავით მათიკაშვილი	უმრავლესობა	6	34147.63
გიორგი კახიანი	უმრავლესობა	6	9092.35
სალომე სამადაშვილი	ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“	5	13902.9
ნინო წილოსანი	უმრავლესობა	5	15476.24

ბაქარია ქუცნაშვილი	უმრავლესობა	5	9610.89
მარიამ ჯაში	უმრავლესობა	5	18842.26
რატი იონათამიშვილი	უმრავლესობა	5	24130.11
ვანო ბარდიაშვილი	უმრავლესობა	4	19407.57
ანრი ოხანაშვილი	უმრავლესობა	4	12870.9
ცოტნე ბურაბიანი	უმრავლესობა	4	5333.95
ირაკლი მეზურნიშვილი	უმრავლესობა	4	26370.14
ბურაბ ჭიაბერაშვილი	უმცირესობა	4	14964.36
ზაზა გაბუნია	უმრავლესობა	4	7525.7
ადა მარშანია	ფრაქცია „საქართველოს პატრიოტები“	4	8608.89
გენადი მარგველაშვილი	უმრავლესობა	3	10448.89
მამუკა მდინარაძე	უმრავლესობა	3	10483.86
სიმონ ნოზაძე	უმრავლესობა	3	9806.31
ლევან ბეჟანიძე	უმრავლესობა	3	15587.3
ლევან კობერიძე	უმრავლესობა	3	8190.27
მამუკა ჩიქოვანი	უმცირესობა	3	8769.45
გია ბენაშვილი	უმრავლესობა	3	5300.55
ოთარ კახიძე	უმცირესობა	3	7448.85
დიმიტრი მხეიძე	უმრავლესობა	3	13868.9
გოგა გულორდავა	უმრავლესობა	3	5784.51
ისკო დასენი	უმრავლესობა	3	6959.5
კობა ლურსმანაშვილი	უმრავლესობა	3	7691.88
ბექა ნაცვლიშვილი	უმრავლესობა	3	8279.72
გიორგი გაჩეჩილაძე	უმრავლესობა	3	9849.54

გიორგი ტულუში	უმცირესობა	3	16737.44
დიმიტრი ხუნდაძე	უმრავლესობა	3	12085.05
გიორგი ხატიძე	უმრავლესობა	3	8787.53
კახაბერ ოქრიაშვილი	უმრავლესობა	2	3020.53
ენზელ მკოიანი	უმრავლესობა	2	3015.98
რომან გოცირიძე	ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“	2	1216.96
შალვა კიკნაველიძე	უმრავლესობა	2	3678.43
ელენე ხოშტარია	უმცირესობა	2	6126.66
ბიძინა გეგიძე	უმრავლესობა	2	3072.07
გიორგი ბოკერია	უმცირესობა	2	4799.8
მერაბ ქვარაია	უმრავლესობა	2	2918.18
პაატა მხეიძე	უმრავლესობა	2	4773.23
დავით სონღულაშვილი	უმრავლესობა	2	10023.79
ენძელა მაჭავარიანი	უმრავლესობა	2	6858.96
რუსლან გაჯიევი	უმრავლესობა	2	2833.29
ირაკლი აბუსერიძე	უმრავლესობა	2	11472.7
რუსლან პოლოსიანი	უმრავლესობა	2	2597.09
ირაკლი აბესაძე	უმცირესობა	2	890.86
მიხეილ ყაველაშვილი	უმრავლესობა	2	8587.52
გურამ მაჭარაშვილი	უმრავლესობა	2	6046.85
გივი ჭიჭინაძე	უმრავლესობა	2	1496.03
ლერი ხაბელოვი	უმრავლესობა	1	899.8
დავით ჭიჭინაძე	ფრაქცია „საქართველოს პატრიოტები“	1	3733.66
სავალან მირზოევი	უმრავლესობა	1	642.54


ხათუნა გოგორიშვილი	უმცირესობა	1	323.59
გოჩა ენუქიძე	უმრავლესობა	1	2745.05
გრიგოლ მიქელაძე	უმრავლესობა	1	3010.42
ივლიანე წულაია	უმრავლესობა	1	2716.42
პაატა კვიჟინაძე	უმრავლესობა	1	367.69
ლელა ქებურია	უმცირესობა	1	367.69
ლევან კობიაშვილი	უმრავლესობა	1	2835.38
კობა კობალაძე	უმრავლესობა	1	3673.86
ილია ნაკაშიძე	უმრავლესობა	1	553.13
სულხან მასათაძე	უმრავლესობა	1	3685.13
რომან კაკულია	უმრავლესობა	1	1454
თენგიზ გუნავა	უმცირესობა	1	1410.62
სერგო რატიანი	უმცირესობა	1	4613.28
გიორგი ბეგაძე	უმრავლესობა	1	1097.21
სამველ მანუკიანი	უმრავლესობა	1	2464.49
შოთა ხაბარელი	უმრავლესობა	1	6555.04
ირმა ნადირაშვილი	უმცირესობა	1	1074
ლაშა დამენია	უმცირესობა	1	306.88
კარლო კოპალიანი	უმრავლესობა	1	306.88
გიორგი თოთლაძე	უმრავლესობა	1	306.88
თამაზ ნავერიანი	უმრავლესობა	1	1171.81
ლევან გოგიჩაიშვილი	უმრავლესობა	1	1296.85
ანზორ ბოლქვაძე	უმრავლესობა	1	1670.64
ზაზა პაპუაშვილი	უმრავლესობა	1	2401.25
გელა სამხარაული	უმრავლესობა	1	2733.39

თავი 13. პარლამენტის წევრების მონაწილეობა პლენარული სხდომებისა და კომიტეტების სხდომების მუშაობაში, მათი დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი

პარლამენტის წევრების მონაწილეობა პლენარული სხდომების მუშაობაში IX მოწვევის პარლამენტისთვისაც¹³³ სერიოზული პრობლემაა. გარდა ამისა, ხშირად რთულია შეთანხმების მიღწევა სხდომების დაწყების დროზე. ამ პრობლემების არსებობა პარლამენტის საქმიანობას მნიშვნელოვნად აფერხებს. მაგალითად, პარლამენტმა 2018 წლის 12 დეკემბრის პლენარულ სხდომაზე კვორუმის არარსებობის გამო საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტი ვერ მიიღო.¹³⁴

საანგარიშო პერიოდში პარლამენტის წევრების მიერ პლენარული სხდომების საპატიო მიზეზით გაცდენის **1879** შემთხვევა დაფიქსირდა. რაც შეეხება არასაპატიო მიზეზით პლენარული სხდომების გაცდენას, არცერთ პარლამენტის წევრს არ დაუკავდა ხელფასის 10 პროცენტი და არც დისციპლინური პასუხისმგებლობა არ დაკისრებია არასაპატიო მიზეზით ერთზე მეტი სხდომის გაცდენისთვის.

დიაგრამა 30. პარლამენტის წევრების მიერ პლენარული სხდომების საპატიო მიზეზით გახდენა (IX მოწვევის პარლამენტის უფლებამოსილების ხნობის დღიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით)




13.1. პლენარული და კომიტეტების სხდომების საპატიო მიზეზით გახდენა

საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა პლენარული სხდომების საპატიო მიზეზით გაცდენის **1879** შემთხვევა, რომელთაგან **1500** შემთხვევაში პარლამენტის წევრებმა სხდომები ოჯახური მდგომარეობის გამო გააცდინეს.

133 პარლამენტის წევრების მიერ სხდომების გაცდენა წინა მოწვევის პარლამენტშიც აქტუალური პრობლემა იყო. VIII მოწვევის პარლამენტში დაფიქსირდა პლენარული სხდომების საპატიო მიზეზით გაცდენის **5913** შემთხვევა, რომელთაგან **4100** შემთხვევაში პარლამენტის წევრებმა სხდომები ოჯახური მდგომარეობის გამო გააცდინეს.


134 პარლამენტმა კვორუმის არარსებობის გამო ბიუჯეტი ვერ დაამტკიცა, 12.12.2018 (იხ. <http://netgazeti.ge/news/328206/>),

დიაგრამა 31. საპატიო მიზეზით გახდენილი პენსიონის სხომების რაოდენობა




საანგარიშო პერიოდში, ისევე როგორც IX მოწვევის პარლამენტის უფლებამოსილების ცნობის პირველ წელს საპატიო მიზეზით პლენარული სხდომები ყველაზე ხშირად (62 გაცდენა) გააყდინა კობა ნაყოფიამ (ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“).

დიაგრამა 32. პარლამენტის წევრების მიერ საპატიო მიზეზით გახდენილი პენსიონის სხომების რაოდენობა (20 და 20-ზე მეტი სხომა)



საპატიო მიზეზით კომიტეტების სხდომების გაცდენის მაჩვენებლებით ოპოზიციის წარმომადგენლები ლიდერობენ.

დიაგრამა 33. პარლამენტის წევრების მიერ საპატიო მიზეზით გახდენილი კომიტეტის სხდომების ჩაშლის რაოდენობა (20 და 20-ზე მეტი სხდომა)




13.2. პარლამენტი და კომიტეტების სხდომების არასაპატიო მიზეზით გახდენა

საანგარიშო პერიოდში პლენარული სხდომები არასაპატიო მიზეზით ყველაზე ხშირად გააუქმეს:

- კახაბერ ოქრიაშვილმა (უპირატესობა) – 12 სხდომა;
- სამველ მანუკიანმა (უპირატესობა) – 11 სხდომა;
- თეიმურაზ კობხიძემ (უპირატესობა) – 11 სხდომა.

**ღიგნაჲ 34. პარლამენტის წევრების მიერ პენსიონატის სხდომების არასაკმარის მიზეზით
გაცდენა (ომიკრონის შესახების წესის პირველი 15 პარლამენტის წევრის მარჯვენაზე)**

■ უმრავლესობა ■ უმცირესობა ■ ფრაქცია „საქართველოს პატრიოტები“




საანგარიშო პერიოდში კომიტეტის სხდომები არასაკმარის მიზეზით ყველაზე ხშირად გააცდინეს:

- სალომე სამადაშვილმა (ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“) – 17 სხდომა;
- ირაკლი აბესაძემ (უმცირესობა) – 13 სხდომა;
- გიორგი ტულუშმა (უმცირესობა) – 12 სხდომა.

დიამნამი 35. პანდემიის წივრების მიერ არასაკუთმო მიზანით გასდენილი კომიტეტების სდომების რაოდენობა

■ ფრატშია „ნათომრადური მოძრაობა“ ■ უმრავდესობა
■ უმთხრანობა ■ ფრატშია „საქართვადოს პატრიოტები“



თავი 14. პარლამენტის კომიტეტების საქმიანობის შეფასება


პარლამენტის კომიტეტების საქმიანობის შეფასებისას გასათვალისწინებელია მათი საქმიანობის რამდენიმე მნიშვნელოვანი მიმართულება. კერძოდ:

- კომიტეტების მონაწილეობა საკანონმდებლო პროცესში (ინიცირებული და განხილული კანონპროექტებისა და ჩატარებული სხდომების რაოდენობა, კანონპროექტების შესახებ გამოთქმული შენიშვნები);
- კომიტეტების მიერ საკანონმდებლო წინადადებების განხილვა;
- კომიტეტების რეაგირება მოქალაქეთა განცხადებებზე;
- კომიტეტების მიერ სამუშაო ჯგუფების შექმნა;
- კომიტეტების ურთიერთობა ექსპერტებთან.


14.1. საკანონმდებლო პროცესში მონაწილეობა

წარმოგიდგენთ ინფორმაციას საანგარიშო პერიოდში ჩატარებული კომიტეტების სხდომების, კომიტეტების მიერ განხილული და ინიცირებული კანონპროექტებისა და კანონპროექტების შესახებ გამოთქმული შენიშვნების, მათ შორის გაზიარებული შენიშვნების, რაოდენობის შესახებ.

დიაგრამა 36. კომიტეტების სხდომების რაოდენობა



დიაგრამა 37. კომუნიკაციის მიერ განხილული პანორამული საკითხების რაოდენობა




დიაგრამა 38. კომუნიკაციის მიერ ინიცირებული პანორამული კომუნიკაციის რაოდენობა



დიაგრამა 39. კომუნიკაციის მიერ კანონმდებლობის შესახებ გამოთქმული შენიშვნების, მათ შორის, ბაზილიკური შენიშვნების, რაოდენობა

■ შენიშვნების რაოდენობა ■ ბაზილიკური შენიშვნების რაოდენობა




135 ამ მონაცემებს საფუძვლად უდევს პარლამენტის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია – კანონპროექტებზე თანდართული შენიშვნების ფურცლები.

14.2. საკანონმდებლო წინადადებების განხილვა

საკანონმდებლო საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მექანიზმია საკანონმდებლო წინადადების წარდგენის შესაძლებლობა. საანგარიშო პერიოდში პარლამენტში წარდგენილ იქნა **93** საკანონმდებლო წინადადება, რომელთაგან 46 საკანონმდებლო წინადადების ავტორები იურიდიული პირები იყვნენ.

დიაგრამა 40. კომიტეტების მიერ საკანონმდებლო წინადადებების განხილვის შესახებ ინფორმაცია



კომიტეტებმა დადებითად შეაფასეს შემდეგი საკანონმდებლო წინადადებები:

1. „ცხოველთა კეთილდღეობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტთა პაკეტი, რომლის ავტორები იყვნენ საქართველოში რეგისტრირებული ცხოველთა დაცვის ორგანიზაციები. ეს კანონპროექტები მოიწონა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტმა;
2. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონსა და მის თანამდევ კანონებში ცვლილებები, რომელიც საუნივერსიტეტო მაუწყებლობის საკითხს შეეხებოდა. ამ საკანონმდებლო წინადადების ავტორი იყო საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ეს ცვლილება დადებითად შეაფასა განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტმა.

საკანონმდებლო წინადადების განხილვისას შესაბამისი კომიტეტი ზოგჯერ მხოლოდ ნაწილობრივ იზიარებს საკანონმდებლო წინადადების ავტორის პოზიციას. მოვიყვანთ ორიოდე მაგალითს:

1. იურიდიული ფირმების ასოციაციის საკანონმდებლო წინადადება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა ნაწილობრივ მოიწონა;
2. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო წინადადება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა ნაწილობრივ გაიზიარა.

საკანონმდებლო წინადადებებთან დაკავშირებით აღსანიშნავია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც კომიტეტი მოიწონებს საკანონმდებლო წინადადებას, მაგრამ მის ინიცირებას აღარ ახდენს. მაგალითად, იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა 2017 წლის ივნისში [მოიწონა](#) ჩვენი ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი პრორუსული ანტისახელმწიფოებრივი პროპაგანდის წინააღმდეგ, თუმცა ეს საკანონმდებლო წინადადება დღემდე ინიცირებული არ არის.

14.3. მოქალაქეთა განსხვავებულ რეაგირებას

საანგარიშო პერიოდში მოქალაქეებმა კომიტეტებს სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით მიმართეს. კომიტეტების ცნობით, ყველა მიმართვაზე (განცხადებაზე) მათ სხვადასხვა ფორმით მოახდინეს რეაგირება, მათ შორის:

- შესაბამისი უწყებებისთვის მიმართვების გაგზავნა;
- მიმართვებზე პასუხის გაცემა (როგორც წერილობით, ისე მოქალაქეებისთვის ზეპირი კონსულტაციის განხორციელებით).

მოქალაქეთა მიმართვები შეეხებოდა:

- სოციალურ საკითხებს, გამოძიებისა და მართლმსაჯულების სფეროს, პენიტენციურ სისტემასთან დაკავშირებულ საკითხებს, სასჯელისაგან გათავისუფლებას, იურიდიული კონსულტაციისა და დახმარების განწევას, დევნილთა პრობლემებს, კრედიტების რესტრუქტურირებას, ქონებრივ დავებსა და შრომით უფლებებს;
- საფინანსო სექტორთან, უკანონო მშენებლობასა და ქონების პრივატიზებასთან, ენერგეტიკის სფეროსთან, ეკონომიკისა და სამეწარმეო საქმიანობის განვითარების ხელშეწყობასთან დაკავშირებულ საკითხებს;
- საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის გადახდას და პედაგოგების პრობლემებს;
- ფულადი დახმარების განწევას, მედიკამენტებით უზრუნველყოფასა და მკურნალობის დაფინანსებას, საცხოვრებელი ფართობითა და ერთჯერადი მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფის საკითხებს;

ცხრილი 10. კომიტეტების მიერ მოქალაქეთა მიმართვებზე რეაგირება

პარლამენტის კომიტეტი	მოქალაქეთა მიმართვების რაოდენობა	სტატუსი
ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი	3195	თითოეულ მათგანზე მოხდა რეაგირება. რეაგირების ფორმა მითითებული არ არის. ¹³⁶
იურიდიულ საკითხთა კომიტეტი	1612	• 218 განმეორებითი განცხადება, რომლებზედაც უკვე მოხდა რეაგირება; • 335 განცხადება ცნობად იქნა მიღებული. • 786 წერილი გაიგზავნა შესაბამისი უწყებებში; • 92 წერილი გაეგზავნა განმცხადებლებს; • 181 მოქალაქეს გაენია ზეპირი კონსულტაცია;

136 სახელდობრ, ჩვენი ორგანიზაციისთვის გამოგზავნილ პასუხებში.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი	1535	მიმართვების უმეტესობაზე მოხდა რეაგირება. რეაგირების ფორმა მითითებული არ არის.
განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტი	387	თითოეულ მათგანზე მოხდა რეაგირება. რეაგირების ფორმა მითითებული არ არის.
დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი	322	თითოეულ მათგანზე მოხდა რეაგირება, რეაგირების ფორმა მითითებული არ არის.
რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტი	219	თითოეულ მათგანზე მოხდა რეაგირება. რეაგირების ფორმა მითითებული არ არის.
დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტი	200 ¹³⁷	თითოეულ მათგანზე მოხდა რეაგირება. რეაგირების ფორმა მითითებული არ არის.
თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი	153	პასუხი გაეცა მხოლოდ 141 განცხადებას.
სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტი	150	თითოეულ მათგანზე მოხდა რეაგირება. რეაგირების ფორმა მითითებული არ არის.
საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი	104	87 წერილს პასუხი გაეცა წერილობით, 17 წერილზე მოქალაქეებს ზეპირად მიეწოდათ შესაბამისი ინფორმაცია.
საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი	89	თითოეულ მათგანზე მოხდა რეაგირება. 65-ზე მეტი წერილი გაეგზავნა შესაბამის უწყებებს.
გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი	65	თითოეულ მათგანზე მოხდა რეაგირება. რეაგირების ფორმა მითითებული არ არის.
აგრარულ საკითხთა კომიტეტი	64	ყველა განცხადება შესწავლილ იქნა და გადაეცა შესაბამის უწყებებს.
ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი	36	თითოეულ მათგანზე მოხდა რეაგირება. რეაგირების ფორმა მითითებული არ არის.
საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი	16	თითოეულ მათგანზე მოხდა რეაგირება. რეაგირების ფორმა მითითებული არ არის.

137 ჩვენი ორგანიზაციისთვის გამოგზავნილ ინფორმაციაში ზუსტი რაოდენობა მითითებული არ არის.

14.4. სამუშაო ჯგუფების შექმნა

კომიტეტის ერთ-ერთი უფლებამოსილებაა სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომლის მიზანია პარლამენტისა და პარლამენტის კომიტეტის გადანაცვეტილებათა შესრულების კონტროლი, საკანონმდებლო საკითხების წინასწარ მომზადება და სხვა მიმდინარე საკითხებზე მუშაობა. საანგარიშო პერიოდში 8 კომიტეტში სხვადასხვა საკითხზე 24 სამუშაო ჯგუფი მუშაობდა. სიახლე იყო გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის მიერ შექმნილი **თემატური მოკვლევის ჯგუფი**, რომელიც, თავის მხრივ, კომიტეტის მიერ საპარლამენტო კონტროლის განხორციელების საშუალება იყო.

პირველი თემატური მოკვლევის ჯგუფი 2018 წლის აპრილში **გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტში** შეიქმნა; საკომიტეტო მოკვლევის საკითხად განისაზღვრა ქალაქ თბილისში ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობა. საანგარიშო პერიოდში თემატური მოკვლევის ჯგუფმა 1 სხდომა გამართა და განახორციელა ქალაქ თბილისის მასშტაბით ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვით გამოწვეული ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემცირების ღონისძიებები – ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში და 18-მდე დოკუმენტურად დადასტურებული პოზიცია თბილისში ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობასთან დაკავშირებით.¹³⁸

იურიდულ საკითხთა კომიტეტში შეიქმნა და საკანონმდებლო ინიციატივებზე მუშაობდა 6 სამუშაო ჯგუფი, კერძოდ:

- „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ კანონში ორმაგი მოქალაქეობის საკითხის ასახვა (მოქალაქეობის სამუშაო ჯგუფი);
- „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ კანონში თანახელმოწერის (კონტრასიგნაციის) პროცედურების ასახვა;
- „საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონსა და მის თანამდევ კანონებში მთავრობის საქმიანობის წესის და კომპეტენციების ახლებური ასახვა;
- სასამართლო ხელისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზის უნიფიცირება და „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში საკონსტიტუციო ცვლილებების ასახვა;
- ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ აქტიური საარჩევნო უფლების, პასიური საარჩევნო უფლებისა და საქართველოს კონსტიტუციის გარდამავალი დებულებების ასახვა;
- „საქართველოს პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში პროკურატურის თაობაზე ახალი რეგულაციების ასახვა;
- საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილებიდან გამომდინარე სამუშაო ჯგუფი საგადასახადო კოდექსსა და „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონში ცვლილებები;
- საგზაო მოძრაობის შესახებ კანონში შესატანი ცვლილების სამუშაო ჯგუფი საბავშვო სავარძლების იმპლემენტაციის საკითხთან დაკავშირებით მუშაობდა;
- კომიტეტში მუშაობდა არბიტრაჟის კანონმდებლობის სრულყოფის სამუშაო ჯგუფი.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტში შეიქმნა 4 სამუშაო ჯგუფი:

- კომპანიების – „RMG GOLD“-ისა და „RMG Copper“-ის მიერ სამთო-მოპოვებითი სამუშაოების

¹³⁸ „გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტმა თბილისში ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობის საკითხებზე ზეპირი მოსმენა გამართა“, 26 სექტემბერი, 2018 (იხ. <https://goo.gl/PB72cn>).

წარმოებისას გარემოსთვის მიყენებული ზიანის შემსწავლელი სამუშაო ჯგუფი;

- სტიქიური საფრთხეებისა და ბუნებრივი კატასტროფების საკითხებზე შექმნილი სამუშაო ჯგუფი;
- სატყეო სექტორის რეფორმის მაკოორდინირებელი სამუშაო ჯგუფი;
- ცნობიერების ამაღლებისა და გარემოსდაცვითი განათლების გაძლიერების სამუშაო ჯგუფი.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტში შეიქმნა 4 სამუშაო ჯგუფი:

- ფრაქცია „საქართველოს პატრიოტების“ მიერ წარმოდგენილი „ბოლო საცხოვრისის მიმართ იძულებითი აღსრულების შესახებ“ კანონპროექტთან დაკავშირებული სამუშაო ჯგუფი;
- „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ კანონში შესატან ცვლილებებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფი;
- ფულადი სოციალური დახმარების ადმინისტრირების მექანიზმის გაუმჯობესების თაობაზე შექმნილი სამუშაო ჯგუფი;
- „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონთან დაკავშირებით სახალხო დამცველის მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადების საფუძველზე შექმნილი სამუშაო ჯგუფი.

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტში შეიქმნა 3 სამუშაო ჯგუფი, რომლებმაც შეიმუშავეს შემდეგი კანონპროექტები: „სოციალური მუშაობის შესახებ“, „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონში ცვლილებები და ბავშვის უფლებათა კოდექსი.

დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტში საანგარიშო პერიოდშიც მუშაობას განაგრძობდა სივრცითი დაგეგმარებისა და არქიტექტურულ-სამშენებლო სფეროსთან დაკავშირებული სამუშაო ჯგუფი.

ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის სამუშაო ჯგუფი მუშაობდა „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ კანონში შესატან ცვლილებებზე, რომელთა შესახებ გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით მომზადდა რეგულირების გავლენის შეფასების (RIA) ანგარიში.

თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტში სამხედრო სავალდებულო სამსახურის რეფორმირებასთან დაკავშირებით შეიქმნა უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი.

რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტში შეიქმნა 1 სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მოამზადა საკანონმდებლო ინიციატივა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ (ინიციატორები: ზაზა გაბუნია, მერაბ ქვარაია, გოგა გულორდავა და ირაკლი მეზურნიშვილი). ამ საკანონმდებლო ცვლილების თანახმად, პარკირების წესების დარღვევასთან დაკავშირებული სამართალდარღვევა ყველა მუნიციპალიტეტზე გავრცელდება.

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტში „სპორტის შესახებ“ კანონის დასახვეწად შეიქმნა 2 სამუშაო ჯგუფი, რომლებმაც რეგულირების გავლენის შეფასება (RIA) და სპორტის სფეროში გენდერული ანალიზი (GIA) უნდა განახორციელონ.

14.5. ქვეყნისათვის ურთიერთობა

საკანონმდებლო საქმიანობის პროცესი ითვალისწინებს განსახილველ ან დაგეგმილ საკითხებზე შესაბამისი შეფასებების მისაღებად ექსპერტების, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების ჩართულობის შესაძლებლობას. კომიტეტი უფლებამოსილია შექმნას სამეცნიერო-

საკონსულტაციო საბჭო და ამ ფორმატში განაგრძოს არსებულ პრობლემებსა და საკანონმდებლო ცვლილებებზე მუშაობა. საანგარიშო პერიოდში ეს შესაძლებლობა 5 კომიტეტმა გამოიყენა. მათ ექსპერტებს მიმართეს როგორც მიმდინარე კანონპროექტების განხილვისას, ისე სამუშაო ჯგუფის მუშაობის პროცესში. კომიტეტების მიერ წარმოდგენილ ინფორმაციაში ყოველთვის მითითებული არ არის, მათ თავად მოიწვიეს ექსპერტები, თუ ექსპერტებმა თავიანთი ინიციატივით მიაწოდეს კომიტეტებს საკუთარი დასკვნა/რეკომენდაცია.

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის ინფორმაციით, საანგარიშო პერიოდში კანონპროექტებზე მუშაობისას კომიტეტს ელექტრონული ფოსტის საშუალებით ურთიერთობა ჰქონდა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ექსპერტებთან.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტი აღნიშნავს, რომ კანონპროექტებთან დაკავშირებით რეგულარულად თანამშრომლობდა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ექსპერტებსა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან.

ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტმა „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ კანონის პროექტზე მუშაობისას დახმარებისათვის მიმართა საერთაშორისო ექსპერტებს: გაეროს განვითარების პროგრამისა და გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის ექსპერტებს, რომლებმაც შესაბამისი კვლევები მოამზადეს. ამ კომიტეტმა „საქართველოს საბაჟო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ კანონპროექტისა და მის თანამდევ კანონპროექტებში შესატანი ცვლილებების განხილვისას, აგრეთვე „ენერგეტიკისა და წყლის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის და საქართველოს სარკინიგზო კოდექსში შესატანი ცვლილებების განხილვისას ისარგებლა ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) საექსპერტო დახმარებით. გარდა ამისა, კომიტეტი თანამშრომლობდა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის ექსპერტებთან.

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ექსპერტების ჩართულობითა და რეკომენდაციების საფუძველზე შემდეგი საკანონმდებლო ინიციატივები შეიმუშავა: „სოციალური მუშაობის შესახებ“ კანონის პროექტი, ბავშვის უფლებათა კოდექსის პროექტი, „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვის დახმარების შესახებ“ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონის პროექტი.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის ინფორმაციით, 2018 წელს მან თავისი საქმიანობის განხორციელებისას გამოიყენა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის, „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ჩარჩო კონვენციის სამდივნოს და ორგანიზაციის „თამბაქოსაგან თავისუფალი ბავშვები“ რეკომენდაციები და შემდეგი ექსპერტების მოსაზრებები: სტეინ კაასა, დანიელა მოსოიუ, ემილი ვარგას ბარონი, გრეჰემ თორნიკროფტი, ნორბერტ სკოკაუსკასი.

14.6. სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოების შექმნა

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომიტეტთან შესაძლებელია შეიქმნას სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო, რაც გულისხმობს კომიტეტის საქმიანობაში შესაბამისი დარგის კონსულტანტების ჩართვას. სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობას ნიშნავს კომიტეტის თავმჯდომარე. კომიტეტებიდან მიღებული და პარლამენტის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ამ საბჭოების შემადგენლობა და მათი საქმიანობა გამჭვირვალე არ არის.

საანგარიშო პერიოდში სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოებზე მსჯელობა 4 კომიტეტში მიმდინარეობდა:¹³⁹

139 სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომიტეტის ცნობით, საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს შექმნის შესახებ მუშაობა.

- ▶ **დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტთან** შეიქმნა 2 სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო: სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის და არქიტექტურულ-სამშენებლო სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებზე მომუშავე სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო და ენერგეტიკის პრობლემებთან დაკავშირებულ საკითხებზე მომუშავე სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო;
- ▶ **იურიდიულ საკითხთა კომიტეტში** სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო შეიქმნა 2018 წლის 19 თებერვალს. ამ საბჭომ, რომლის წევრებს კანონპროექტები პროაქტიულად ეგზავნებათ, თავისი მოსაზრებები წარმოადგინა შემდეგ საკითხებზე:
 - ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ საკანონმდებლო ცვლილებებზე;
 - არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმაზე;
 - სისხლის სამართლის კოდექსში შესატან ცვლილებებზე („გირგვლიანის შესწორებების“ შესახებ);
 - ნარკოპოლიტიკის რეფორმის საკითხზე;
 - „საქართველოს პროკურატურის შესახებ“ ორგანულ კანონში შესატან ცვლილებებზე;
 - თავშესაფრის მოსაპოვებლად ცრუ ცნობის კრიმინალიზაციის საკითხზე;
 - ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე.
- ▶ **რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტთან** მუშაობას განაგრძობს 2013 წელს შექმნილი სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო, რომელიც, როგორც კომიტეტი მიუთითებს, ჩართული იყო 2018 წელს კომიტეტის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებში, მათ შორის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ხელისუფლების ინსტიტუციურ დიალოგსა და თვითმმართველობათა ასოციაციის კონგრესში. თუმცა კომიტეტი არ მიუთითებს, საანგარიშო პერიოდში ამ საბჭომ რამდენი სხდომა გამართა და რომელი საკითხების/კანონპროექტების შესახებ წარმოადგინა თავისი მოსაზრებები;
- ▶ **ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტთან** შეიქმნა ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და პრევენციის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო. ამასთანავე, ამ კომიტეტში მუშაობას განაგრძობს VIII მოწვევის პარლამენტში შექმნილი 2 სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო.

14.7. საკონსტიტუციო სასამართლოში იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წარმომადგენლობა

კომიტეტების საქმიანობის შეფასებისას ასევე უნდა შევხვით საკონსტიტუციო სასამართლოში წარმომადგენლობის საკითხს. 2018 წელს საკონსტიტუციო სასამართლოში არსებითი განხილვისათვის ჩატარდა 38 სხდომა. ზეპირი მოსმენით ჩატარდა 18 განმწესრიგებული სხდომა.


საანგარიშო პერიოდში საკონსტიტუციო სასამართლომ სხვადასხვა საკითხზე რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო:

- ძალადაკარგულად ცნო „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის ის მუხლები, რომლებიც დღგ-ის გადახდისგან ათავისუფლებდა მხოლოდ საქართველოს საპატრიარქოს დაკვეთით განხორციელებულ ტაძრებისა და ეკლესიების მშენებლობას და რესტავრაციისა და მოხატვის მომსახურებას, და ის მუხლები, რომლებითაც მხოლოდ მართლმადიდებელ ეკლესიას ენიჭებოდა სახელმწიფო ქონების საკუთრებაში უსასყიდლოდ მიღების შესაძლებლობა;¹⁴⁰

140 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 3 ივლისის №1/2/671 გადაწყვეტილება

- ძალადაკარგულად ცნო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ის ნორმები, რომლებიც ექიმის დანიშნულების გარეშე მარიხუანას მოხმარებისთვის პასუხისმგებლობას ითვალისწინებდა. სასწავლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ზოგიერთი სახის საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე (საზოგადოებრივ ტრანსპორტში, არასრულწლოვანთა თანდასწრებით და ა.შ.) მარიხუანის მოხმარებისთვის პასუხისმგებლობის დაწესება სასამართლომ კონსტიტუციურად მიიჩნია;¹⁴¹
- არაკონსტიტუციურად ცნო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ის მუხლები, რომლებიც ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაულის შემთხვევაში არ იძლეოდა სასამართლოში პროკურორის იმ დადგენილების გასაჩივრების უფლებას, რომლითაც პირს პროკურორი დაზარალებულად ცნობაზე უარს ეტყოდა.¹⁴²

დიაგრამა 41. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში წარმომადგენლობის შესახებ ინფორმაცია



14.8. ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის მუშაობა ასოცირების შეთანხმებასთან დაკავშირებულ საკითხებზე

ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის საქმიანობის მიზანია ევროკავშირსა და ევროპულ ინსტიტუტებში საქართველოს ინტეგრაციის ხელშეწყობა, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის დროული და ეფექტიანი განხორციელება და ქვეყნის ევროინტეგრაციის საკითხებზე საზოგადოებრივი აზრის შემდგომი

საქმეზე „სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია“, ააიპ „საქართველოს სიცოცხლის სიტყვის ეკლესია“, სსიპ „ქრისტეს ეკლესია“, სსიპ „საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია“, ააიპ „მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტისტთა ეკლესიის ტრანსკავკასიური იუნიონი“, სსიპ „ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია“, ააიპ „ქართველ მუსლიმთა კავშირი“, სსიპ „წმინდა სამების ეკლესია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (იხ. <https://goo.gl/KazWam>); საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 3 ივლისის № 1/1/811 გადაწყვეტილება საქმეზე „სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია“, სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ლუთერული ეკლესია“, სსიპ „სრულიად საქართველოს მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო სამმართველო“, სსიპ „დახსნილ ქრისტიანთა საღვთო ეკლესია საქართველოში“ და სსიპ „საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.“ (იხ. <https://goo.gl/eBKpBb>).

141 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 30 ივლისის №1/2/1282 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ზურაბ ჭაფარიძე და ვახტანგ მეგრელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (იხ. <https://bit.ly/2WHdmU4>).

142 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის № 2/12/1229,1242,1247,1299 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ხვიჩა ყირმიაშვილი, გია ფაცურია და გვანცა გაგნიაშვილი და „შპს ნიკანი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (იხ. <https://bit.ly/2vZisiA>).

კონსოლიდაცია. ევროინტეგრაციის მიმართულებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ქვეყანამ შეასრულოს საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები. შესაბამისად, წინამდებარე კვლევის ფარგლებში დავინტერესდით ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის მიერ ამ მიმართულებით გაწეული მუშაობის შედეგებით.

საანგარიშო პერიოდში ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტმა განიხილა 16 კანონის პროექტი (თანამდევ კანონპროექტებთან ერთად), რომელთა მიღებაც გამომდინარეობდა საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებებიდან.

კომიტეტმა რეკომენდაციები გასცა შემდეგ კანონპროექტებზე: სივრცითი მოწყობისა და მშენებლობის კოდექსის პროექტზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ კანონში ცვლილებების პროექტზე, ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ ორგანული კანონის პროექტზე, „პროდუქტის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ კანონის პროექტზე, „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ კანონის პროექტზე, „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ კანონის პროექტზე, საბაჟო კოდექსის პროექტსა და მის თანამდევ სხვა პროექტებზე.


თავი 15. მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროების საქმიანობა

პარლამენტის საქმიანობის შეფასებისას აგრეთვე დავინტერესდით მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროების საქმიანობით, რომლებთან დაკავშირებითაც IX მოწვევის პარლამენტმა შესაბამის მარეგულირებელ აქტში¹⁴³ გარკვეული სახის ცვლილებები შეიტანა. მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტის ვებგვერდზე მითითებულია მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროების საკონტაქტო ინფორმაცია, ამ ბიუროებთან დაკავშირება და გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის დადგენილ ვადებში მიღება საანგარიშო პერიოდშიც შეუძლებელი იყო. დღემდე არ ფუნქციონირებს მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ვებგვერდი და მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროების მიერ გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია პარლამენტის ვებგვერდზე [ქვეყნდება](#).

მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროებს მივმართეთ რამდენიმე შეკითხვით, რომლებიც შეეხებოდა მათ საქმიანობასა და მოქალაქეებთან ურთიერთობას. დასმულ შეკითხვებს 40 ბიურომ უპასუხა; ამასთანავე, უმრავლესობამ პასუხი დაგვიანებით გამოაგზავნა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მოსახლეობის დიდმა ნაწილმა არ იცის, ვინ არის მისი მაჟორიტარი პარლამენტის წევრი, რასაც მოწმობს ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები.

143 საქართველოს პარლამენტის ბიუროს 2013 წლის 7 თებერვლის №29/3 გადაწყვეტილებით დამტკიცებული დ ე ბ უ ლ ე ბ ა „მაჟორიტარული სისტემით არჩეული პარლამენტის წევრის ბიუროს ფუნქციების, ორგანიზებისა და საქმიანობის წესის და პარლამენტის ბიუჯეტიდან ბიუროსათვის გამოყოფილი თანხის განკარგვის წესის განსაზღვრის შესახებ“ (იხ. <https://bit.ly/2UG52qK>).

დიაგრამა 42. მაჟორიტარი პარლამენტის წევრების შესახებ საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები



15.1. მოქალაქეთა მიმართვა

მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროებიდან გამოვითხოვეთ ინფორმაცია შესაბამისი წესით აღრიცხული მოქალაქეთა ზეპირი და წერილობითი მიმართვების რაოდენობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ ბიუროებიდან მიღებული ინფორმაციის გადამოწმების საშუალება არ არსებობს.

მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროების ინფორმაციის საფუძველზე წარმოგიდგენთ იმ პარლამენტის წევრების პირველ ხუთეულს, რომლებსაც წერილობითი მიმართვით ყველაზე მეტმა მოქალაქემ მიმართა. ესენია:

- მიხეილ ყაველაშვილი (უმრავლესობა) – 845 მიმართვა;
- კობა კობალაძე (უმრავლესობა) – 679 მიმართვა;
- ლევან კობიაშვილი (უმრავლესობა) – 442 მიმართვა;
- არჩილ თალაკვაძე (უმრავლესობა) – 415 მიმართვა;
- ირაკლი აბუსერიძე (უმრავლესობა) – 370 მიმართვა.

იმავე ბიუროების ინფორმაციის საფუძველზე წარმოგიდგენთ იმ პარლამენტის წევრების პირველ ხუთეულს, რომლებსაც ზეპირი მიმართვით ყველაზე მეტმა მოქალაქემ მიმართა. ესენია:

- კობა კობალაძე (უმრავლესობა) – 2942 მიმართვა;
- ირაკლი აბუსერიძე (უმრავლესობა) – 1625 მიმართვა;
- ნინო წილოსანი (უმრავლესობა) – 1422 მიმართვა;
- ენზელ მკოიანი (უმრავლესობა) – 1244 მიმართვა;
- ელგუჯა გოცირიძე (უმრავლესობა) – 1097 მიმართვა.

15.2. ამომრჩეველთა პრობლემები და კვლევის შედეგები

მაჟორიტარი პარლამენტის წევრის საქმიანობის განხორციელებისას მნიშვნელოვანია ამომრჩევლების პრობლემებისა და საჭიროებების ცოდნა. შესაბამისად, მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროების ეფექტიანი საქმიანობისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის პრობლემების იდენტიფიცირებასა და ანალიზს. ამ მიზნით შესაძლებელია გამოიკითხოს მოსახლეობა (გარკვეული ჯგუფი) და შესწავლილ იქნეს მოქალაქეთა განცხადებები და ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრათა შედეგები. მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროების ინფორმაციით, მათ მოახდინეს ამომრჩეველთა ზოგიერთი პრობლემის იდენტიფიცირება. ესენია:

- ინფრასტრუქტურა და კომუნალური საკითხები (წყალი, გაზი, ელექტროენერგია, გზები);
- დასაქმება;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური საკითხები;
- სტიქიური მოვლენების შედეგად მიყენებული ზიანი და აგარიული სახლები;
- ქონებასა და საკუთრებასთან დაკავშირებული საკითხები;
- ფინანსური დახმარება, სასკოლო პროექტები და სწავლის დაფინანსება;
- დევნილთა პრობლემები.

15.3. საჯარო შეხვედრები მოსახლეობასთან

მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროებმა მოგვანოდეს ინფორმაცია როგორც მაჟორიტარი პარლამენტის წევრებისა და მოსახლეობის საჯარო შეხვედრების, ისე მოსახლეობასთან შესაბამისი ბიუროების წარმომადგენლების შეხვედრების შესახებ. ამ ინფორმაციის თანახმად, საანგარიშო პერიოდში მოსახლეობისა და მაჟორიტარი პარლამენტის წევრების საჯარო შეხვედრების სტატისტიკა ასეთია:

- ირაკლი აბუსერიძე (უმრავლესობა) – 225 საჯარო შეხვედრა;
- თენგიზ ხუბულური (უმრავლესობა) – 151 საჯარო შეხვედრა;
- ენზელ მკოიანი (უმრავლესობა) – 128 საჯარო შეხვედრა;
- გოჩა ენუქიძე (უმრავლესობა) – 100 საჯარო შეხვედრა;
- სავალან მირზოევი (უმრავლესობა) – 97 საჯარო შეხვედრა.

15.4. ბიუროებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების თანამშრომლობა

მაჟორიტარი პარლამენტის წევრის ბიუროების საქმიანობის პროცესში მნიშვნელოვანია მათი თანამშრომლობა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, რადგან, როგორც პრაქტიკა აჩვენებს, მოქალაქეები მაჟორიტარი პარლამენტის წევრის ბიუროებს ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციის სფეროსთვის მიეკუთვნებულ საკითხებზე მიმართვენ. ამიტომაც შესაბამისი ბიუროები მოქალაქეთა მიმართვენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს უგზავნიან. ჩვენი ორგანიზაციისთვის მოწოდებულ ინფორმაციაში მაჟორიტარი პარლამენტის წევრები არ მიუთითებენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან თანამშრომლობისას პრობლემების არსებობაზე.

15.5. მოსახლეობის ინფორმირება

ანგარიშვალდებულების პრინციპიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია პარლამენტის წევრები მოსახლეობას პერიოდულად აწვდიდნენ ინფორმაციას თავიანთი საქმიანობის შესახებ. მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროების ინფორმაციით, ამ მიზნისთვის მაჟორიტარი პარლამენტის წევრები უპირატესობას სოციალურ ქსელს ანიჭებენ, თუმცა ისინი საინფორმაციო ბიულეტენებსაც და საჯარო შეხვედრებსაც იყენებენ.

ამ ანგარიშში წარმოგიდგენთ სრულ ინფორმაციას მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროების საქმიანობის შესახებ (იხილეთ [დანართი 2](#)).

თავი 16. პარლამენტის წევრების პავშირი ბიზნესთან და ანაღვადირიჩაბული ქონება

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, პარლამენტის წევრი ვალდებულია შეავსოს და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საჯარო სამსახურის ბიუროს წარუდგინოს ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია. ჩვენი ორგანიზაცია პარლამენტის საქმიანობის შეფასების ანგარიშებში ყოველწლიურად წარმოადგენს ინფორმაციას პარლამენტის წევრების ბიზნესთან კავშირისა და მათი არადეკლარირებული ქონების შესახებ.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, სამეწარმეო საქმიანობა პარლამენტის წევრის სტატუსთან შეუთავსებელი საქმიანობაა. თუმცა პარლამენტის წევრის სტატუსთან შეუთავსებლობის მოთხოვნები არ ხელყოფს საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ საკუთრების უფლებას – პარლამენტის წევრს შეუძლია ფლობდეს აქციებს, წილსა და სხვა ქონებას. მაგრამ მან საწარმოში თავისი წილი მინდობის ხელშეკრულების საფუძველზე სამართავად სხვა პირს უნდა გადასცეს. განსაზღვრულია პარლამენტის წევრის სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებული აკრძალვები. კერძოდ, მას უფლება არა აქვს:

- უშუალოდ განახორციელოს არაერთჯერადი საქმიანობა მოგების მიზნით მატერიალური ფასეულობებისა და ფინანსური საშუალებების სამართავად;
- უშუალოდ განახორციელოს სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტის მუდმივმოქმედი ხელმძღვანელი, სამეთვალყურეო, საკონტროლო, სარევიზიო ან/და საკონსულტაციო ორგანოს წევრის უფლებამოსილებანი.

ჩვენი ორგანიზაციის მიერ ჩატარებული იმ [კვლევის](#)¹⁴⁴ საფუძველზე, რომლის მიზანი იყო პარლამენტის წევრებისა და მათი ოჯახის წევრების ბიზნესთან კავშირისა და არადეკლარირებული ქონების შესახებ ინფორმაციის შესწავლა, საჯარო სამსახურის ბიურომ 54 დეკლარაციის მონიტორინგი განახორციელა. ყველა შემთხვევაში პარლამენტის წევრების ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციები [უარყოფითად შეფასდა](#) და პარლამენტის წევრებს დაეკისრათ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ჯარიმა.

საანგარიშო პერიოდში (2018 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 31 მარტის ჩათვლით) 58 პარლამენტის წევრს ჰქონდა ბიზნესთან კავშირი. წილის საკუთრებაში ფლობა კანონის დარღვევა არ არის, მაგრამ პარლამენტის წევრი ვალდებულია არა მხოლოდ თავის საკუთრებაში, არამედ თავისი ოჯახის წევრების საკუთრებაში არსებული ქონების შესახებ ინფორმაცია ზუსტად მიუთითოს ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში.

ამავე ანგარიშში წარმოგიდგენთ პარლამენტის წევრებსა და მათი ოჯახის წევრებთან დაკავშირებული კომპანიების შესახებ ვრცელ ინფორმაციას (იხილეთ [დანართი 3](#)).

თავი 17. ჩაკომენტირება

პარლამენტის მიერ მიღებული ახალი რეგლამენტის ძალაში შესვლის შემდეგ გაუმჯობესდება კანონშემოქმედებითი პროცესი, პარლამენტის საზედამხებველო საქმიანობა და ღიაობა. თუმცა არსებობს ზოგიერთი საკითხი, რომლებიც უნდა დაიხვეწოს როგორც კანონის დონეზე, ისე რეგლამენტის ნორმების პრაქტიკაში აღსრულების თვალსაზრისით.

საკანონმდებლო პროცესი

- საკანონმდებლო პროცესის გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია დროულად დაინერგოს რეგულირების გავლენის შეფასების (RIA) ინსტრუმენტი, რომელიც მნიშვნელოვან წინაპირობას შექმნის საქართველოს კანონმდებლობის ხარისხის გასაუმჯობესებლად, თავიდან აგვაცილებს კანონმდებლობაში ცვლილებების ხშირად შეტანას და ხელს შეუწყობს სტაბილური ბიზნესგარემოსა და საინვესტიციო გარემოს შექმნას;
- კანონპროექტების დაჩქარებული წესით განხილვა, ისევე როგორც კანონის ამოქმედების გადავადება უნდა ხდებოდეს მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობისას, შესაბამისი დასაბუთების საფუძველზე;
- საკანონმდებლო პროცესისთვის მნიშვნელოვანია, კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით პარლამენტი უფრო აქტიურად ქმნიდეს სამუშაო ჯგუფებს, რომელთა საქმიანობის შესახებ ინფორმაცია უნდა იყოს გამჭვირვალე და დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომი. გარდა ამისა, უნდა გაიზარდოს შესაბამისი დარგის ექსპერტების მონაწილეობა საკანონმდებლო პროცესში;
- პარლამენტი მეტი პასუხისმგებლობით უნდა ეკიდებოდეს მოწონებული საკანონმდებლო წინადადებების ინიცირების საკითხს და პარლამენტში მათი საკანონმდებლო ინიციატივის სახით წარდგენა გონივრულ ვადაში უნდა ხდებოდეს;
- საპარლამენტო სუბიექტებმა კანონპროექტზე დართული განმარტებითი ბარათი უნდა შეავსონ სრულყოფილად, კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

144 „პარლამენტის წევრების კავშირები ბიზნესთან, შეუთავსებელი საქმიანობა და არადეკლარირებული ქონება“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, 19 სექტემბერი, 2017 (იხ. <https://bit.ly/2wHa4oh>)

საპარლამენტო კონტროლი

- საპარლამენტო კონტროლის მექანიზმების გამოყენებას პასუხისმგებლობით უნდა ეკიდებოდნენ როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის წარმომადგენლები. ისინი ამ მექანიზმებს უნდა იყენებდნენ არა მხოლოდ პარტიული ინტერესებისთვის, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად და რეალური ზედამხედველობის განსახორციელებლად;
- საფინანსო-საბიუჯეტო პროცესზე საპარლამენტო ზედამხედველობის გასაძლიერებლად უნდა გაიზარდოს ოპოზიციის როლი საბიუჯეტო ზედამხედველობის განხორციელების პროცესში. საჭიროა, პარლამენტის რეგლამენტით დადგინდეს, რომ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ოპოზიციის წარმომადგენელი უნდა იყოს;
- პარლამენტმა დროებითი საგამოძიებო კომისიის საქმიანობასთან მიმართებით უნდა გაითვალისწინოს ამ კომისიის საქმიანობის შედეგები და გააკონტროლოს მისი მიერ მიღებული გადაწყვეტილებები;
- პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული თანამდებობის პირები ვალდებული არიან, პარლამენტის მოთხოვნის შემთხვევაში დაესწრონ კომიტეტების სხდომებს, მათ შორის მაშინაც, როცა კომიტეტის სხდომაზე მათი მიწვევის ინიციატორი ოპოზიციას;
- პარლამენტის წევრის შეკითხვა საჯარო პოლიტიკის მნიშვნელოვან საკითხებს უნდა უკავშირდებოდეს.

ანგარიშვალდებულება

- პარლამენტის წევრმა სწორად უნდა შეავსოს ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია, ასახოს შესაბამის კომპანიებში თავისი და თავისი ოჯახის წევრების კუთვნილი წილები და კანონით დადგენილი წესით დატოვოს სათანადო კომპანიის მმართველი თანამდებობა, რაც მკაცრად უნდა გააკონტროლოს საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა;
- პარლამენტმა უნდა განახორციელოს სხდომების მუშაობაში პარლამენტის წევრების მონაწილეობის ეფექტიანი შიდა კონტროლი;
- მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ვებგვერდებზე რეგულარულად უნდა განთავსდეს ინფორმაცია მათ მიერ განხილული განცხადებებისა და მოსახლეობასთან გამართული საჯარო შეხვედრების შესახებ.

ღიაობა და გამჭვირვალობა

- საპარლამენტო კონტროლის განხორციელების შესახებ ინფორმაცია, კონტროლის შედეგები და მასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები, მათ შორის, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული თანამდებობის პირების სხდომებზე მიწვევის შესახებ ინფორმაცია, პერიოდულად უნდა ქვეყნდებოდეს პარლამენტის ვებგვერდზე;
- მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტის ვებგვერდზე მიმდინარეობს კომიტეტებისა და პლენარული სხდომების პირდაპირი ტრანსლაცია გადახვევის ფუნქციით, ამ სხდომების განმეორებით ნახვის სურვილის შემთხვევაში შესაბამისი ჩანაწერის მოძიება რთულია და ზოგჯერ შეუძლებელიც კი არის, რადგან არ არსებობს არქივი. სასურველია, პარლამენტის ვებგვერდზე არსებობდეს თემატური არქივი;
- მნიშვნელოვანია, რომ კომიტეტთან შექმნილი სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს შესახებ ყველა ინფორმაცია პარლამენტის ვებგვერდზე განთავსდეს.

დანართი 1. სიტყვით გამოსვლის რაოდენობა

პარლამენტის წევრი	კუთვნილება (2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით)	სიტყვით გამოსვლის რაოდენობა
ეკა ბესელია	უმრავლესობა	199
ანრი ოხანაშვილი	უმრავლესობა	107
ზურაბ ჭიაბერაშვილი	უმცირესობა	97
გიორგი კახიანი	უმრავლესობა	69
სერგო რატიანი	უმცირესობა	69
აკაკი ზოიძე	უმრავლესობა	63
რომან გოცირიძე	ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“	55
ალექსანდრე ქანთარია	უმრავლესობა	54
თამარ ჩუგოშვილი	უმრავლესობა	54
გიორგი ბოკერია	უმცირესობა	53
მარიამ ჯაში	უმრავლესობა	53
რევაზ არველაძე	უმრავლესობა	51
გაქარია ქუცნაშვილი	უმრავლესობა	51
დimitრი ცქიტიშვილი	უმრავლესობა	49
ოთარ კახიძე	უმცირესობა	48
ზაზა ხუციშვილი	უმრავლესობა	43
ლევან გოგიჩაიშვილი	უმრავლესობა	42
მამუკა მდინარაძე	უმრავლესობა	42
არჩილ თალაკვაძე	უმრავლესობა	41

გუგული მალრაძე	უმრავლესობა	41
დავით მათიკაშვილი	უმრავლესობა	39
სოფიო კილაძე	უმრავლესობა	38
სალომე სამადაშვილი	ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“	38
ემზარ კვიციანი	ფრაქცია „საქართველოს პატრიოტები“	37
გიორგი გაჩეჩილაძე	უმრავლესობა	34
სერგი კაპანაძე	უმცირესობა	34
ირაკლი კოვზანაძე	უმრავლესობა	34
გურამ მაჭარაშვილი	უმრავლესობა	34
ენძელა მაჭავარიანი	უმრავლესობა	31
ირაკლი სესიაშვილი	უმრავლესობა	31
დიმიტრი ხუნდაძე	უმრავლესობა	31
ლევან კობერიძე	უმრავლესობა	27
ირინე ფრუიძე	უმრავლესობა	27
რატი იონათამიშვილი	უმრავლესობა	26
ირაკლი აბესაძე	უმცირესობა	25
რომან კაკულია	უმრავლესობა	24
გიორგი კანდელაკი	უმცირესობა	24
ბექა ნაცვლიშვილი	უმრავლესობა	24
თამარ ხულორდავა	უმრავლესობა	23
კახაბერ კუჭავა	უმრავლესობა	21
ადა მარშანია	ფრაქცია „საქართველოს პატრიოტები“	20

გიორგი ვოლსკი	უმრავლესობა	19
სალომე ზურაბიშვილი	უმრავლესობა	19
პაატა კვიფინაძე	უმრავლესობა	19
ელენე ხოშტარია	უმცირესობა	19
გიგა ბუკია	უმრავლესობა	18
ოთარ დანელია	უმრავლესობა	18
ირმა ინაშვილი	ფრაქცია „საქართველოს პატრიოტები“	18
სიმონ ნოზაძე	უმრავლესობა	18
დავით ჭიჭინაძე	ფრაქცია „საქართველოს პატრიოტები“	18
ხათუნა გოგორიშვილი	უმცირესობა	17
სულხან მახათაძე	უმრავლესობა	17
გედევან ფოფხაძე	უმრავლესობა	17
ივლიანე წულაია	უმრავლესობა	17
სოფიო ქაცარავა	უმრავლესობა	16
ნინო წილოსანი	უმრავლესობა	16
ბექა ოდიშარია	უმრავლესობა	15
ლელა ქებურია	უმცირესობა	15
თინათინ ბოკუჩავა	ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“	14
ზაზა გაბუნია	უმრავლესობა	14
ბიძინა გეგიძე	უმრავლესობა	14
ირმა ნადირაშვილი	უმცირესობა	14
გენადი მარგველაშვილი	უმრავლესობა	13

კობა ლურსმანაშვილი	უმრავლესობა	12
ირაკლი მეზურნიშვილი	უმრავლესობა	12
კობა ნარჩემაშვილი	უმრავლესობა	12
ნინო გოგუაძე	უმრავლესობა	11
ალექსანდრე ერქვანია	უმრავლესობა	11
მერაბი ქვარაია	უმრავლესობა	11
დავით ბაქრაძე	უმცირესობა	10
ზაზა პაპუაშვილი	უმრავლესობა	10
მირიან წიკლაური	უმრავლესობა	10
ირაკლი (დაჩი) ბერაია	უმრავლესობა	9
გოგა გულორდავა	უმრავლესობა	9
ირაკლი კობახიძე	უმრავლესობა	9
გიორგი ლომია	ფრაქცია „საქართველოს პატრიოტები“	9
გია ჟორჟოლიანი	უმრავლესობა	9
შოთა ხაბარელი	უმრავლესობა	9
აკაკი ბობოხიძე	უმცირესობა	8
კობა კობალაძე	უმრავლესობა	8
სვეტლანა კუდბა	უმრავლესობა	8
დავით სონღულაშვილი	უმრავლესობა	8
ზვიად კვაჭანტირაძე	უმრავლესობა	7
ირაკლი ბერაია	უმრავლესობა	6
ნატო ჩხეიძე	დამოუკიდებელი წევრი	6

გიორგი ხატიძე	უმრავლესობა	6
თენგიზ გუნავა	უმცირესობა	5
გრიგოლ მიქელაძე	უმრავლესობა	5
ზვიად ძიძიგური	უმრავლესობა	5
გიორგი წერეთელი	უმცირესობა	5
კახაბერ ოქრიაშვილი	უმრავლესობა	4
თეიმურაზ ჭკუასელი	უმრავლესობა	4
ლერი ხაბელოვი	უმრავლესობა	4
ირაკლი აბუსერიძე	უმრავლესობა	3
ანზორ ბოლქვაძე	უმრავლესობა	3
ლაშა დამენია	უმცირესობა	3
ნიკანორი მელია	ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“	3
გოგი მეშველიანი	უმრავლესობა	3
მიხეილ ყაველაშვილი	უმრავლესობა	3
ირაკლი შიოლაშვილი	უმრავლესობა	3
მამუკა ჩიქოვანი	უმცირესობა	3
კარლო კოპალიანი	უმრავლესობა	2
დიმიტრი მხეიძე	უმრავლესობა	2
გელა სამხარაული	უმრავლესობა	2
შოთა შალელაშვილი	უმრავლესობა	2
ოთარ ჩრდილელი	უმრავლესობა	2
გიორგი ბეგაძე	უმრავლესობა	1

გია ბენაშვილი	უმრავლესობა	1
ისკო დასენი	უმრავლესობა	1
გოჩა ენუქიძე	უმრავლესობა	1
ვანო ზარდიაშვილი	უმრავლესობა	1
ლევან კობიაშვილი	უმრავლესობა	1
გიორგი მოსიძე	უმრავლესობა	1
პაატა მხეიძე	უმრავლესობა	1
კობა ნაკაიძე	უმრავლესობა	1
ილია ნაკაშიძე	უმრავლესობა	1
რუსლან პოლოსიანი	უმრავლესობა	1
ერეკლე ტრიპოლსკი	უმრავლესობა	1
გიორგი ტულუში	უმცირესობა	1
გივი ჭიჭინაძე	უმრავლესობა	1
ლევან ბეჟანიძე	უმრავლესობა	0
რუსლან გაჯიევი	უმრავლესობა	0
ელგუჯა გოცირიძე	უმრავლესობა	0
მახირ დარზიევი	უმრავლესობა	0
მუხრან ვახტანგაძე	უმრავლესობა	0
ცოტნე ზურაბიანი	უმრავლესობა	0
გიორგი თოთლაძე	უმრავლესობა	0
ედიშერ თოლორაია	უმრავლესობა	0
ზაზა კედელაშვილი	უმცირესობა	0

შალვა კიკნაველიძე	უმრავლესობა	0
გიორგი კოპაძე	უმრავლესობა	0
